5. *Тотолян А.А.* Проблемы современной стрептококковой инфекции. Идеи Пастера в борьбе с инфекциями. С-Пб, 1995, с. 44.
6. *Тотолян А.А., Мусеев В.В.* Журнал микробиологии, 1996, 2, 117-120.
7. *Barrow P.A., Soothil J.S.* Trends in Microbiol., 1997, 5, 268-271.
8. *Birger O.* Manual for Microbiology Methods. 1982.
9. *Gerhardt Ph.* Manual methods for general bacteriophage. 1983.
10. *Kleman K.T., Bannerman T.L., Kloos W.E.* J.Clin. Microbiol., 1993, 3, 1318-1321.
11. *Kloos W.E., Bannerman T.L.* Clin. Microbiol. Rev., 1994, 7, 117-140.
12. *Muto M.* Bull. Yamaguchi Med. Sch., 1996, 43, 57-59.
13. *Nickel Y.C., Costerton J.M.* J. Urol., 1992, 147, 398-401.
14. *Sulakvelidze A., Alavidze Z., Nana Morris Y.* Antimicrobial agents and chemotherapy, 2001, 3, 649-659.
15. *Veach L.A., Pfallex M.A., Barrett M. et al.* J. Clin. Microbiol., 1990, 28, 2064-2068.

**სტაფილოკოკების და სტრეპტოკოკების პოსპიტალზარე უტაჰების
 ეტიოლოგიური როლი და სტრუქტურული დახასიათება
 ადამიანის ზოგიერთი ჩირქოვან-ანთებითი დაავადების დროს**

*ა. გიორგაძე, ნ. თოფურია, ლ. კვიციანიძე, ლ. ტყეშელაძე,
 ნ. ჩოლოყაშვილი, მ. გიორგაძე*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ელიავას სახელობის ბაქტერიო-
 ფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

რეზიუმე

პოსპიტალზარე პირობებში, ადამიანის ზოგიერთი ჩირქოვან-ანთებითი დაავა-
 დების დროს გამოყოფილი (ცხვირისა და ხახის ლორწოვანიდან, პირის ღრუდან,
 ყურებისა და თვალების გამონადენიდან, აგრეთვე საშოდან და ცერევიკალური
 არხიდან) მიკროორგანიზმების სახეობრივი შემადგენლობის შესწავლით ნაწვე-
 ნებია სტაფილოკოკების და სტრეფტოკოკების პრიორიტეტული არსებობა, სხვა
 გამოწვევებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ სტაფილოკოკურ და სტრეფტო-
 კოკურ მონონიფექციებთან ერთად, ხშირია ასოცირებული ინფექციებიც (როგორც
 შიდასახეობრივი, ისე სახეობრივი ვარიაციებით). გავრცელებულ დაავადებათა
 გამოწვევევი ბაქტერიების მგრძობელობის დაქვეითება ანტიბიოტიკების მიმართ
 გამოწვეულია უკანასკნელთა არარაციონალური გამოყენებით.

**ETIOLOGICAL ROLE AND STRUCTURAL CHARACTERISTICS OF
 EXTRAHOSPITAL STAPHYLO- AND STREPTOCOCCAL STRAINS
 DURING SOME PURULENT-INFLAMMATORY DISEASES IN HUMAN**

*I. Georgadze, N. Topuria, L. Kvitsinadze, L. Tkemaladze, N. Cholokashvili,
 M. Georgadze*

G. Eliava Institute of Bacteriophage, Microbiology and Virology, Georgian Academy of
 Sciences, Tbilisi

SUMMARY

Investigations of microbial content in extrahospital material (from nasal and pharyngeal
 mucose, oral cavity, ear and eye discharges, as well as from uterus and cervical kanal) obtained
 during different purulent-inflammatory deseases have shown significant priority of staphylo-
 and streptococci over other infectious agents. Along with mono-infections, elicited by staphylo-
 or streptococci, associated infections were determined as well. These were either intraspecies
 associations or interspecies ones. Obvious trend of decreasing sensitivity towards antibiotics,
 found in circulating virulent bacteria, should be due to irrational application of antibiotics.

Cu, Co და As-ის ერთობლივი მოქმედების შესწავლა CHLORELLA VULGARIS-ის სიტოტსლისუნარიანობასა და გამრავლების ინტენსივობაზე

*ხ. დანელია, ა. ქოტიშვილი, ჯ. თინათი, ლ. აბაღოვსკიათ,
თ. ამირანაშვილი, თ. თინათი*

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 25.03.2003

Cu, Co და As-ის დასაშვები დოზებით ცალ-ცალკე მოქმედებისას აღინიშნება ზრდის მასტიმულირებელი ეფექტი, რაც ელინდება კონტროლთან (უსპენსიის არე) შედარებით Chlorella-ს უჯრედების გაძლიერებულ ზრდა-გამრავლებაში. ხოლო ჩვენს მიერ გამოყენებული საკვლევი ელემენტების ერთობლივი (კომბინირებული) მოქმედებისას კი მიიღება საპირისპირო (მაინიბირებელი) ეფექტი. ე.ი. კონტროლთან შედარებით აღინიშნება უჯრედთა ზრდა-განვითარების სიჩქარის შემცირება, ანუ ადგილი აქვს შესასწავლი ელემენტების ტოქსიკური მოქმედების სინერგიზმს.

მიღებული შედეგები გასათვალისწინებელია ამ ელემენტების დასაშვები დოზების დადგენისას იმ შემთხვევაში, როდესაც წყალსატევებში ადგილი აქვს ან მოსალოდნელია სამივე ელემენტის თანაარსებობა

საკვანძო სიტყვები: წყალმცენარე, ტოქსიკანტი, სტიმულაცია, ინჰიბიცია, სინერგიზმი, ექსპონირება

წყალსაცავების დაბინძურებისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს მძიმე მეტალთა შეანარტების ტოქსიკურობის ხარისხი, რომელთა ბიოკატალიზური და ტოქსიკური თვისება გამოვლინდება წყალსატევებში მათი დაბალი შემცველობისას [1, 4]. იმის გათვალისწინებით, რომ ტოქსიკანტების ზეგავლენა ეკოსისტემაზე ხდება ამ უკანასკნელის კვებითი ჯაჭვის რგოლების გავლით, აუცილებელია მოხდეს ეკოლოგიურ-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევა ზღვის მიკროსკოპული წყალმცენარეებით – ორგანული ნივთიერებებისა ძირითადი პროდუცენტებით [5, 7]. ლიტერატურაში გვხვდება მხოლოდ ცალკეული ინფორმაცია მძიმე ლითონების მარილების გავლენის შესახებ მიკროსკოპული წყალმცენარეების სიცოცხლისუნარიანობაზე, ხოლო მონაცემები Cu, Co და ხუთვალენტიანი As-ის კომბინაციის

ტოქსიკური მოქმედების შესახებ საქართველოს წყალსატევების მონოკულტურებზე ცოტაა [9, 10].

ჩვენ ყურადღება შევანერეთ მოცემული ტოქსიკანტების კომბინირებული ზემოქმედების შესწავლაზე ერთუჯრედიან მიკროსკოპულ წყალმცენარე *Chlorella vulgaris*-ის კულტურაში. ტოქსიკანტების ზემოქმედება ფიტოპლანქტონზე უპირველესად მისი პირველადი პროდუქციის სიდიდეზე ახდენს გავლენას, რომელიც ფოტოსინთეზის შედეგად წარმოიქმნება. ფოტოსინთეზი ფაზური პროცესია და მასზე ტოქსიკური ნივთიერებების გავლენის შესწავლას დიდი დრო სჭირდება, ამიტომ სასურველია ხანგრძლივი (ქრონიკული) ცდების ჩატარება. არსებობს ტოქსიკური ნივთიერებების ჯგუფი, რომლებიც ქლოროფილს შლიან. უდავოა, რომ ინტოქსიკაცია იწყება წყალმცენარეების მიერ ტოქსიკანტების შთანთქმით, რასაც მოჰყვება მრავალსაფეხურიანი პროცესები და რომელთა ზემოქმედებასაც ამწვევებს სხვადასხვა აბიოტური ფაქტორების თანაარსებობაც. მაგალითად, ტემპერატურული რეჟიმის ცვლილება, ჟანგბადის ნაკლებობა, pH-ის ცვლილება და სხვ [1, 10]. ჩვენს მიერ შესწავლილი ელემენტები, მცირე დოზებში, აუცილებელია მიკროორგანიზმების ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის, ხოლო მაღალი კონცენტრაციებისას, მაგალითად, სპილენძი, წარმოადგენს ალგიციდს და გამოიყენება წყალსატევებში წყალმცენარეების გასანადგურებლად. Hg-ის მსგავსად Cu დიდი კონცენტრაციით წარმოადგენს უჯრედული მეტაბოლიზმის ძლიერ ინჰიბიტორს [3].

მასალა და მეთოდი

ტოქსიკოლოგიური გამოკვლევები ჩვენს შემთხვევაში ქრონიკული ექსპერიმენტის სახეს ატარებდა, სადაც ალგოლოგიურად სუფთა კულტურას ვზრდით ფუნქციურად აქტიური ტოქსიკანტების არეში, რაც იწყებდა ფოტოსინთეზის სტიმულაციას ან დათრგუნვას, უჯრედთა რაოდენობის ზრდას ან შემცირებას და ა.შ. ოპტიმალური ტემპერატურა (18-22°C).

ჩვენს მიერ შერჩეული ერთუჯრედიანი წყალმცენარე *Chlorella vulgaris* ალგოლოგიურად სუფთა სახით მივიღეთ ღია წყალსატევიდან, ლაბორატორიულ პირობებში მრავალჯერადი გადათესვისა და უსპენსკის N1 არეზე გაზრდის შედეგად. ექსპერიმენტისათვის შევარჩიეთ ტოქსიკანტების შემდეგი კონცენტრაციები: Cu - 10 მკგ/ლ, Co - 10 მკგ/ლ, As - 5 მკგ/ლ. კომბინაციური მოქმედების შესწავლისას ცალ-ცალკე თითოეულს ვიღებდით დანარჩენ ორთან უპირატესობით. მაგ: Cu - 20 მკგ/ლ - ორმაგი დოზა; Co - 10 მკგ/ლ - დასაშვები დოზა; As - 5 მკგ/ლ - დასაშვები დოზა. კონტროლად აღებული გეჰონდა გამოხდილ წყალში უსპენსკის არეზე კულტივირებული წყალმცენარე. ტოქსიკანტების აღნიშნული კონცენტრაციების გათვალისწინებით მომზადებულ საკვებ არეში ვათავსებდით ექსპონენციალური ზრდის ფაზაში მყოფ *Chlorella vulgaris*-ის კულტურის განსაზღვრულ რაოდენობას, სადაც უჯრედების რაოდენობა 1 მლ-ში შეადგენდა $5 \cdot 10^6$. ხანგრძლივი ექსპოზიციის პროცესში ვაკვირდებოდით უჯრედთა გამრავლების ინტენსივობას. ბიოლოგიური მონიტორინგისას

ტესტ-კულტურის ზრდის ტემპს ვსახლვრავდით უჯრედთა დათვლის მე-
თოდით სპეციალური სათვლელი ფირფიტებით, მაგალითად, გორიავის
კამერით. უჯრედების დათვლას ვიწვევდით ექსპონირებიდან მეხუთე დღეს.

შედეგები და მათი განხილვა

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ზღვრულად დასაშვები კონცენ-
ტრაციების კომბინაციის სერიაში ეფექტი თითქმის კონტროლის მსგავსი
ყო და მხოლოდ 21-ე დღეს აღინიშნა ძალიან მცირე განსხვავება კონტროლ-
თან შედარებით. ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციებია: Cu – 10 მკ/ლ;
Co – 10 მკ/ლ; As – 5 მკ/ლ.

ვაკვირდებოდით ცალ-ცალკე თითოეული ტოქსიკანტის გავლენას უჯ-
რედთა გამრავლების პროცესზე ექსპონირების პროცესში სამივე ელემენტმა
გამოავლინა მასტიმულირებელი ეფექტი, რაც გამოიხატა Chlorella-ს უჯ-
რედების რიცხვთა ზრდაში დაახლოებით 30%-ით კონტროლთან შედარებით.
აღნიშნული სტიმულაცია, როგორც ჩანს, დამოკიდებულია ორგანიზმში
პოტენციური შესაძლებლობების მობილიზაციაზე, სიცოცხლისუნარიანო-
ბის პროცესების ნორმალურად შენარჩუნებისათვის, რაც გამოიხატება რო-
გორც რეაქცია ტოქსიკანტის უარყოფით მოქმედებაზე [8]. ელემენტები
გამოვლენილი ეფექტის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით განლაგე-
ბიან: Cu → As → Co. შედეგები მოტანილია ცხრილში 1.


ცხრილი 1

მიმე მტალების გავლენა Chlorella-ს უჯრედებზე, $\times 10^5$

ტოქს. კონც. μg/l	ექსპონირების ხანგრძლივობა, დღე												
	5	7	9	11	13	15	17	19	21	23	25	27	29
Cu – 10 μg/l	3,0	4,0	5,9	7,2	10	14,6	19,6	23	11	8,8	5,2	3,4	2,9
Co – 10 μg/l	1,4	2,3	5,6	7,0	9,5	12,1	13,2	16	21	26	31	37	33
As – 0,5 μg/l	0,8	2,1	5,4	6,6	8,0	9,0	9,6	12,2	14,8	20,6	26	31	27,4
კონტროლი	3,3	4,2	4,6	4,9	5,6	7,9	8,8	11,8	12,8	13,2	14,1	15	11,4

დაკვირვებისას შეიმჩნეოდა ტოქსიკანტების გავლენა უჯრედთა მორფო-
ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზეც. As-ის და Co-ის სერიაში ეს ცვლილება
გამოვლინდა Chlorella-ს უჯრედების ზომის მომატებაში, ხოლო Cu-იან
სერიაში – შედარებით ერთგვაროვანი, ოვალური, ზომით ოდნავ მომატე-
ბული ფორმები იყო წარმოდგენილი, რაც მიგვანიშნებს ჩვენს მიერ შესწავ-
ლილი ელემენტების ტოქსიკურ ბუნებაზე. როგორც ცხრილიდან ჩანს,
ქრონიკული ექსპერიმენტის ბოლომდე Cu-მა გამოავლინა მინიმიზირებელი
თვისება 21-ე დღეს, როცა As-ის და Co-ის სერიაში ექსპონირების ბოლომდე
შენარჩუნებული იყო მასტიმულირებელი ეფექტი. ამავე დროს აღსა-
ნიშნავია წყალმცენარის ფერის შეცვლა (გაღიაგება), რაც პიგმენტების
ბიოსინთეზის პროცესის დარღვევაზე მიუთითებს [6, 11].

საეურადღებოა ტოქსიკანტების კომბინირებული ზემოქმედება. ამ შემთხვევაში ექსპერიმენტს ვატარებდით სამ სერიად: I - Cu - 10 მკგ/ლ (დასაშვები დოზა); Co - 20 მკგ/ლ (ორმაგი დოზა); As - 5 მკგ/ლ (დასაშვები დოზა); II - Cu - 20 მკგ/ლ (ორმაგი დოზა); Co - 10 მკგ/ლ (დასაშვები დოზა); As - 5 მკგ/ლ (დასაშვები დოზა); III - Cu - 10 მკგ/ლ (დასაშვები დოზა); Co - 10 მკგ/ლ (დასაშვები დოზა); As - 10 მკგ/ლ (ორმაგი დოზა). მონაცემები მოცემულია სურ. 1-ზე.



სურ. 1. აბსცისათა ღერძი - ექსპოზიციის დღეების რაოდენობა, ორდინატთა ღერძი - უჯრედების რაოდენობა.

ელემენტთა კომბინირების შემთხვევებში გამოვლინდა საპირისპირო ეფექტი ზემოთ აღწერილთან შედარებით. ადგილი ჰქონდა ინჰიბიციის მოვლენის მკვეთრ გამოვლენას, რაც გამოწვეულია ტოქსიკანტების ერთობლივი მოქმედებისას უჯრედში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების ბლოკირებით. სპილენძი ამ შემთხვევაშიც უფრო ძლიერი მაინჰიბირებელი ეფექტით ხასიათდება დანარჩენ ელემენტებთან შედარებით, მასზე ნაკლებია დარიშხანის და კიდევ უფრო ნაკლები კობალტის მაინჰიბირებელი ეფექტი. უჯრედთა შენელებული ზრდისა და გამრავლების პროცესი მიგვანიშნებს საკვლევი ელემენტების ტოქსიკური მოქმედების სინერგიზმზე.

საეურადღებოა, აგრეთვე, ტემპერატურული სტრესის გავლენა აღნიშნულ ექსპერიმენტებში. ტემპერატურულ სტრესში იგულისხმება ტემპერატურის დაქვეითება $+2^{\circ}\text{C}$ -მდე, შემდეგ გათბობა 1 სთ-ით $+30^{\circ}\text{C}$ -მდე და ბოლოს ოპტიმალურ ტემპერატურამდე დაქვეითება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკვლევი ელემენტების კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვები დოზის ნახევარია, მათი ერთდროული მოქმედებისას ზრდა-განვითარების არა თუ დაქვეითება, არამედ სტიმულაციაც კი აღინიშნა კონტროლთან შედარებით, მაშინ, როდესაც ხანმოკლე ტემპერატურული სტრესის პირობებში

ადგილი ჰქონდა აღნიშნული პროცესის დაქვეითებას თითქმის იგივე შედეგით, როგორც იყო I, II, III ჯგუფის შემთხვევებში (სურ 1). ამგვარად, ტემპერატურა აძლიერებს ტოქსიკანტების მაინიმიზირებულ ზემოქმედებას.

მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ ელემენტთა დასაშვები დოზები უნდა შეიცვალოს (შემცირდეს) იმ შემთხვევაში, როდესაც წყალსატევში მოსალოდნელია სამივე ელემენტის თანაარსებობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი ტოქსიკური მოქმედების აღნიშნული სინერგიზმი.

ფოტოსინთეზის ინჰიბიტორების მეშვეობით ფიტოპლანქტონის პირველადი პროდუქციის ექსპერიმენტული ჩახშობა ახდენს ცხოველქმედების მთელი რიგი პროცესების ტრანსფორმაციას: ენერჯის ნაკადის შემცირება იწვევს პროცესის პროდუქტიულობის შემცირებას და ეს ფაქტი ნათლად აისახება მეორადი პროდუქციის ფორმირებაზე. კერძოდ, ფიტოპლანქტონის მომხმარებლებზე [8, 11].

წყალმცენარეების ზრდა-განვითარებაზე დაკვირვების პარალელურად ხდებოდა იმავე სინჯებში ფოტოსინთეზის პირველადი პროცესების რეგისტრაცია ფლუორესცენტული მეთოდებით [2, 10], რაც დაგვეხმარა წინამდებარე ნაშრომის შედეგების ინტერპრეტაციაში და რომელსაც შემდგომ პუბლიკაციაში შევეხებით.

ბუნებრივ წყალსატევებში მიმდინარე ეს და სხვა პროცესები სათანადოდ არ არის შესწავლილი და საჭიროებს შემდგომ გამოკვლევებს.

ლიტერატურა

1. *Garill A., Findly G.P., Tyerman S.D.* In: Membranes: specialized functions in plants (Ed. Smallwood M., Bowles D.I, Knox I.P.). Oxford. 1996; 247-360.
2. *Danelia Kh., Chogoshvili A., Oniani J., Meladze M., Oniani T., Jorbenadze Ts.* Bull. Georgian Acad. Sci., 2000, 162,
3. *Demidtik V., Sokolik A., Yurin V.* Planta, 2001, 212, 583-590.
4. *Waldichuk M.* In: Pollution and Physiology of Marine Organisms. N.Y., San-Francisco: Acad. Press. 1974.
5. *Wong P.T., Cnau Y.K., Luxon P.L.* J. Fish. Res. Board Canad., 1978, 35, 479-481.
6. Вредные химические вещества (ред. Филов), Л., "Химия", 1988
7. Ибрагим А.М. Автореф. дис. канд. биол. наук, М., 1975.
8. *Mac-Kinnon R. J.* Gen. Physiol. 2000, 116, 6.
9. *Oniani D.A.* Регуляция циклоза клеток водорослей. Тбилиси. ТГУ.
10. *Chogoshvili A., Chocua M., Lomsadze B.* Bull. Georgian Acad. Sci., 1999, 3, 159.
11. Экспериментальная водная токсикология (отв. ред. Г.П. Андрушайтис), в. 7, Рига, "Зинатне", 1981.

ИЗУЧЕНИЕ КОМБИНИРОВАННОГО ДЕЙСТВИЯ Cu, Co И As НА РОСТ И РАЗМНОЖЕНИЕ КЛЕТОК CHLORELLA VULGARIS

*Х. Дanelia, А. Чогошвили, Д. Ониани, Л. Абадовская, Т. Амيرانашвили,
Т. Ониани*

Тбилисский Государственный Университет им. И. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Влияние Cu, Co и As на *Chlorella vulgaris*, при допустимых дозах, по отдельности, выражается стимулирующим эффектом, что выявляется усилением роста и размножения клеток *Chlorella*, по сравнению с контролем (среда Успенского).

При комбинированном действии этих трех элементов получается обратный (ингибирующий) эффект. Уменьшается рост и размножение клеток по сравнению с контролем, что указывает на синергизм токсического действия изученных элементов.

Полученные результаты следует учитывать при установлении допустимой дозы в том случае, когда в водоеме отмечено или ожидается суммарное действие этих трех элементов.

INVESTIGATION OF COMBINED ACTION OF CU, CO, AND AS ON REPRODUCTION OF *CHLORELLA VULGARIS* CELLS

*Kh. Danelia, A. Chogoshvili, J. Oniani, L. Abadovskaya, T. Amiranashvili,
T. Oniani*

I. Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

In cultivated *Chlorella vulgaris* cells action of Cu, Co, and As was investigated separately and in combinations of these elements. It was shown that each of these toxicants, when applied at permissible dose produces stimulating effect on reproduction of the alga cells. However, when all three elements were added to medium, an inhibitory effect was obtained. This points at synergistic action of these elements. It is considered that permissible dose of separate pollutant should be calculated specially when there are- or may be present other pollutants as well.

კალციტონინ გენ-დამოკიდებული პეპტიდის (CGRP) ვაზოდილატაციური ფუნქცია

გ. დიასამიძე, ა. დიასამიძე, ე. გრიგორაშვილი*,
ლ. გომელაური*, გ. ბექაია*

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
* საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 18.03.2003

ლიტერატურაში არსებული მონაცემების საფუძველზე აღწერილია კალციტონინ გენ-დამოკიდებული პეპტიდის (CGRP) და მისი რეცეპტორების განაწილების თავისებურებანი სისხლის მიმოქცევის პერიფერიულ და ცენტრალურ სისტემებში. გაანალიზებულია CGRP-ს როლი პერიფერიული და ორგანული სისხლის ნაკადის რეგულაციაში, აგრეთვე აზოტის ოქსიდისა და ციკლური გუანოზინ მონოფოსფატის შესაძლო მონაწილეობა CGRP-ით განპირობებულ ენდოთელიუმ-დამოკიდებულ ვაზორელაქსაციაში და, ზოგადად, ენდოთელიუმის არსებობის აუცილებლობა ვაზომოტორული ეფექტის მისაღწევად.

შეფასებულია CGRP-ს ვაზოდილატაციურ ეფექტზე თავისუფალი რადიკალების შესაძლო გავლენის საკითხის შესწავლის მდგომარეობა.

საკვანძო სიტყვები: კალციტონინ გენ-დამოკიდებული პეპტიდი, აზოტის ოქსიდი, თავისუფალი რადიკალები, ვაზოდილატაცია

ცნობილია, რომ კბილის მაღალი ინტენსივობით სტიმულაცია იწვევს ხანგრძლივ ვაზოდილატაციას და სისხლის ნაკადის მატებას ადამიანის პირ-სახის არეში. ითვლება, რომ ეს ვაზოდილატაცია უნდა ეფუძნებოდეს ქოლინერგული ბუნების მექანიზმს, რაც კარგად იყო ნაჩვენები ცხოველებში. მაგალითად, არის რამდენიმე ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომლებშიც ნაჩვენებია, რომ ტუნების, ენის და სახის კანის არტერიები ინერვირებულია პარასიმპათიკური ბოჭკოებით [15]. ამასთან ერთად, ბოცვერის ენის არტერიის იზოლირებულ სეგმენტზე ნაჩვენებია, რომ ნერვული სტიმულაციით გამოწვეული ვაზოდილატაცია შეიცავს როგორც ქოლინერგულ (ატროპინ-მგრძნობიარე), ისე არაქოლინერგულ კომპონენტებს [1]. ამ არტერიის განტოტებები ემსახურება არა მარტო ენის, არამედ ღრძილების სისხლით მომარაგებასაც. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ბოცვერის ენის

ნერვული ვაზოდილატაციის ქოლინერგულ კომპონენტს თან სდევს პიპერპოლარიზაცია, ხოლო არაქოლინერგულს არ უნდა გააჩნდეს ელექტროფიზიოლოგიური კორელატი. ასეთი შერეული ტიპის დილატატორული პასუხი არ არის იშვიათი, იგი აღწერილი იყო სხვადასხვა ორგანოების ქსოვილებში, მათ შორის სანერწყვე ჯირკვალში, ცხვირის ღორწოვან გარსში და სხვ. [2, 5, 25, 26].

XX საუკუნის ოთხმოციან წლებში ძაღლებზე ჩატარებულ ცდებში ნაჩვენებია იყო, რომ ენის არტერიის რელაქსაცია, გამოწვეული პერივასკულური ნერვის სტიმულაციით, განპირობებულია კალციტონინ გენ-დამოკიდებული პეპტიდის (CGRP) რეცეპტორების აქტივაციით [18], რითიც დადგინდა იქნა ამ პეპტიდის მედიატორული მნიშვნელობა და როლი ენის არტერიის ნეიროგენურ ვაზოდილატაციაში. CGRP-ს აღმოჩენის ისტორია ასეთია:

1961 წელს კოპმა და კოლეგებმა განაცხადეს პეპტიდ კალციტონინის არსებობა [3]. მისი სტრუქტურის განსაზღვრამ აჩვენა, რომ კალციტონინი არის ერთჯაჭვიანი პეპტიდური ჰორმონი, რომელიც შეიცავს 32 ამინომჟავას [33]. კალციტონინის გენის მოლეკულური კლონირებისას 1983 წელს აღმოჩენილი იყო კალციტონინ გენ-დამოკიდებული 37-მონოამინიანი პეპტიდი - CGRP [43]. როგორც CGRP, ისე მისი რეცეპტორები ფართოდ არის გავრცელებული ცენტრალურ ნერვულ [20, 23, 48, 50, 55] და კარდიოვასკულურ სისტემებში [30, 49, 57, 58]. CGRP გვხვდება პერიფერიულ ნერვულ სისტემაშიც (სენსორულ განგლიებში), სადაც ხშირად თანაარსებობს სუბსტანცია P-თან.

არტერიულ სისტემაში CGRP-რეცეპტორები, განაწილების სხვადასხვა სიხშირით, ნაპოვანია სისხლის მიმოქცევის როგორც პერიფერიულ, ისე ცენტრალურ სისტემებში. მსხვილ არტერიებში იგი დაბალი სიხშირითაა წარმოდგენილი. [28, 32]. როგორც წესი, CGRP-რეცეპტორების განაწილება შეესატყვისება თვით პეპტიდის განაწილებას [9, 14, 52, 54]. თუმცა გამონაკლისებიც არის. მაგალითად, ნათხეში, რომელიც გამოირჩევა რეცეპტორების სიჭარბით.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი მონაცემების მიხედვით CGRP-რეცეპტორები ნათხეში ძირითადად გლიურ უჯრედებშია და არა პურკინის უჯრედებში, როგორც ადრე იყო ცნობილი.

იმის გათვალისწინებით, რომ CGRP-ს გააჩნია მაღალი ვაზოდილატატორული აქტივობა [6, 7, 53], აგრეთვე იმის, რომ პეპტიდი ფართოდაა გავრცელებული გულსისხლძარღვოვან სისტემაში და პერივასკულურ ნერვებში, სავარაუდოა, რომ CGRP დიდ როლს თამაშობს პერიფერიული ვასკულური ტონუსის და ორგანული სისხლის ნაკადის რეგულაციაში [56].

ცნობილია, რომ ზოგ სისხლძარღვოვან რეგიონში CGRP-ის ვაზოდილატატორული ეფექტი ხორციელდება ენდოთელიუმიდან წარმოებული აზოტის ოქსიდის (NO) მეშვეობით და K^+ -ATP-ის არხის გახსნით [17, 35]. ნელსონი და თანამშრომლები [34] აღნიშნავენ, რომ არტერიულ გლუვ კუნთებში K^+ -არხის აქტივაციით CGRP იწვევს პიპერპოლარიზაციას, მაგ-

რამ ვირთაგვას იზოლირებულ კორონარულ არტერიაში K^+ -ATP-ის არხის ანტაგონისტი უძლური აღმოჩნდა ჩაესმო CGRP-ით გამოწვეული რელაქსაცია [39].

NO-ს ქიმიური ბუნება მას უნარს აძლევს დიფუზიის გზით სწრაფად მიადწიოს სამიხნე უჯრედებს, გაააქტიუროს ციტოზოლური ფერმენტი – გუანილატციკლაზა და, ამგვარად, გამოიწვიოს ციკლური გუანოზინ მონოფოსფატის (cGMP) ფორმირება [24, 29]. ეს ნუკლეოტიდი კი პროტეინკინაზა G-ს აქტივაციის გზით ასტიმულირებს Ca^{2+} -ATP-ასას, სისხლძარღვოვან გლუვ კუნთებში ამცირებს უჯრედშიდა Ca^{2+} და ამის შედეგად ვითარდება ვაზორელაქსაცია [40, 41].

ლიტერატურაში არსებული მონაცემების ანალიზი დღეისათვის არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ დაბეჯითებით ვამტკიცოთ NO-სა და cGMP-ის მონაწილეობა CGRP-ით გამოწვეულ ენდოთელიუმ-დამოკიდებულ ვაზორელაქსაციაში [56].

ვირთაგვას აორტის რკალში CGRP-ით გამოწვეული ენდოთელიუმ-დამოკიდებული ვაზორელაქსაცია ითრგუნება ჰემოგლობინით, რომელიც ბოჭავს ენდოთელურ NO-ს. ასეთივე ეფექტი მიღწეულ იქნა L-NAME-ით (N^G -ნიტრო L-არგინინ მეთილ ეთერი) რომელიც აინჰიბირებს NO-ს სინთეზს. L-NAME-ს ინჰიბიტორული ეფექტის შექცევა შესაძლებელია ჭარბი L-არგინინით.

CGRP-ის ვაზორელაქსაციური პოტენცია და ამ მოქმედებისათვის აუცილებელი მოთხოვნა – ინტაქტური ენდოთელიუმი, გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული რეგონურობით. CGRP-ის მოქმედების პასუხად სხვადასხვა სისხლძარღვოვან უბნებში გამოვლინდა NO-ს გამოთავისუფლების მნიშვნელოვანი ვარიაბელობა [56].

რიგ პუბლიკაციებში ნახვენბია როგორც ენდოთელიუმ-დამოკიდებული, ისე დამოუკიდებელი CGRP-ეფექტი. ასე მაგალითად, ითვლება, რომ აორტაზე ამ ეფექტის მისაღწევად ენდოთელიუმის ინტაქტურობა აბსოლუტურად აუცილებელია [10, 11, 13]. ცნობილია, რომ ვირთაგვას აორტის რკალში CGRP ასტიმულირებს cGMP აკუმულაციას. უფრო მეტიც, ვირთაგვას აორტის ვაზორელაქსაციური პასუხი (ინტაქტური ენდოთელიუმის შემთხვევაში) CGRP-ს მოქმედებაზე ითრგუნება მეთილენის ლურჯით – ციტოზოლური გუანილატ ციკლაზის ინჰიბიტორით და NO-ს სინთეზის ინჰიბიტორებით [11, 13]. მაგრამ, 1987 წელს გრეისმა და თანამშრომლებმა [10] აჩვენეს, რომ ვირთაგვას აორტის ვაზორელაქსაციის (გამოწვეული აცეტილქოლინით და ნატრიუმის ნიტროპრუსიდით) პარალელურად ვითარდებოდა cGMP-ს აკუმულაცია ენდოთელიუმის როგორც არსებობის, ისე არარსებობის პირობებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ CGRP-ს პასუხად გამოყოფილი NO უნდა განსხვავდებოდეს აცეტილქოლინით გამოთავისუფლებულისაგან.

არ არის გამორიცხული, რომ აზრთა სხვადასხვაობა ენდოთელიუმის არსებობის აუცილებლობის შესახებ CGRP-ის ეფექტის მისაღწევად, გამოწვეული იყოს მხოლოდ მეთოდური ასპექტებით. სავსებით შესაძ-

ლებელია, რომ ენდოთელიუმის არასრული ამოღებისას სისხლძარღვებში, ან ენდოთელური ფენის დაზიანების შედეგად იმ სისხლძარღვებში, რომლებშიც ითვლება, რომ იგი ინტაქტურია, მივიღოთ პრინციპული სხვაობა იმ კვლევის შედეგებში, რომლებშიც შეისწავლება ენდოთელიუმ-დამოკიდებული NO-სა და eGMP-ს აკუმულაციის როლი CGRP-ს საპასუხოდ მიღებულ ვაზორელაქსაციაში.

ამგვარად CGRP-ს ძირითადი ბიოლოგიური ეფექტი არის გლუვი კუნთების რელაქსაცია [4, 16, 36]. მისი ინტრავენური ინფუზია იწვევს სისტემური არტერიული წნევის დოზა-დამოკიდებულ დაქვეითებას, ხოლო მისი ანტაგონისტი – ამ ეფექტის შექცევას.

იმის მიუხედავად, რომ CGRP-ს მნიშვნელოვან როლს მიაწერენ მრავალი ბიოლოგიური პროცესის რეგულაციაში [42, 43], მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციად ასახელებენ ორგანოებში სისხლის მიმოქცევის რეგულაციას, CGRP-ის სხვა დადგენილი ეფექტები გამოიხატება კარდიალურ აქსელერაციაში [4, 42], სუბსტანცია P-ს მოქმედების მოდულაციაში ანთების დროს, სენსორული აღქმის ნეირომოდულაციაში და სხვ. CGRP აგრეთვე გარკვეულ გავლენას ახდენს ახალ სისხლძარღვთა ფორმირებაზე ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ პირობებში (ისქემია, ანთება). სხვა მედიატორებთან ერთად CGRP აგრეთვე მონაწილეობს ანთებითი პიპერემიის წარმოქმნაში [31].

უკანასკნელ წლებში CGRP-სა და მისი ანალოგების მიმართ აღინიშნება მზარდი ინტერესი, როგორც თერაპიული საშუალებებისადმი მრავალი დაავადებების დროს. საკმარისია თუნდაც ის, რომ CGRP-ს შეუძლია უშუალოდ იმოქმედოს სისხლძარღვებზე, გამოიწვიოს პერიფერიული ვაზოდილატაცია და შეამციროს ვასკულური წინაღობა [4, 7] და ამ გზით მოგვევლინოს როგორც პიპერტონიის სამკურნალო საშუალება.

CGRP და მისი აგონისტები გამოიყენება, აგრეთვე, ისეთი პათოლოგიების დროს, როგორცაა გულის კორონარული სისხლძარღვების დაავადება და მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის უკმარისობა, არიტმია, პერიფერიული სისხლძარღვების დაავადება და რეინოს სინდრომი, მამაკაცთა ერექტილური დისფუნქცია და სხვ.

დღეისთვის არ არის გარკვეული არის თუ არა პლაზმაში ცირკულირებადი CGRP პორმონული ფუნქციის მატარებელიც, თუმცა ცხადია, რომ ინტრავენური ინფუზიიდან რამდენიმე წამში CGRP აღწევს სამიხნე ქსოვილს [46].

ცნობილია, რომ სხვადასხვა სახის პათოლოგიურ მდგომარეობაში სისხლძარღვთა სისტემა პირველ სამიხნეს წარმოადგენს ჟანგბადის თავისუფალი რადიკალებისათვის [45]. ამ მხრივ განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება პირის ღრუს სისხლძარღვოვანი სისტემა, რომელიც გამუდმებით იმყოფება ენდო- და ეგზოგენური ხასიათის ზემოქმედების ქვეშ, რაც ასტიმულირებს ენდოგენური პროსტანოიდების პროდუქციას [12, 47]. ამ სისხლძარღვთა სისტემის რეაქტიულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სწორედ თავისუფალ რადიკალებზე. ცერებრულ არტერიო-

ლებზე ნაჩვენები იყო [19], რომ არტერიული წნევის მწვავე მატებისას რიგი ბიოქიმიური გარდაქმნების შემდეგ [37], დიდი რაოდენობით წარმოიქმნება ჰიდროქსიდ რადიკალები (OH⁻). ეს უკანასკნელი ცნობილია, როგორც პოტენციური ოქსიდანტი, რომლის ფორმირება იწვევს გახანგრძლივებულ ვაზოდილატაციას და სისხლძარღვების ოქსიდაციურ დაზიანებას [27, 38].

თავისუფალი რადიკალებით გამოწვეული ცვლილებები სისხლძარღვოვანი სისტემის რეაქციებში დღეისათვის წარმოადგენენ კვლევის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს, ვინაიდან უკავშირდებიან ისქემიასთან ასოცირებული პათოლოგიური პროცესების განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას [8]. ნაჩვენებია, რომ თავისუფალი რადიკალების ძირითადი მოქმედება გამოიხატება როგორც ვაზოდილატაცია [21], ისე ვაზოდილატაციის უნარის მოშლით [45]. უფრო მეტიც, დადგენილია, რომ ჰიდროქსირადიკალებით გამოწვეული ენდოთელური დაზიანება აინჰიბირებს როგორც ენდოთელიუმ-დამოკიდებული რელაქსაციური ფაქტორის გამოიმუშავებას, ისე ამ ფაქტორის მოქმედების ეფექტს [51].

ამგვარად, ვაზოდილატატორული ფუნქციის მოშლა, გამოწვეული თავისუფალი რადიკალების ჭარბი პროდუქციით, ხელს უწყობს რეაქტიულობის მატებას ვაზოკონსტრიქტორული სტიმულისაღმი.

სისხლძარღვის კედელში გენერირებულ თავისუფალ რადიკალებს შეუძლიათ უშუალოდ იმოქმედონ გლუვ კუნთოვან უჯრედებზე, ან გავლენა მოახდინონ ენდოთელურ უჯრედებში ფორმირებული ენდოგენური ვაზოაქტიური მედიატორების პროდუქციასა და/ან ბიოლოგიურ აქტივობაზე. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად არ არის შესწავლილი თავისუფალი რადიკალების გავლენა CGRP-ით განპირობებულ ვაზოდილატაციურ რეაქციებზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ღრძილებისა და კბილების ჯანმრთელობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პირსახის სისხლით მომარაგების რეგულაციაზე, გასაგებია თუ რა დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ჟანგბადის თავისუფალი რადიკალების მოქმედების კვლევას ენის არტერიის, CGRP-ით განპირობებულ, ნეიროგენურ ვაზოდილატაციაზე. გამოსარკვევია, ირღვევა თუ არა თავისუფალი რადიკალების CGRP-ით განპირობებული ნეიროგენური რელაქსაცია და თუ ეს ასეა, რა არის მოშლილი რელაქსაციის მექანიზმი უჯრედულ დონეზე?

ლიტერატურა

1. *Brayden J.E., Large W.A.* British Journal of Pharmacology, 1999, 89, 163-171.
2. *Brody M.J., Shaffer R.A.* Am. J. Physiol., 1970, 218, H470-H474.
3. *Copp D.H., Cameron E.C., Cheney B.A., Davidson A.G.F., Henze K.G.* Endocrinology, 1962, 70, 638-649.
4. *DiPette D.J., Wimalawansa S.* In: Crass J. Avioli L (eds) Calcium Regulating Hormones and Cardiovascular Function. CRC Press, Ann Arbor, MI, 1994, 239-252.
5. *Eccles R, Wilson H. J.* Physiol. (Lond.), 1974, 28, 549-560.
6. *Ezra D., Laurind F., Goldstein D.S.* Eur. J. Pharmacol., 1987, 137, 101-105.

7. Franco-Cereceda A. Br. J. Pharmacol., 1991, 102, 506-510.
8. Frei B. Natural Antioxidants in Human Health and Disease. Academic Press, Boston, 1994.
9. Goltzman D., Mitchell J. Science, 1985, 227, 1343-1345.
10. Grace G.C., Dusting G.J., Kemp B.E., Martin T. Br. J. Pharmacol., 1987, 91, 729-733.
11. Gray D.W., Marshall I. Br. J. Pharmacol., 1992, 107, 691-696.
12. Greenberg S., Palmer C. Dent. Clin. North. Am., 1978, 22, 31-46.
13. Hao H., Fiscus R.R., Wang X., Diana J. Neuropeptides, 1994, 26, 123-131.
14. Holzer P. Neuroscience, 1988, 24, 739-768.
15. Kempainen P., Forster C., Koppert W., Handwerker H.O. In: Society for Neuroscience, 31th Annual Meeting, 2001, San Diego, CA.
16. Kitamura K., Kanagawa K., Kojima M., Ichiki Y., Matsuo H., Eto T. FEBS Lett, 1994, 338, 306-310.
17. Kitazano T., Heistad D., Faraci F.M. Am. J. Physiol., 1993, 265, 581-585.
18. Kobayashi D., Todoki K., Ozono S., Okabe E. Japan. J. Pharmacol., 1995, 67, 329-339.
19. Kontos H. Circ. Res., 1985, 57, 508-516.
20. Kruger L., Mantyh W., Sternini C., Brecha C., Mantyh C. Brain Res., 1988, 463, 223-244.
21. Lamb F.S., Webb R.C. Am. J. Physiol., 1984, 247, H709-H714.
22. Lee C., Okabe E. Japan. J. Pharmacol, 1995, 67, 21-28.
23. Lee Y., Takami K., Kawai Y., Girgis S., Hillyard C., MacIntre I., Emson P., Tohyama M. Neuroscience, 1985, 15, 1227-1237.
24. Lincoln T. Pharmacol. Ther., 1989, 41, 497-502.
25. Lundberg J.M. Acta Physiol. Scand. Suppl., 1981, 496, 1-57.
26. Lundberg J.M., Anggard A., Fahrenkrug J. Acta Physiol. Scand., 1982, 116, 387-392.
27. Marshall J.J., Kontos H.A. Hypertension, 1990, 16, 371-386.
28. McCormack D.C., Mak J., Coupe M.O., Barnes P. J. Appl. Physiol., 1989, 67, 1265-1270.
29. Moncada S., Palmer R., Higgs E. Pharmacol. Rev., 1991, 43, 109-142.
30. Mulderry P.K., Ghatey M., Rodrigo J., Allen J.M., Rosenfeld M.G., Polak J.M., Bloom S.R. Neuroscience, 1985, 14, 947-954.
31. Mulle C., Benoit P., Pinset C., Roa M., Changeux J. Proc. Natl. Acad. Sci. USA, 1988, 85, 5728-5732.
32. Nakamura H., Fukuda Y., Koida M., Fujii N., Otaka A., Funakoshi S., Yajima H., Mitsuyasu N., Orlowski R. Japan. J. Pharmacol., 1986, 42, 175-180.
33. Neher R., Riniker B., Maier R., Byfield P., Gudmundsson T.V., MacIntre I. Nature, 1968, 220, 984-986.
34. Nelson M.T., Hung Y., Beyden J., Hescheler J., Standen N.B. Nature, 1990, 344, 770-773.
35. Nillson L., Edvinsson I., Jansen I. Ann. NY Acad. Sci., 1992, 657, 510-512.
36. Nuki C., Kawasaki H., Kitamura K., Takegana M., Kangawa K., Eto T., Wada A. Biochem. Biophys. Res. Commun., 1993, 196, 245-251.
37. Okabe E., Kato Y., Kohno H., Hess M., Ito H. Biochem. Pharmacol., 1985, 34, 961-968.
38. Okabe E., Todoki K., Odajima C., Ito H. Japan. J. Pharmacol, 1983, 33, 1233-1239.
39. Pernow J. Br. J. Pharmacol, 1989, 97, 983-989.
40. Persson K., Garcia-Pascual A., Anderson K. Acta Physiol. Scand., 1991, 143, 45-53.
41. Popescu L.M., Panoiu C., Hinescu M., Nuto O. Eur. J. Pharmacol., 1985, 107, 393-394.
42. Preibisz J.J. Am. J. Hypertens., 1993, 6, 434-450.
43. Rosenfeld M.G., Mermod J.J., Amara S.G., Swanson L.W., Sawchenko P., Rivier J., Vale W., Evans R. Nature, 1983, 304, 129-135.
44. Rozenfeld M.G., Mermod J.J., Amara S.G., Swanson L., Sawchenko P., Rivier J., Vale W.W., Evans R.M. Nature, 1983, 304, 129-135.
45. Rubanyi G.M. Free Radical Biol. Med. 1988, 4, 107-120.

46. Sakata J., Shimokubo T., Kitamura K., Nakamura S., Kangawa K., Matsuo H., Eto T. Biochem. Biophys. Res. Commun., 1993, 195, 921-927.
47. Samuelsson B. Harvey Lect., 1979, 75, 1-40.
48. Sexton P.M., McKenzie J.S., Mason R.T., Moseley J., Martin T.J., Mendelsohn F. Neuroscience, 1986, 19, 1235-1245.
49. Sigrist S., Franco-Cereceda A., Muff R., Henke H., Lundberg J.M., Fisher J.A. Endocrinology, 1986, 119, 381-384.
50. Skofitsch G., Jacobowitz D.M. Peptide, 1985, 6, 721-745.
51. Todoki K., Okabe E., Kiyose T., Sekishita T., Ito H. Am. J. Physiol., 1992, 262, H806-H812.
52. Tschopp F.A., Henke H., Petermann J.B., Tobler H., Janzer R., Hockfelt T., Lundberg J.M., Cuello C., Fischer J.A. Proc. Natl. Acad. Sci. USA, 1985, 82, 248-252.
53. Uddman R., Edvinsson I. Cerebrovasc. Brain Metab. Rev., 1989, 1, 230-252.
54. Ursell P.C., Ren C., Albala A., Danilo P. Circ. Res., 1991, 68, 131-140.
55. Ursell P.C., Ren C.L., Albala A., Danilo P. Circ. Res., 1991, 68, 131-140.
56. Wimalawansa S. Endocrine Rev., 1996, 17, 5, 533-585.
57. Wimalawansa S.J., MacIntyre I. Int. J. Cardiol., 1988, 20, 29-37.
58. Yoshizaki H., Takamiya M., Okada T. Biochem. Biophys. Res. Commun., 1987, 146, 443-451.

ВАЗОДИЛЯТАЦИОННЫЙ ЭФФЕКТ ПЕПТИДА, СВЯЗАННОГО С ГЕНОМ КАЛЬЦИТОНИНА (CGRP)

Г. Диасамидзе, И. Диасамидзе, Е. Григораишвили*, Л. Гомелаури*,
 Г. Бекая*

Батумский государственный университет им. Ш. Руставели; * Грузинская государственная медицинская Академия, Тбилиси

РЕЗЮМЕ

На основе анализа литературных данных описаны особенности распределения пептида, связанного с геном кальцитонина (CGRP) и его рецепторов в системах периферического и центрального кровообращения; анализируется роль CGRP-пептида в регуляции периферического и органного кровотока, а также возможное участие оксида азота и циклического гуанозинмонофосфата в эндотелий-зависимой, CGRP-пептидом обусловленной вазодилатации и, вообще, необходимость наличия эндотелия для достижения вазодилатационного эффекта CGRP-пептида. Анализ данных не позволяет приписать оксиду азота роль медиатора в этой эндотелий-зависимой вазодилатации.

Оценено состояние изучения вопроса о возможном влиянии свободных радикалов на вазодилатационный эффект CGRP-пептида. Подчеркивается важная теоретическая и практическая значимость исследования роли кислородных радикалов в CGRP-опосредованной нейрогенной вазодилатации лингвальной артерии.

VASODILATATORY EFFECT OF CALCITONIN GENE-RELATED PEPTIDE (CGRP)

G. Diasamidze, I. Diasamidze, E. Grigorashvili, L. Gomelauri*, G. Bekaiia**

Sh. Rustaveli Batumi State University; * Georgian State Medical Academy, Tbilisi

SUMMARY

On the basis of published data the peculiarities of calcitonin gene-related peptide (CGRP) and its receptor's distribution in the systems of peripheral and central blood circulation are described; the role of CGRP-peptide in regulation of peripheral and organ blood flow is analyzed, as well as the possible participation of nitric oxide (NO) and cyclic guanosin monophosphate (cGMP) in CGRP-peptide conditioned endothelium-dependent vasodilatation and the necessity of presence of endothelium for vasodilatory effect of CGRP in general. Analysis of published data does not allow concluding that CGRP-peptide conditioned endothelium-dependent vasodilatation is mediated by nitric oxide.

The possible effect of free radicals on CGRP-related vasodilation is evaluated. The significant theoretical and practical meaning of the investigation of oxygen-derived free radicals role in CGRP-conditioned neurogenic vasodilatation of lingual artery is underlined.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2003, ტ. 29, № 3-4.
Известия АН Грузии, сер. биол. А, 2003, т. 29, № 3-4.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2003, vol. 29, No 3-4.

ინტრანატალური ჰიპოქსიისა და ოქსიტოცინის გავლენა პასიური განრიდების პირობით რეაქციაზე

*მ. გარსიაშვილი, ე. მონიავა, მ. ბუცხრიკიძე, მ. ლოლობერიძე,
ნ. ბუკია, მ. სვანიძე*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის
ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 21.04.2003

შესწავლილია ინტრანატალური ჰიპოქსიის გავლენა ზრდასრული ვირთაგვების გრძელვადიან მეხსიერებაზე, აგრეთვე ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზური ჰორმონის – ოქსიტოცინის როლი ცხოველების მეხსიერების რეგულაციაში. 15 წთ-ით ადრე ცხოველებს ტესტირებამდე პერიტონეუმში შეიყვანებოდა 10 მკგ/კგ ოქსიტოცინი. გრძელვადიან მეხსიერებას შევისწავლიდით პასიური განრიდების რეაქციის ტესტით. ნაჩვენებია, რომ ინტრანატალური ჰიპოქსიის პირობებში ზრდასრული ვირთაგვების ქცევასა და გრძელვადიან მეხსიერებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოვლინდა.

საკვანძო სიტყვები: ჰიპოქსია, ოქსიტოცინი, მეხსიერება, პასიური განრიდების პირობითი რეაქცია

პრენატალურ პერიოდში გადატანილი ჰიპოქსიის უარყოფითი გავლენა ნაყოფისა და ახალშობილის ორგანოებზე, კერძოდ, თავის ტვინზე, მრავალი მკვლევარის მიერაა ნაჩვენები [3, 4]. დადგენილია, აგრეთვე, რომ ჰიპოქსიისადმი განსაკუთრებით მადალი მგრძობელობა ნერვულ ქსოვილს ახასიათებს. O_2 -ის დეფიციტის პირობებში განსაკუთრებით ძლიერ ზიანდება თავის ტვინის ქერქი, რომელშიც O_2 -ით მოძარაგების შეწყვეტიდან 3-5 წთ-ის შემდეგ ვითარდება ნეკროზული კერები, მაშინ, როდესაც მოკრო ტვინში ასფიქსიის დაწყებიდან 10-15 წუთის შემდეგ მხოლოდ ერთეული უჯრედები ზიანდება. ჰიპოქსიის პირობებში ნაჩვენებია მნიშვნელოვანი ცვლილებები თავის ტვინის ჰიპოთალამო-ჰიპოფიზურ უბანშიც [5]. იმდენად, რამდენადაც თავის ტვინის ქერქი, ასევე ჰიპოთალამო-ჰიპოფიზური სისტემა აქტიურად მონაწილეობს მეხსიერების ფორმირებასა და რეგულაციაში, ლოგიკურია, რომ ჰიპოქსია უარყოფითად მოქმედებს მეხსიერებაზეც [6, 7, 9, 10].

ჩვენი გამოკვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა ინტრანატალური პიპოქსიის გავლენა ზრდასრული ინდივიდების გრძელვადიან მეხსიერებაზე და პიპოქსიის პორმონის ოქსიტოცინის როლი ცხოველების მეხსიერების რეგულაციაში. ამ საკითხის კვლევაში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, დაგროვილი მასალა ურთიერთსაწინააღმდეგოა და შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს [8].

მასალა და მეთოდები

ექსპერიმენტში ვიყენებდით ზრდასრულ, 220-250 გ წონის, ლაბორატორიულ უჯიშო ვირთაგვებს.

ქრონიკული პიპოქსიის მისაღებად მაკე ცხოველებს დღის განმავლობაში 4 საათის მანძილზე ვათავსებდით თავდახურულ ყუთში, სადაც სასუნთქი ჰაერის O_2 -ით გაჯერების ხარისხი 21%-დან 15%-მდე იყო შემცირებული. O_2 -ის პროცენტულ შემცველობას ვზომავდით ყოველ 30 წთ-ში "Pocket O_2 Monitor ($O_2\%$) Hoyer Bre Men" ხელსაწყოთი. თუ იგი 15%-ზე ქვემოთ დაიწვედა, ცხოველების სათავსს ვანიავებდით. ცხოველების მეხსიერებას შევისწავლიდით 3-4 თვის ვირთაგვებზე.

გრძელვადიან მეხსიერებას შევისწავლიდით პასიური განრიდების რეაქციის ტესტით [2]. პირობითი რეაქციის გამოიმუშავებას ვახდენდით ერთმანეთთან მომიჯნავე ბნელი და ნათელი განყოფილებებისაგან შემდგარ ექსპერიმენტულ დანადგარში. ცხოველი თავსდებოდა ნათელ განყოფილებაში 3 წთ-ის განმავლობაში და ვახდენდით შემდეგი მონაცემების რეგისტრაციას: ბნელ განყოფილებაში პირველი შესვლის ლატენტურ პერიოდს, გადასვლების რაოდენობისა და ნათელ განყოფილებაში ყოფნის ჯამურ დროს. ამის შემდეგ ცხოველს ვაბრუნებდით გალიაში. 30 წუთის შემდეგ განყოფილებების დამაკავშირებელ ფანჯარას ვკეტავდით. ცხოველს ვათავსებდით ბნელ კამერაში, სადაც იგი 12-ჯერ იღებდა ელექტრულ გაღიზიანებას 1 წთ-ის განმავლობაში. დასწავლიდან 24 სთ-ის შემდეგ ვახდენდით ცხოველების ტესტირებას შექმნილი რეაქციის შემონახვაზე. განათებულ განყოფილებაში ყოფნის დროის ხანგრძლივობა განიხილებოდა, როგორც ამ რეაქციის შენარჩუნება.

მეხსიერებაზე პიპოქსიის გავლენის შესასწავლად ცდები ჩატარდა ცხოველების ოთხ ჯგუფზე. პირველ ჯგუფში გაერთიანებული იყო არაპიპოქსირებული ინტაქტური ვირთაგვები, რომლებსაც ცდის წინ ვუკეთებდით ფიზიოლოგიური ხსნარის ინექციას, მეორე ჯგუფში – პიპოქსირებული ვირთაგვები, რომლებსაც ცდის წინ ასევე ვუკეთებდით ფიზიოლოგიურ ხსნარს. იმისათვის, რათა შეგვესწავლა ოქსიტოცინის როლი პიპოქსირებული ვირთაგვების მეხსიერების რეგულაციაში, არაპიპოქსირებულ ვირთაგვებს ცდის დაწყების წინ, 15 წთ-ით ადრე, პერიტონეუმში ვუკეთებდით სინთეზურ ოქსიტოცინს – ხიტოცინ "Gedeon Richter" დოზით 10 მკგ/კგ-ზე, გახსნილს ფიზიოლოგიურ ხსნარში (III ჯგუფი). მიღებულ შედეგებს ვადარებდით ჯგუფთან, რომელიც შედგებოდა პიპოქ-

სირებული ვირთაგვებისაგან და რომლებსაც ცდის წინ უკეთებოდა ოქსიტოცინი იგივე დოზით (IV ჯგუფი).

მიღებული შედეგები და განხილვა

პასიური განრიდების ტესტით გრძელვადიანი მეხსიერების გამოკვლევაში გვიჩვენა, რომ საკონტროლო ცხოველების ჯგუფში (ინტაქტური ცხოველები, ფიზიოლოგიური ხსნარით) ნათელ განყოფილებაში გატარებული დრო შეადგენდა 180 წამს, ე.ი. დამახსოვრების ხარისხი 100%-ს უტოლდებოდა. იგივე შედეგი იყო მიღებული პიპოქსირებული ცხოველების ჯგუფში (II ჯგუფი). აქაც პიპოქსირებული ცხოველები ნათელ განყოფილებაში იმყოფებოდნენ 180 წამი. დამახსოვრების ხარისხი იყო მაქსიმალური, ე.ი. ჩვენი ცდების პირობებში ინტრანატალური პიპოქსია არ ახდენს ზეგავლენას ვირთაგვების ხანგრძლივ მეხსიერებაზე.

რაც შეეხება ოქსიტოცინის გავლენას ხანგრძლივ მეხსიერებაზე, III და IV ჯგუფებში მიღებულია შემდეგი შედეგები. არაპიპოქსირებული ოქსიტოცინიანი ცხოველების მიერ ნათელ განყოფილებაში გატარებული დრო 180 წამი იყო. თუ ამ შედეგს შევადარებთ ინტაქტურ კონტროლს (ცხოველების I ჯგუფი), ვნახავთ, რომ ოქსიტოცინი არ ახდენს გავლენას არაპიპოქსირებული ვირთაგვების მეხსიერებაზე. იგივე შედეგია მიღებული პიპოქსირებულ ვირთაგვებში, სადაც ოქსიტოცინის შეყვანის შემდეგ მეხსიერების გაუარესება არ აღინიშნება და ცხოველების ნათელ განყოფილებაში ყოფნის დროც მაქსიმალური – 180 წამია. ამგვარად, ოქსიტოცინი პიპოქსირებული ვირთაგვების გრძელვადიან მეხსიერებაზე გავლენას არ ახდენს.

ლიტერატურის მონაცემების თანახმად, ინტრანატალური პიპოქსია უარყოფითად მოქმედებს ცხოველების მეხსიერებაზე და აუარესებს მას. ჩვენ შემთხვევაში ინტრანატალურ პიპოქსიას ზრდასრული ცხოველების მეხსიერებაზე გავლენა არ მოუხდენია.

მიღებული შედეგები შემდეგი გარემოებებით შეიძლება იყოს გამოწვეული. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ინტრანატალური პიპოქსიის უარყოფითი გავლენა ონტოგენეზური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარად არის გამოხატული და ასაკის მატებასთან ერთად იგი თანდათანობით მცირდება [1]. ჩვენ ცდებს ვატარებდით 3-4 თვის ასაკის ვირთაგვებზე და შესაძლებელია, ონტოგენეზის მოცემულ ეტაპზე მეხსიერების დეფიციტი ნაკლებად საგრძნობი იყოს, ან ჩვენს ექსპერიმენტში გამოყენებული პიპოქსიის პირობებში შეიძლება ჩაირთოს კომპენსატორული მექანიზმები, რაც სისხლის ნაკადის გაძლიერებით გამოიხატება და უზრუნველყოფს ნერვული ქსოვილის ჯანგადად სრულფასოვან მომარაგებას.

რაც შეეხება ლიტერატურის მონაცემებს ოქსიტოცინის შესახებ, იგი ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იგი აუმჯობესებს მეხსიერებას, ნაწილი მეცნიერებისა მუთითებს მის გამაუარესებელ გავლენაზე. ზოგიერთი კი თვლის, რომ ოქსიტოცინი მეხსიერებაზე არაერთარ გავლენას არ ახდენს.

ლიტერატურა

1. *Айвазашвили И.М., Зиракадзе А.Н., Карели Э.А.* Изв. АН ГССР, серия биол., 1979, 5, 345-348.
2. *Буреш Я., Бурешова О., Хьюстон Д.П.* Методика и основные эксперименты по изучению мозга и поведения. М., Высшая школа, 1991.
3. *Крыбус А.И., Жукова Т.П.* Пат. физиол., 1985, 3, 67-71.
4. *Махарадзе Л.М.* Диссер. канд. биол. наук, 1991.
5. *Сирота А.Р., Кадырова М.Г.* Мед. журн. Узбекистана, 1989, 11, 39-40.
6. *Almli C.R., Levy T.G., Han B., Shah A., Gidday T.M., Holtzman D.M.* Exp. Neurol., 2000, 166, 99-114.
7. *Du T.Y., Li X.Y., Zhuang Y., Wu X.Y., Wang T.* Space medicine and medical engineering, 1999, 12, 270-273.
8. *Moniava E., Butskhrikidze M., Khanaeva Z.* II Int. Conf.: Advances of Clinical and Theoretical Medicine and Biology. Trabson, Turkey, 2000, p. 78.
9. *Voronina T.A.* Vestnik Rossiiskoi akademii meditsinskikh nauk, 2000, 9, 27-34.
10. *Wang T., Shu S.Y., Bao X.M., Li S.X., Yang W.K., Gao K.* Academic Journal of the First Medical College of PLA, 2002, 22, 193-196.

ВЛИЯНИЕ ИНТРАНАТАЛЬНОЙ ГИПОКСИИ И ОКСИТОЦИНА НА УСЛОВНУЮ РЕАКЦИЮ ПАССИВНОГО ИЗБЕГАНИЯ

М. Варсимашвили, Э. Мониава, М. Буцхрикидзе, М. Гогоберидзе, Н. Букия, М. Сванидзе

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Было изучено влияние интранатальной гипоксии на долгосрочную память и роль гипоталамо-гипофизарного гормона – окситоцина на регуляцию памяти у половозрелых крыс-самцов. Окситоцин вводили в дозе 10 мкг/кг интраперитонеально, за 15 минут до тестирования животных. Долгосрочную память изучали в тесте реакции пассивного избегания. Показано, что в условиях интранатальной гипоксии значительных изменений в поведении и долгосрочной памяти животных не наблюдаются.

EFFECT OF INTRANATAL HYPOXIA AND OXYTOCIN ON CONDITIONED REACTION OF PASSIVE AVOIDANCE

M. Varsimashvili, E. Moniava, M. Butskhrikidze, M. Gogoberidze, N. Bukia, M. Svanidze

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

Effect of intranatal hypoxia on long-term memory and role of hypothalamo-hypophyseal hormone – oxytocin has been studied in regulation of memory in adult male rats. Oxytocin was injected intraperitoneally in a dose of 10 µg/kg 15 min prior to experiments. Long-term memory was studied in passive avoidance test. It has been showed that under conditions of intranatal hypoxia there were no significant changes in behavior and long-term memory of the animals.

პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზია (PIN), როგორც პროსტატის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა

*ნ. გეშაძე, კ. არცივაძე, ე. ხუციშვილი, თ. ჩიგოგიძე,
ღ. მანავაძე, ნ. კოტრიკაძე*

ო. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 3.02.2003


პროსტატის ქსოვილების დაზიანების სპეციფიკური ტიპი – მაღალი ხარისხის პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზია (HGPIN) წარმოადგენს პროსტატის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების უპირველეს წინაპირობას. მისი აღბათობა იზრდება ასაკის ზრდასთან ერთად და წინ უსწრებს ადენოკარცინომის გამოვლენას ~5 წლით ადრე. PIN დაზიანება ძირითადად აღინიშნება პროსტატის პერიფერიულ ზონაში. პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზია მულტიფოკალურია. გარდა ამისა, PIN დაზიანების დროს აღინიშნება ქრომოსომული ანომალიები. აღნიშნული დაზიანება ასოცირდება ფენოტიპისა და გენოტიპის პროგრესირებად ცვლილებებთან, რომელიც წარმოადგენს შუალედურს პროსტატის ნორმალურ ეპითელიუმსა და სიმსივნურს შორის.

საკვანძო სიტყვები: პროსტატა, ნეოპლაზია, სიმსივნის განვითარება

პროსტატის სიმსივნური ქსოვილების ჰისტო-პათოლოგიურმა შესწავლამ საშუალება მისცა მეცნიერებს განესაზღვრათ პროსტატის დაზიანების სპეციფიკური ტიპი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის პროსტატის კიბოს უპირველეს წინაპირობას. იგი ცნობილია როგორც პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზია (PIN) (სურ. 1ბ) [13].

არჩევენ PIN დაზიანების ორ ხარისხს – დაბალს (PIN1) და მაღალს (PIN2, PIN3) [8]. თავის მხრივ მაღალი ხარისხის PIN დაზიანება (HGPIN) კლასიფიცირებულ იქნა ოთხ საერთაშორისო არქიტექტურულ ტიპად: კონისებური (სურ. 2ა), მიკროპაპილარული (სურ. 2ბ), ბადისებრი (სურ. 2გ) და ბრტყელი (სურ. 2დ) [6]. უმეტეს შემთხვევაში აღინიშნება კონისებური ფორმა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ HGPIN-ის აღნიშნული არქიტექტურული ფორმების წინასწარი პროგნოზირება შეუძლებელია და მათი

გამოვლენის ერთადერთ საშუალებას ციტო-მორფოლოგიური კვლევები წარმოადგენს [6].



ა



ბ



გ


სურ. 1. პროსტატის ქსოვილების ჰისტო-მორფოლოგიური სურათი. ა) პრაქტიკულად ჯანმრთელი მამაკაცის; ბ) კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია PIN უბნებით; გ) ადენოკარცინომა.

მიუხედავად მრავალრიცხოვანი გამოკვლევებისა, დღეს-დღეობით არ არის საბოლოოდ დადგენილი ინარჩუნებს თუ არ PIN დაზიანება სტაბილურობას. მეკვლევარების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ PIN დაზიანება მიმდინარეობს ფარულად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში, შესაძლოა პროგრესირებაც [8]. პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზიით დაავადების აღბათობა იზრდება ასაკის ზრდასთან ერთად და წინ უსწრებს ადენოკარცინომის განვითარებას ~5 წლით ადრე [22]. მამაკაცების საშუალო ასაკი (65 წელი), რომლებშიც გამოვლენილ იქნა PIN დაზიანება იყო უფრო დაბალი ვიდრე იმ მამაკაცების, რომლებიც დაავადებული იყვნენ პროსტატის ადენოკარცინომით (70 წელი) [22, 23].


ცნობილია, რომ პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზიისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ჰისტოპათოლოგიური ანომალიები პროსტატის ეპითელიუმში (სურ. 3), რომელიც უჯრედების პროლიფერაციისა და დიფერენციაციის პროცესების დარღვევით გამოიხატება. PIN დაზიანების დროს ბაზალური უჯრედები კარგავენ პროლიფერაციულ ფუნქციას, მაშინ როდესაც ამგვარ აქტივობას იძენენ სეკრეტორული უჯრედები [5]. ე.ი. პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზიის დროს ადგილი უნდა ჰქონდეს სეკრეტორული უჯრედების გამრავლებას, რომელიც არ აღინიშნება კეთილთვისებიანი სიმსივნის დროს [8].

მაღალი ხარისხის პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზიის (HGPIN) ყველაზე მნიშვნელოვან ციტოლოგიურ ცვლილებად ითვლება ბირთვული და ბირთვაკული გადიდება (დაზიანებული კერის ცენტრში). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბირთვების გადიდება შეიძლება იყოს შესლედული და ჰიპერქრომატული, რაც მეტკველებს დეგენერაციულ ცვლილებებზე.

ნაკლებად დაზიანებულ კერებში კი, შეიმჩნევა მეტი სხვაობა ბირთვების ზომაში, ზოგიერთ მათგანში მნიშვნელოვნად არის შეცვლილი ბირთვების ფორმაც [8]. PIN დაზიანება ინვაზიური კარცინომის მსგავსად ძირითადად ვლინდება პროსტატის პერიფერიულ ზონაში, განსხვავებით კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიისა (BPH), რომელიც ძირითადად დაფიქსირებულია ჯირკვლის გარდამავალ ზონაში და ხასიათდება ბაზალურ შრეში სტრუქტურული ჰიპერპროლიფერაციით [16]. დაზიანება, რომელიც გამოიხატება ანთებით-პროლიფერაციული ატროფიით (PIA) წარმოადგენს PIN-ის წინაპირობას [14]. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზია პისტოლოგიურად მსგავსია სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის, ზოგ შემთხვევაში კი სარძევე ჯირკვლის ინტრაეპითელური ნეოპლაზიის (MIN), თუმცა ძირითადად შეიძლება იყოს ინდივიდუალურიც [11].



სურ. 2. მაღალი ხარისხის PIN დაზიანების (HGPIN) არქიტექტურული ტიპები (საერთაშორისო) [20]. ა) კონსერვული ფორმა; ბ) მიკროპაპილარული ფორმა; გ) ბადისებრი ფორმა; დ) ბრტყელი ფორმა.



სურ. 3. ეტაპები, რომელსაც გაივლის პროსტატის ნორმალური ეპითელიუმი (PIN დაზიანების მზარდი სტადიების გავლით) ადრეულ ინვაზიურ კარცინომად გარდაქმნის გზაზე [7]. 1 - სეკრეტორული უჯრედების შრე, 2 - ბაზალური უჯრედების შრე, 3 - ბაზალური მემბრანა. დაბალი ხარისხის PIN-ს (LGPIN) (I ხარისხი) შეესაბამება ზეუსუსტი და სუსტი დისკლაზია. მაღალი ხარისხის PIN-ს (HGPIN) (II ხარისხი) შეესაბამება უბანი, რომელიც მოიცავს საშუალოდან - მიმე დისკლაზიას. დისკლაზიურ ცვლილებებს ადგილი აქვს სეკრეტორული უჯრედების შრის ზედაპირზე.

გადასვლები - დისკლაზია → კარცინომა აღინიშნება ბაზალური უჯრედების შრის დაზიანების შემთხვევაში, როდესაც ავთვისებიანი უჯრედები მოიცავს სტრომას. კარცინომა მოიცავს "in situ"-ს და მიკროინვაზიურ უბნებს.

ცნობილია, რომ მაღალი ხარისხის პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზიის (HGPIN) დროს ადგილი აქვს სტრომის დაზიანებას. აღნიშნული დაზიანება ითვლება პროსტატის ავთვისებიანი სიმსივნის ნაადრევ მორფოლოგიურ ნიშნად, რომელსაც თან ახლავს ბაზალური შრის მოდიანობის რღვევა (სურ. 3) [7]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი ხარისხის PIN დაზიანების დროს ბაზალური შრე ინტაქტური ან ფრაგმენტული სახით არის შემორჩენილი, განსხვავებით კარცინომისაგან [9].

ცნობილია, რომ პროსტატის კიბოს ზრდასა და მეტასტაზირებას ხელს უწყობს ახალი სისხლძარღვები, რომლებიც გაძლიერებულად კვებავენ მას [3]. არსებული ლიტერატურული მონაცემების თანახმად PIN დაზიანების დროს მიკროსისხლძარღვების რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე პროსტატის ნორმალურ ეპითელიუმსა და კუთილთვისებიანი სიმსივნის დროს, თუმცა მათი რიცხვი ნაკლებია ადენოკარცინომასთან შედარებით [17]. პროსტატის კუთილთვისებიანი მიპერპლაზიისაგან განსხვავებით PIN დაზიანების დროს მიკროსისხლძარღვები წარმოდგენილია შედარებით უფრო მოკლე, არასწორ კონტურებიანი ღია სანათურით, რომელშიც ენდოთელური უჯრედების რიცხვი ჭარბობს [3, 17].

პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზიისათვის, ინვაზიური კარცინომის მსგავსად, დამახასიათებელია გენეტიკური პეტეროგენულობა, რასაც თან ახლავს ბირთვული და ბირთვაკული ცვლილებები, მნიშვნელოვანი შემადგენ-

ლობის ცვლილება [18]. პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზია ასოცირდება ფენოტიპისა და გენოტიპის პროგრესირებად ანომალიებთან, რომელიც წარმოადგენს შუალედურს პროსტატის ნორმალურ ეპითელიუმსა და სიმსივნურს შორის, ე.ი. ირღვევა უჯრედების დიფერენციაციის და რეგულაციის პროცესები, რაც შემდგომში იწვევს პროსტატის აეთისებიანი სიმსივნის განვითარებას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნული ცვლილებები უფრო ნაკლებ გამოხატულებას პოულობს პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზიის დროს, ვიდრე ის პროგრესირდება ჩამოყალიბებულ და მეტასტაზურ კარცინომად [8].

არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზია (PIN) განიცდის ელიმინაციას ანდროგენების დათრგუნვის თერაპიის დროს [18, 26]. სავარაუდოდ, ამ დროს ადგილი უნდა ჰქონდეს ანდროგენ-დამოკიდებული სიმსივნური უჯრედების მასიურ პროგრამირებულ კვლამას (აპოპტოზი) [18]. თავის მხრივ აღნიშნულ პროცესს თანახლავს ეპითელური ჰიპერპლაზია, ციტოპლაზმური გაწმენდა და მნიშვნელოვანი ჯირკვლოვანი ატროფია, რაც განაპირობებს ჯირკვლის ზომაში დაკლებას სტრომასთან შედარებით. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ პროსტატის დისპლაზიური ეპითელიუმი არის პორმონებზე დამოკიდებული [26].

эритема (1,8%); геморрагии на коже (8,1%); ревматоидный фактор (41,4%); антикардиолипины (10,8%); антинуклеарные антитела (1,8%); криоглобулины (10,8%). Использование χ^2 -теста показало достоверное различие между основной и контрольной группой ($n = 200$).

RHEUMATIC MANIFESTATIONS IN PATIENTS WITH CHRONIC HEPATITIS C VIRUS INFECTION IN GEORGIA

M. Lortkipanidze, E. Kartvelishvili, E. Vashakidze

V. Tsitlanadze Rheumatology Scientific-Practical Center, Tbilisi

SUMMARY

Total of 111 HCV-infected patients (100 male and 11 female) were studied. The following symptoms have been detected: polyarthralgias (12.6%); polymyalgias (10.8%); xerostomia (1.8%); xeroftalmia (1.8%); morning constraint (8.1%); numbness of extremities (18.9%); joint swelling (5.4%); limitation of movement (7.2%); joint pain during palpation (7.2%); muscle pain during palpation (8.1%); "butterfly" (0.9%); erythema nodosum (1.8%); skin hemorrhages (8.1%); rheumatoid factor (41.4%); anticardiolipin antibodies (10.8%); antinuclear antibodies (11.8%); crioglobulines (10.8%). Most of these parameters differed from the same parameters of control group ($n = 200$), as evidenced by χ^2 -test.

მიმე მეტალების განსაზღვრა სხვადასხვა ასაკობრივი (ზომითი) ჯგუფის მიდიებში (MYTILUS GALLOPROVINCIALIS LAM.)

ნ. მაჰმანიძე, ლ. ლუსმანაშვილი, ჯ. თინიანი**

საქართველოს ზღვის ეკოლოგიისა და თევზის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ბათუმი; * ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 10.04.2003

მიდია (*Mytilus galloprovincialis* Lam.) ტოქსიკოლოგიური კვლევის მოხერხებული ტესტ-ობიექტია. წინამდებარე ნაშრომში ატომურ-აბსორბციული მეთოდით განსაზღვრულია საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში მოპოვებული სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიდიებში მიმე მეტალების (Cr, Cd, Zn) რაოდენობა. გამოკვლევებით დადგინდა, რომ მათი მაქსიმალური კონცენტრაცია აღინიშნება გაზაფხულის პერიოდში, ხოლო მინიმალური – ზაფხულსა და შემოდგომაზე.

საკვანძო სიტყვები: მიდია, კადმიუმი, თუთია, ქრომი

შავ ზღვაში გავრცელებული მიდია *Mytilus galloprovincialis* Lam. მიეკუთვნება ორსაგდულიანთა კლასს, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წყალსატევების ბუნებრივი თვითგაწმენდის სისტემაში. მოღუსკები დღე-ღამის განმავლობაში 40 ლ-მდე დაბინძურებულ წყალს ფილტრავენ. ისინი ამტანნი არიან ჟანგბადის ნაკლებობის მიმართ. არახელსაყრელ პირობებში კაროტინოიდების წყალობით, რომლებიც კაროტინოსომებში იმყოფებიან, გადადიან ანაბიოზის მდგომარეობაში. კაროტინოიდები სუნთქვით ფერმენტებთან ერთად უზრუნველყოფენ ქსოვილებში O₂-ს მარაგს [8]. მოღუსკებზე დაყრდნობით შეისწავლიან მთელ რიგ ბიოლოგიურ ასპექტებს.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში (გონიო, მწვანე კონცხი) მოპოვებულ (2002 წლის მარტი, ივნისი, ოქტომბერი) მიდიებში განგვესაზღვრა მიმე მეტალების (Cr, Cd, Zn) დაგროვება სხვადასხვა ასაკობრივი (ზომითი) ჯგუფების მიხედვით.

მასალა და მეთოდები

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა მიდია *Mytilus gallprovincialis* Lam., რომელიც ინდიკატორული ორგანიზმია ზღვის ეკოსისტემაში მიძიმე მეტალების შემცველობის თავალსაზრისით [3]. ის, როგორც ტოქსიკოლოგიური მნიშვნელობის ორგანიზმი, საინტერესოა შემდეგით: მიდია ძირითადი სარეწაო ობიექტია, რომლის მარაგი შავ ზღვაში 7 მლნ. ტ. შეადგენს [2]. იგი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფილტრატორია [4] და სხვა ორგანიზმებთან შედარებით ამტანია დაბინძურებული გარემოს მიმართ. შავი ზღვის მიდიის სიცოცხლისუნარიანობისათვის ოპტიმალურ ტემპერატურად 8-23°C ითვლება. იგი უძლებს ტემპერატურის დაცემას 1°C-მდე, მაგრამ მისი ზრდა და კვება წყდება 4-5°C-ზე [1, 2, 4].

გამოსაკვლევი მიდიები, რომელთა წონა 0,001 გ სიზუსტით იყო აღებული, მოვათავსეთ 50-100 მლ ფართოყელიან კოლბაში, გამოვარეთ საშრობ კარადაში 100-105°C ტემპერატურაზე. გამომშრალ მასას დავამატეთ 100 მლ კონცენტრირებული HNO₃ და დავტოვეთ მთელი ღამის განმავლობაში.

კოლბიდან HNO₃ ავორთქლეთ მანამ, სანამ ნიმუში კვლავ იყო ნედლი. შემდეგ სამჯერ დავამატეთ გამოხდილი წყალი 10 მლ რაოდენობით. ავორთქლეთ მანამ, სანამ ნიმუში ნოტიოა. კოლბაში მოთავსებული მასა გავფილტრეთ NI-ფილტრით და შევაკეთ 25 მლ გამოხდილი წყლით. მიძიმე მეტალები განვსაზღვრეთ ატომურ-აბსორბციული მეთოდით [5].

შედეგები და მათი განხილვა

მიდიებში ასაკობრივი (ზომითი) ჯგუფების მიხედვით მიძიმე მეტალების განსაზღვრისას მიღებული მონაცემები მოცემულია ცხრილში. როგორც ცხრილიდან ჩანს, ახალგაზრდა მოლუსკებში ბიოლოგიურად აქტიური მიკროელემენტების შედარებით მეტი შემცველობა დაკავშირებულია ონტოგენეზის ადრეულ სტადიაზე ნიუთიურებათა ცვლის მომატებულ დონესთან, რასაც ამტკიცებენ სხვა მკვლევარებიც, კერძოდ, ბრიკსი და ლინგბი [7].

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მეტალთა კონცენტრაციის დაქვეითება უფრო მეტად გამოხატულია ზაფხულსა და შემოდგომაზე. გაზაფხულზე მეტალების მაქსიმალური კონცენტრაცია აღნიშნულია არა პატარა მიდიებში, არამედ 45 მმ მქონე ასაკობრივ ჯგუფში. ცნობილია, რომ ნიჟარის ამ სიგრძის მქონე შავი ზღვის მიდიები სქესობრივად მომწიფებული არიან [1]. გარდა ასაკობრივი ფაქტორებისა, ორგანიზმში მეტალების რაოდენობაზე მოქმედებს გამეტოგენეზის სეზონური სტადიები. მთელი წლის განმავლობაში სქესობრივად მწიფე მოლუსკებში რეპროდუქციული ციკლის სხვადასხვა ეტაპზე, მნიშვნელოვნად იცვლება ფოზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების მიმართულება და ინტენსივობა, რომლითაც განისაზღვრება ორგანიზმის მთხოვნინელება მიკროელემენტების მიმართ. მიდიებში მეტალების დაგროვების მაქსიმალური სიჩქარე დაფიქსირებულია გაზაფხულის პერიოდში, სასქესო პროდუქტების მომწიფების წინ [6].

სხვადასხვა ასაკის (ზომის) მიდიების მიკროელემენტების შედგენილობა.
 მშრალი წონის მკგ/გ.

მწვანე კონცხი, მარტი

ზომა, მმ	n	Zn	Cr	Cd
15-20	4	66,3	0,41	0,91
20-30	6	60,7	0,25	0,81
30-40	7	53,5	0,24	0,95
40-50	6	48,5	0,22	0,65

გონიო. მარტი

ზომა, მმ	n	Zn	Cr	Cd
15-20	4	65,4	0,43	0,90
20-30	6	61,6	0,27	0,79
30-40	7	53,3	0,25	0,93
40-50	6	47,9	0,23	0,63

მწვანე კონცხი, იენისი

ზომა, მმ	n	Zn	Cr	Cd
10-15	4	55,2	0,01	0,01
35-45	5	54,2	0,01	0,01
45-55	5	32,6	0,01	0,01

გონიო, იენისი

ზომა, მმ	n	Zn	Cr	Cd
10-15	4	55,4	0,01	0,01
35-45	5	54,3	0,01	0,01
45-55	5	32,9	0,01	0,01

მწვანე კონცხი, ოქტომბერი

ზომა, მმ	n	Zn	Cr	Cd
25-30	6	16,8	0,06	0,51
45	1	26,5	0,09	0,63
65	1	4	0,08	0,13

გონიო, ოქტომბერი

ზომა, მმ	n	Zn	Cr	Cd
25-30	6	16,9	0,07	0,52
45	1	26,6	0,08	0,65
65	1	4	0,07	0,13

ლიტერატურა

1. *Воробьев В.П.* Мидии Черного моря. Труды АзчерНИРО. 1938, Вып II.
2. *Зенкевич Л.А.* Жизнь животных. Беспозвоночные, т. 2. М., "Просвещение", 1968.
3. *Павлова Е.С.* В кн.: Комплексные методы контроля качества природной среды. Симп. Соц. стран. чл. СЭВ, М., 23-29 ноябрь, 1986, Черногоровка.
4. *Садыхова И.А.* Биология мидий. (Обзор иностранной литературы). М., "Рыбное хозяйство", 1964.
5. *Скюрихина И.М.* Руководство по методам анализа качества и безопасности пищевых продуктов. Москва, "Брандес", "Медицина", 1998.
6. *Тимофеев В.В.* В кн.: Тез. докл. IV Всесоюз. конф. по промышленным беспозвоночным. Севастополь, апрель, 1986.
7. *Brix H., Lyndby J.E.* The influence of size on the concentrations of Cd, Cu, Hg, Pb, and Zn in the common mussel (*Mytilus edulis*). Heavy metals in water organisms. Budapest, 1985.
8. *Karnaikhov V.N.* The role of filtration in mollusks rich in carotenoid in the self-cleaning of fresh waters. Human Impacts. Life in Fresh Water. Budapest, 1979.

ОПРЕДЕЛЕНИЕ ТЯЖЕЛЫХ МЕТАЛЛОВ В МИДИЯХ (*MYTILUS GALLOPROVINCIALIS* LAM.) РАЗЛИЧНЫХ ВОЗРАСТНЫХ ГРУПП

Н. Мазманиди, Л. Лусманашвили, Д. Ониани**

Научно-исследовательский институт морской экологии и рыбного хозяйства Грузии, Батуми; * Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Мидии являются удобным тест-объектом токсикологического исследования.

Атомно-абсорбционным методом определили количество тяжелых металлов в мидиях различных возрастных групп на грузинском побережье Черного моря. В ходе исследования было обнаружено, что содержание тяжелых металлов весной максимально, летом и осенью – минимально.

ASSESSMENT OF HEAVY METALS IN DIFFERENT AGE GROUPS OF MUSSELS (*MYTILUS GALLOPROVINCIALIS* LAM.)

N. Mazmanidi, L. Lusmanashvili, J. Oniani**

Georgian Institute of Sea Ecology and Fish Economy, Batumi; * I. Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Mussels are the versatile test-object for toxicological research. The volume of heavy metals (Cr, Cd, Zn) was evaluated in different age group mussels of Georgian Black Sea coastline by atomic absorption method.

The results of the study have shown that concentration of heavy metals is highest in the spring, and minimal in summer and autumn.

პლაზმარონ ლბ-ს გავლენა ავადმყოფის სისხლის ელექტრონულ-პარამაგნიტური რეზონანსის სიგნალების ცვლილებაზე მიოკარდიუმის მუშავე ინფარქტის დროს

ა. მკერელიაძე, თ. სანიკიძე, ვ. ბახუტაშვილი, ლ. ჯაფარიძე

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 04.04.2003

ნაშრომი ეხება ანტიოქსიკური და ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ენდოგენური პრეპარატის პლაფერონ ლბ-ს გავლენის შესწავლას მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით დაავადებულთა სისხლის მპრ სიგნალებზე.

შესწავლილია 74 ავადმყოფი მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით. სისხლის მპრ-სპექტროსკოპიული ანალიზი ტარდებოდა მკურნალობამდე და მკურნალობის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ. პლაფერონით მკურნალობა ჩატარდა 44 ავადმყოფს, რომელთაც ჩვეული მკურნალობის ფონზე კუნთში უკეთდებოდათ აღნიშნული პრეპარატი 0,8 მგ/კგ დღეში. 30 ავადმყოფის (საკონტროლო ჯგუფი) მპრ სიგნალების ცვლილებათა დინამიკა შესწავლილ იქნა ტრადიციული მკურნალობის ფონზე, პლაფერონის გარეშე. მპრ სიგნალების ნორმის დადგენისათვის სისხლის ანალიზი ჩატარდა 20 პრაქტიკულად ჯანმრთელ პირს.

კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ პლაფერონ ლბ-ს ჩართვა მიოკარდიუმის ინფარქტის მწვავე სტადიაში, საკონტროლო მონაცემებისაგან განსხვავებით, იწვევს თავისუფალ-რადიკალური ჟანგის პრომოტორების (Fe^{2+} და Mn^{2+}) წარმოქმნის შემცირებას და Fe^{3+} -ტრანსფერინის მპრ სიგნალების ინტენსივობის გაძლიერებას, რაც მიუთითებს პლაფერონის ხელშეწყობ რთულზე ორგანიზმში პრო- და ანტიოქსიდანტურ სისტემებს შორის მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით გამოწვეული დისბალანსის აღმოფხვრაში.

საკვანძო სიტყვები: პლაფერონი ლბ, მიოკარდიუმის ინფარქტი, ელექტრონულ-პარამაგნიტური რეზონანსი, ლიპიდების პეროქსიდაცია, ანტიოქსიდანტები

გულის იშემიური დაავადება წარმოადგენს გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიით გამოწვეული სიკვდილობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს. მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, როგორც გულის იშემიური დაავადების მწვავე ფორმა, დინამიური პროცესია, რომლის განვითარების ძირითადი ეტაპებია:

იშემია, იშემიური დაზიანება და ნეკროზი. პირველი ორი ეტაპი შექცევადი ხასიათისაა და კორონარული სისხლმიმოქცევის ნორმალიზაციის შემთხვევაში უკუგანვითარებას განიცდის, ხოლო მესამე ეტაპი უჯრედის შეუქცევადი დესტრუქციაა, რომლის ხელშემწყობ ფაქტორთა შორის მნიშველოვანი როლი უჯრედშიდა ჰიპოქსიისა და ენერგეტიკული დისბალანსის შედეგად აღმოცენებული ლიპიდური პეროქსიდაციის გაძლიერებას და ანტიოქსიდანტური აქტივობის დათრგუნვას ენიჭება. როგორც დაზიანების კერაში, ისე მის ირგვლივმყოფ ქსოვილში განვითარებული დისმეტაბოლური ცვლილებების ხასიათი და სიმძიმე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის კლინიკურ მიმდინარეობასა და გამოსავალს. აქედან გამომდინარე აღნიშნული დაავადების მკურნალობაში ტრადიციული მიდგომების გარდა აქტუალობას დაზიანების კერის მეტაბოლური კორექციის პრობლემაც იქნეს. ამ მხრივ საყურადღებოა სამამულო წარმოების ენდოგენური პრეპარატი პლაფერონი ლბ, რომლის მრავალმხრივმა კლინიკურ-ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ გამოავლინა მისი ანტიჰიპოქსიური, ანტიოქსიდანტური და იმუნომამოღულიერებელი თვისებები [1, 3, 4, 5, 6, 7, 9].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა პლაფერონ ლბ-ს გავლენა ავადმყოფის სისხლის ლიპიდების პეროქსიდაციისა და ანტიოქსიდაციის პროცესებზე მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დროს სისხლის ელექტრონულ-პარამაგნიტური (მპრ) სიგნალების ცვლილებების მიხედვით.

მასალა და მეთოდები

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 74 ავადმყოფი მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით, რომელთა შორის 64-ს ჰქონდა ტრანსმურული (Q-კბილით), ხოლო 10-ს სუბენდოკარდიული (Q-ს გარეშე) ინფარქტი. ქალი იყო 22, მამაკაცი – 52; ავადმყოფთა ასაკი იყო 35-70 წლის ფარგლებში. 6 ავადმყოფს მწვავე სტადიაში აღენიშნებოდა მძიმე გართულება კარდიოგენული შოკის, ხოლო 10-ს – კარდიალური ასთმის სახით. ყველა ავადმყოფს სტაციონარში შემოსვლისთანავე ტრადიციულ კლინიკურ-ლაბორატორიულ გამოკვლევებთან ერთად უტარდებოდა სისხლის მპრ-სპექტროსკოპიული ანალიზი რადიოსპექტრომეტრზე P3-1307 (რუსეთი). ნორმის დადგენის მიზნით სისხლის მპრ-სიგნალები შევისწავლეთ 20 ჯანმრთელ პირში. 44 ავადმყოფის სისხლის მპრ-სიგნალების ცვლილებები დინამიკაში შესწავლილ იქნა პრეპარატ პლაფერონ ლბ-თი მკურნალობის ფონზე. ამ ავადმყოფებს ჩვეულ მკურნალობასთან ერთად სტაციონარში ყოფნის პირველი კვირის განმავლობაში კუნთში უკეთდებოდათ პლაფერონი 0,8 მგ/კგ/დღ. საკონტროლო ჯგუფში (30 ავადმყოფი) სისხლის მპრ-სიგნალების ცვლილებები დინამიკაში შესწავლილ იქნა ტრადიციული მკურნალობის ფონზე, პლაფერონის გარეშე. ყველა გამოკვლევა ტარდებოდა ორმაგი ბრმა მეთოდით რანდომიზაციის წესის დაცვით. მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზისათვის ვიყენებდით სტიუდენტის მეთოდს.

შედეგები და მათი განხილვა

პრაქტიკულად ჯანმრთელი პირებისა და მოიკარდიუმის მწვავე ინფარქტით დაავადებულთა სისხლის მარ-სიგნალების შედარებითი ანალიზი გეიჩვენებს, რომ აღნიშნული დაავადების დროს აღგილი აქვს სისხლის პარამაგნიტური ცენტრების საგრძნობ და სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებებს, რომელთა ინტენსივობა დამოკიდებულია ერთი მხრივ ინფარქტის განვითარებიდან განვლილ დროზე (ცხრილი 1), ხოლო მეორე მხრივ დაზიანების კერის სიდიდეზე (სურ. 1) და მოიკარდიუმის ინფარქტის კლინიკური გართულებების სიმძიმეზე (სურ. 2). ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ ნორმიდან განსხვავებით ინფარქტიან ავადმყოფთა სისხლში დაავადების მწვავე სტადიაში ჩნდება ორვალენტური რკინის იონები (Fe^{2+}), მეტჰემოგლობინი (MetHb) და სისხლის ფორმიანი ელემენტების ადრენორეცეპტორების აქტიური მდგომარეობისათვის დამახასიათებელი მარ-სიგნალი ($g = 2,03$). მეორე მხრივ, მკვეთრად ეცემა Fe^{3+} -ტრანსფერინის მარ სიგნალის ინტენსივობა, ხოლო ცერულოპლაზმინის, Mn^{2+} -ის და NO-ს სიგნალების ინტენსივობა ნორმასთან შედარებით საგრძნობლად იზრდება, განსაკუთრებით ტრანსსურალური ინფარქტის დროს.

ცხრილი 1


სისხლის პარამაგნიტური ცენტრების ცვლილებები მოიკარდიუმის მწვავე ინფარქტის განვითარების პირველ დღეს

ჯგუფები	N	Fe^{2+}	Fe^{3+} ტრ.	MetHb	Cer	Mn^{2+}	$g = 2,01$	$g = 2,03$	NO	HbNO
ნორმა	20	-	$26,5 \pm 2,6$	-	$10,5 \pm 1,4$	$4,0 \pm 0,4$	-	-	$14 \pm 1,2$	-
2-6 საათი ინფარქტის დაწყებიდან	10	$11,1 \pm 1,5$ $p < 0,03$	$22,7 \pm 1,8$ $p < 0,02$	$1,5 \pm 0,6$ $p < 0,01$	$15,0 \pm 0,8$ $p < 0,001$	$6,5 \pm 0,5$ $p < 0,001$	-	$1,6 \pm 0,2$ $p < 0,02$	$30 \pm 2,3$ $p < 0,02$	-
12-24 საათი ინფარქტის დაწყებიდან	64	$18,5 \pm 1,3$ $p < 0,001$	$17,9 \pm 1,0$ $p < 0,001$	$3,0 \pm 0,5$ $p < 0,02$	$18,2 \pm 1,2$ $p < 0,001$	$8,9 \pm 0,8$ $p < 0,002$	$3,6 \pm 0,7$ $p < 0,01$	-	$7,2 \pm 1,4$ $p < 0,03$	$-2,5 \pm 0,4$ $p < 0,01$

გრაფიკების სახით წარმოდგენილი მონაცემები (სურ. 2) სისხლის მარ სიგნალების ცვლილებების შესახებ მოიკარდიუმის მწვავე ინფარქტის გართულებული და გართულებული მიმდინარეობის დროს თვალნათლივ გეიჩვენებს ამ ცვლილებების დამოკიდებულებას დაავადების სიმძიმეზე. სახელდობრ, კარდიოგენული შოკისა და გულის უკმარისობის დროს სისხლში საგრძნობლად მომატებულია Fe^{2+} იონების, MetHb, ცერულოპლაზმინისა და მანგანუმის იონების მარ სიგნალი და მნიშვნელოვნად დაცემულია Fe^{3+} -ტრანსფერინისა და NO-ს მარ სიგნალების ინტენსივობა.

როგორც ცნობილია, ორგანიზმის ანტიოქსიდანტური სისტემის მდგომარეობას და ანტი- და პროოქსიდანტურ სისტემებს შორის ბალანსის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოიკარდიუმის დაზიანების პათოგენეზში. სისხლის ანტიოქსიდანტური სისტემის აქტივობა ძირითადად ცერულოპლაზმინის და Fe^{3+} -ტრანსფერინის აქტივობით განისაზღვრება.

ცერულოპლაზმინი სისხლის შრატის პოლიფუნქციური ფერმენტი, რომელიც სუპეროქსიდისმუტაზური, პეროქსიდაზული, ფეროქსიდაზული და ამინოოქსიდაზური მოქმედებით ხასიათდება [12, 13]. სისხლში Cu^{2+} -ცერულოპლაზმინის დონე მის ანტიოქსიდაციურ აქტივობას განაპირობებს. ცერულოპლაზმინი სისხლში მოქმედებს, როგორც ორვალენტური რკინის დამჟანგველი ($\text{Fe}^{2+} \rightarrow \text{Fe}^{3+}$) და რკინის იონების აპო-ტრანსფერინში ჩართვას უზრუნველყოფს. ამ რეაქციის შედეგად სისხლის შრატიდან ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის უშუალო ინდუქტორის – Fe^{2+} იონების მოცილება ხორციელდება. თუ ცერულოპლაზმინი მოქმედებს, როგორც Fe^{2+} -ს დამჟანგველი, ტრანსფერინი Fe^{3+} -ს იკავშირებს და ამ ორი ფერმენტული სისტემის მუშაობისას ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პრევენცია ხორციელდება.




სურ. 1. სისხლის მარ სივანალები სუბენდოკარდიული და ტრანსმურული ინფარქტის მწვავე სტადიაში.

ჩვენი კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ინფარქტის განვითარებისთანავე დაჟანგული ცერულოპლაზმინის მარ სივანლის ინტენსივობა მკვეთრად იზრდება (42,8%), ხოლო Fe^{3+} -ტრანსფერინის მარ სივანლის ინტენსივობა მხოლოდ 14%-ით მცირდება ნორმასთან შედარებით. რამდენიმე საათის შემდეგ დაჟანგული ცერულოპლაზმინის მარ სივანლის ინტენსივობა აგრძელებს მატებას. ამ პერიოდში Fe^{3+} -ტრანსფერინის მარ სივანლის ინტენსივობა მცირდება 32%-ით. ეს მონაცემები მწვავე ინფარქტის განვითარებისთანავე ორგანიზმში რეაქტიული ჟანგბადის ჭარბ წარმოქმნაზე და ორგანიზმში ოქსიგენური სტრესის განვითარებაზე მიუთითებს. უკანასკნელი იწვევს სისხლის ცერულოპლაზმინის დაჟანგვას და მისი მარ სივანლის ინტენსივობის მომატებას. როგორც ჩანს, Fe^{3+} -ტრანსფერინის

მპრ სიგნალის შემცირება ინფარქტის მოგვიანებით ფაზაში იწყება. ეს გარემოება შესაძლებელია ცერულოპლაზმინის პეროქსიდაზული აქტივობის დაქვეითებით იყოს განპირობებული. სისხლის ანტიოქსიდანტური ფერმენტების (ცერულოპლაზმინისა და Fe^{3+} -ტრანსფერინის) აქტივობის დაქვეითება თავისუფალი რკინის იონების (Fe^{2+}) მომატების ერთ-ერთ მიზეზს უნდა წარმოადგენდეს. სისხლის შრატში თავისუფალი რკინის იონების წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს აგრეთვე ერთროციტების ჰემოლიზი, კარდიომიოციტებში ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის აქტივაცია და მემბრანული სტრუქტურების რღვევა, მიტოქონდრიული რკინა-გოგირდოვანი ცილების დესტრუქცია და ფერიტინიდან რკინის იონების განთავისუფლება. Fe^{2+} -იონები, თავის მხრივ, ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

რკინის იონები ფენტონის და ჰაბერ-ვაისის რეაქციებში მონაწილეობენ და ამ გზით აკატალიზებენ ლიპიდების ზეჟანგურ ჟანგვას და ჰიდროქსილრადიკალების წარმოქმნას. ამ რეაქციების შედეგად ერთროციტების ჰემოლიზს და სხვა უჯრედების დაზიანებას აქვს ადგილი. უკანასკნელი ელინდება MetHb-ს მპრ სიგნალის გამოჩენით სისხლის მპრ სპექტრში, ანუ რკინის იონებით ორგანიზმის გადატვირთვა უჯრედების სერიოზულ დაზიანებას განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მონაცემებით MetHb-ს მპრ სიგნალის ინტენსივობა განსაკუთრებით მაღალია ტრანსმურული ინფარქტის დროს (სურ. 2).



სურ. 2. სისხლის მპრ სიგნალები გაურთულებელი და გართულებული ინფარქტის დროს.

მწვავე ინფარქტის დროს ავადმყოფის სისხლის მარ-სპექტრში ჩვენს მიერ გამოვლენილია Mn^{2+} -ს შემცველი კომპლექსების ინტენსიური მარ სიგნალი. მისი გამოჩენა სისხლის მარ-სპექტრში მწვავე ტრანსმურული ინფარქტის დროს მემბრანული სტრუქტურების დაზიანებაზე და Mn^{2+} -ს შემცველი მიტოქონდრიული სუპეროქსიდდისმუტაზას ინაქტივაციაზე მიუთითებს [8]. დაზიანებული ქსოვილიდან ეს იონები სისხლში გადაინაცვლებს და სხვა ცვალებადვალენტოვანი იონების (Fe^{2+}) მსგავსად ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის ინდუქციაში მონაწილეობენ, ანუ შეიძლება დავასკვნათ, რომ მწვავე ინფარქტის დროს ორგანიზმში ადგილი აქვს თავისუფალრადიკალური ჟანგვის პრომოტორების (Fe^{2+} , Mn^{2+}) ჭარბი რაოდენობით წარმოქმნას და ანტიოქსიდაციური დაცვის ფერმენტული სისტემის ინაქტივაციას, რაც ოქსიგენური სტრესის განვითარებას განაპირობებს. ინფარქტის განვითარების პირველ საათებში პაციენტების სისხლის მარ სპექტრში ჩვენს მიერ გამოვლენილია სისხლის ფორმიანი ელემენტების ადრენორეცეპტორების აქტიური მდგომარეობისათვის დამახასიათებელი ინტენსიური მარ სიგნალი ($g = 2,003$), რაც სისხლში ადრენალინის ჭარბ გამოყოფაზე მიუთითებს (ცხრ. 1). მოგვიანებით სისხლის მარ-სპექტრში ვლინდება სისხლის უჯრედების ადრენორეცეპტორების ინაქტივირებული მდგომარეობისთვის დამახასიათებელი მარ სიგნალი $g = 2,001$ [8]. ადრენერგული სისტემის ინაქტივაცია შეიძლება განპირობებული იყოს როგორც უჯრედის მემბრანული სტრუქტურების დაზიანებით, ასევე ადენილატციკლაზას ენდოგენური ბლოკატორების, Mn^{2+} -იონების, კონცენტრაციის მომატებით, რომლებიც იწვევენ ადრენორეცეპტორების გათიშვას ადენილატციკლაზური სისტემიდან [14]. ადრენერგული რეცეპტორების ინაქტივაცია, თავის მხრივ, ორგანიზმში დაცვიით-კომპენსატორული რეაქციების დათრგუნვას განაპირობებს.

აღსანიშნავია თავისუფალი აზოტის ჟანგის მარ სიგნალის ინტენსივობის მკვეთრი მომატება (114%) სისხლის მარ სპექტრში მწვავე ინფარქტის განვითარებისთანავე. აღნიშნული ორგანიზმის ვაზოდილატაციისკენ მიმართული კომპენსატორული რეაქციის გამოვლინებას უნდა წარმოადგენდეს მიოკარდიუმში განვითარებული იშემიის საპასუხოდ.

არტერიების ტონუსი მუდმივად კონტროლირდება NO-ს მიერ. აზოტის ჟანგის მონაწილეობა სისხლძარღვთა ტონუსის მოდულაციასა და თრომბოგენეზის პროცესში გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა პათოგენეზში მის მნიშვნელოვან როლს განაპირობებს. მწვავე ინფარქტის განვითარების მოგვიანებით ეტაპზე სისხლში მკვეთრად მცირდება აზოტის ჟანგის შემცველობა. ეს გარემოება, პირველ რიგში, ორგანიზმში განვითარებული ოქსიგენური სტრესის და პეროქსინიტრატის ჭარბი წარმოქმნის შედეგს წარმოადგენს. ამავე დროს თავისუფალი NO-ს ბიოაქტიუობის შეზღუდვას ჰემოგლობინის NO-ს მიმართ მაღალი აფინურობა განაპირობებს. ერთორციტებში NO უკავშირდება როგორც ჰემურ რკინას, ისე ჰემოგლობინის 93 ცისტეინს. ამ ჯგუფებს შორის NO-ს გადაადგილება ჰემოგლობინის სტრუქტურის, ოქსი- და დეოქსიმდგომარეობების

ცვლილებებთან არის დაკავშირებული [15]. მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დროს განვითარებული პიოპსიის პირობებში სისხლში გროვდება დეზოქსიმოგლობინი, რომელიც იერთებს ჭარბად წარმოქმნილ NO-ს ნიტროზოჰემოგლობინის (HbNO) წარმოქმნით. აღნიშნული სიგნალი ვლინდება მწვავე ინფარქტის მქონე პაციენტების სისხლის მპრ სპექტრში დაკვირვების პირველ საათებში და ორგანიზმში აზოტის ჟანგის ჭარბწარმოქმნის და დეზოქსიმოგლობინის დაგროვებაზე მეტყველებს. ჟანგბადის რეაქტიული ფორმების დაგროვებისას ნიტროზოჰემოგლობინი (HbNO) MetHb-ად და ნიტრატად (NO₂) იშლება, რაც ვლინდება MetHb-ს ინტენსიური მპრ სიგნალის გამოჩენით ინფარქტით დაავადებულთა სისხლში.

საყურადღებოა ჩვენი კვლევის მონაცემები, რომლებიც ინფარქტიანი ადამიანების სისხლის მპრ სიგნალების ცვლილებებს ეხება მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მკურნალობის ფონზე (ცხრილი 2). ტრადიციული სამკურნალო საშუალებების გამოყენების პირობებში პლავგრონის გარეშე დაქანებული ცერულოპლაზმინი სტატისტიკურად სარწმუნოდ არ იცვლება საწყის მანქენებლებთან შედარებით. ასევე არ იცვლება Fe³⁺-ტრანსფერინის მპრ სიგნალის ინტენსივობაც. ტრადიციული მკურნალობის შემდეგ პაციენტთა სისხლის მპრ სპექტრში კვლავ ვლინდება Fe²⁺ და Mn²⁺-ის იონების მპრ სიგნალები. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს ასეთი მკურნალობის არასაკმარის ეფექტურობაზე მიოკარდიუმის ინფარქტის მწვავე სტადიაში აღმოცენებული სისხლის პრო- და ანტიოქსიდანტური აქტიუობის დისბალანსის კორექციაზე. როგორც ჩვენი კვლევის შედეგებიდან ჩანს, 7-დღიანი მკურნალობის შემდეგ სისხლის მპრ სპექტრში კვლავ რჩება MetHb-სა და ინაქტივირებული ადრენორეცეპტორებისათვის დამახასიათებელი მპრ სიგნალები. საწყის მანქენებლებთან შედარებით ასევე არ იცვლება NO-ს შემცველობა სისხლში.

ცხრილი 2

სისხლის მპრ სიგნალების დინამიკა მიოკარდიუმის ინფარქტის მწვავე სტადიაში პლავგრონით მკურნალობის ფონზე და პლავგრონის გარეშე

ჯგუფები	n	Fe ²⁺	Fe ³⁺	MetHb	Cer	Mn ²⁺	g = 2,01	NO	HbNO
ნორმა	20	-	26,5 ± 2,6	-	10,5 ± 1,4	4,025 ± 0,4	-	13,7 ± 1,2	-
მკურნალობამდე	74	18,4 ± 1,2 p < 0,001 p* < 0,01	16,9 ± 1,0 p < 0,03 p* < 0,01	3,5 ± 0,5 p < 0,02 p* < 0,01	18,3 ± 1,2 p < 0,001 p* < 0,02	9,2 ± 0,9 p < 0,02 p* < 0,01	3,5 ± 0,6 p < 0,01 p* < 0,02	6,3 ± 0,9 p < 0,01 p* < 0,03	2,5 ± 0,4 p < 0,02 p* < 0,03
პლავგრონის ფონზე	44	12,0 ± 1,4 p < 0,001 p* < 0,01	24,8 ± 0,01 p < 0,01 p* < 0,01	1,6 ± 0,3 p < 0,01 p* < 0,02	10,2 ± 0,8 p < 0,01 p* < 0,05	6,8 ± 0,5 p < 0,01 p* < 0,04	1,8 ± 0,7 p < 0,02 p* < 0,02	11,0 ± 1,3 p < 0,01 p* < 0,02	0,36 ± 0,6 p < 0,02 p* < 0,01
პლავგრონის გარეშე	30	17,6 ± 1,3 p < 0,002 p* < 0,02	18,2 ± 1,2 p < 0,05 p* < 0,03	3,2 ± 0,6 p < 0,001 p* < 0,001	16,7 ± 1,2 p < 0,02 p* < 0,05	8,6 ± 0,8 p < 0,03 p* < 0,02	3,1 ± 0,05 p < 0,01 p* < 0,05	7,2 ± 0,9 p < 0,01 p* < 0,02	2,2 ± 0,2 p < 0,01 p* < 0,05

განსხვავებულ სურათს იძლევა იგივე ცხრილში მოყვანილი მონაცემები, რომლებიც ასახავს პრეპარატ პლავგრონ ლბ-ს მოქმედების ეფექტს ინ-

ფარქტიანი ავადმყოფების სისხლის მარ სიგნალებზე. პლაფერონის ფონზე მწვავე ინფარქტით დაავადებულთა სისხლში მკვეთრად მცირდება Fe^{2+} -სა და Mn^{2+} -ის იონების შემცველობა, რაც მიუთითებს თავისუფალი რადიკალური ჟანგვის პროცესების და მათი უჯრედულ მემბრანებზე დესტრუქციული გავლენის შესუსტებაზე. მეორე მხრივ, იზრდება Fe^{3+} -ტრანსფერინის მარ სიგნალის ინტენსივობა და მცირდება დაქანგული ცერულოპლაზმინის მარ სიგნალები. აღნიშნული ძვრები სისხლის ანტიოქსიდანტური უნარის აღდგენის მანიწვებელია. პლაფერონის გავლენით პაციენტთა სისხლში მნიშვნელოვნად მცირდება MetHb-ს მარ სიგნალი და იზრდება თავისუფალი აზოტის ჟანგის შემცველობა. გარდა ამისა, საწყის მანიწვებლებთან შედარებით, სარწმუნოდ მცირდება სისხლის ფორმიანი ელემენტების ინაქტივირებული, ადრენორეცეპტორებისათვის დამახასიათებელი სიგნალის ($g = 2,01$) ინტენსივობა, რაც პეროქსიდაციული პროცესების ინტენსივობის დაქვეითების შედეგია და თავის მხრივ განაპირობებს ორგანიზმში კომპენსატორული რეაქციების განვითარების უნარის აღდგენას.

ლიტერატურაში არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ ინფარქტის ზონის შემცირებაში დადებით ეფექტს იძლევა ციტოკინების სუპრესორების გამოყენება [17]. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა პრეპარატი პლაფერონი ლბ, რომელიც ხასიათდება ზოგიერთი ციტოკინების და NO-ს სინთეზის მამოღულირებელი, აპოპტოზის მარეგულირებელი და ანტიანთებითი აქტივობით.

ჩვენს მიერ ადრე ჩატარებულმა გამოკვლევამ [4] გვიჩვენა, რომ პლაფერონ ლბ-ს მოქმედების ფონზე მიმდინარე ექსპერიმენტული ინფარქტის დროს, საკონტროლო ჯგუფისგან განსხვავებით, გულის კუნთში ინფარქტის კერიდან დაშორებულ უბნებში მიკრონეკროზები არ ვითარდება, რაც პლაფერონის ანტიიპოქსიური მოქმედების მანიწვებელია. ბოლო წლების გამოკვლევებში გამოვლენილია პლაფერონ ლბ-ს NO-ს სინთეზზე მამოღულირებელი ზემოქმედება. პლაფერონ ლბ-ს წინასწარი ზემოქმედების შედეგად მცირდება აზოტის ჟანგის შემცველობა პემორაგოული შოკის [16], თირკმლის ლიტოტრიპსის [11], ექსპერიმენტული ინსულტისა და კრამ-სინდრომის [2] დროს. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს პლაფერონ ლბ-თი მკურნალობის ფონზე ექსტრემალურ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების სისხლში აზოტის ჟანგის შემცველობის მომატება. ჟანგბადის დაძაბულობაზე ასევე დამოკიდებული ამ პრეპარატის აპოპტოზზე მარეგულირებელი მოქმედება. აბახუტაშვილის და თანაავტორების [10] შრომაში ნაჩვენებია, რომ პიოქსისის დროს პლაფერონი ლბ აინჰიბირებს ანაერობულ გლიკოლიზს და ამცირებს აპოპტოზის სინქარეს. ნორმოქსის პირობებში პლაფერონ ლბ იწვევს გლიკოლიზის სინქარისა და სიმბიენური უჯრედების აპოპტოზის გააქტივებას მათი ზრდის ფაქტორის ექსპრესიის შემცირებით.

ჩვენი კვლევის მონაცემების თანახმად თავისუფალი აზოტის ჟანგის შემცველობა იზრდება პლაფერონ ლბ-თი ნამკურნალევი ავადმყოფების

სისხლში. როგორც ცნობილია, აზოტის ჟანგი არეგულირებს სისხლ-
ძარღვების ტონუსს და ამ გზით შეუძლია ქსოვილებში ჟანგბადის
მიწოდების რეგულირება და, მაშასადამე, ჰიპოქსიაზე ზეგავლენის გან-
ხორციელება. ე.ი. პლაფერონ ღბ-ს ზემოქმედებით NO-ს შემცველობის
მომატება იცავს კარდიომიოციტებს რეფლექტორული კორონაროსპაზმით
გამოწვეული იშემიისაგან, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფს ენერგეტიკაზე
მაკორეგირებელი ზეგავლენით ზრდის მათ გამძლეობას იშემიისადმი, რაც
განაპირობებს კარდიომიოციტების შეუქცევადი დესტრუქციის განვითარ-
ების შესაძლებლობის შემცირებას. ამ უკანასკნელის სახარვეზოდ
მეტყველებს ქსოვილოვან პრეპარატებზე და მიტოქონდრიულ მემბრანებზე
ნატარებელი კვლევის შედეგები (გამოუქვეყნებელი მონაცემები), რომელთა
თანახმად პლაფერონი ღბ იცავს ჰეპატო- და კარდიომიოციტების მი-
ტოქონდრიების სუნთქვის ჯაჭვის I კომპლექსის ელექტრონების ტრანს-
პორტზე სხვადასხვა მანერე ფაქტორების (ტოკსინი, შოკი, იშემია და სხვ.)
მაინჰიბირებელი ზემოქმედებისაგან. პლაფერონ ღბ-ს ამგვარი მემბრანო-
მასტაბილიზებელი თვისება მიტოქონდრიების დეზორგანიზაციისაგან დაც-
ვას და მაშასადამე ენერგოდამოკიდებული გენების ტრანსკრიპციისა და
ტრანსლაციის პროცესების ნორმალიზაციას უზრუნველყოფს.

ამგვარად, მიღებული მონაცემების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ
პლაფერონ ღბ-ს ტრადიციული მკურნალობის სქემაში ჩართვა მთლიან-
დომის მწვავე ინფარქტის დროს ხელს უწყობს სისხლის პრო- და ან-
ტიოქსიდანტურ სისტემებს შორის წონასწორობის აღდგენას და აზოტის
ჟანგის შემცველობის ფიზიოლოგიური კონცენტრაციის დონემდე აწევას.

ლიტერატურა

1. ბახუტაშვილი ზ., ჯანელიძე ღ., ხოდელი ნ., ხანიკიძე თ., დათუნაშვილი ი., ბა-
ხუტაშვილი ვ. ქირურგია, 2000, 3-4, 39-42.
2. გერმანაშვილი თ. ბიოლ. მეცნ. კანდ. დისერტ. ავტორეფ., თბილისი, 2003.
3. გურგენიძე დ.პ. В кн.: Плаферон. Тбилиси, “Мечниереба”, 1995, 64-68.
4. Джавахишвили Н.А., Мегрელიძე И.И., Цагарели З.Г., Дадუანი Л.Н., Бахутаშვილი В.И.
В кн.: Плаферон. Тбилиси, “Мечниереба”, 1995, 40-45.
5. Иmediძე Э.А. В кн.: Плаферон. Тбилиси, “Мечниереба”, 1995, 13-17.
6. Микელიძე დ.გ. В кн.: Плаферон. Тбилиси, “Мечниереба”, 1995, 40-45, 137-141.
7. Пагава К.И. В кн.: Плаферон. Тбилиси, “Мечниереба”, 1995, 40-45, 100-126.
8. Пулатова М.К., Рисирева Г.Т., Куроткиева З.В. ЭПР в радиобиологии. М., 1989.
9. Ягузхинский Л.С., Иmediძე Э.А., Дадუანი Л.В., Бахутаშვილი В.И. В кн.: Плаферон.
Тбилиси, “Мечниереба”, 1995, 10-13.
10. Bakhutashvili A.V., Jaguzhinski L.S., Bakhutashvili I.V., Kadagidze Z.G., Barishnikov A.W.,
Sokolovskaia A.A., Zobotina T.N., Bakhutashvili V.I. Inter. J. Immunorehabilitation, 2001, 3, 17-23.
11. Chavchanidze D.T., Managadze L.G., Sanikidze T., Bakhutashvili V.I. Bull. Georgian Acad.
Sci., 1998, 158, 323-325.
12. Frieden E. In: Metal Ions in Biological System (Ed. H. Siegal), N.Y. Basel Marcel, Dekker
Inc, 1981, 117-142.
13. Gatteridge J.M.C. FEBS Lett., 1983, 157, 37-40.
14. Greegard P., Robinson C.A. Advances in Cyclic Nucleotide Research. 1981, v. 14.

15. *Grow A.J., Stumler J.S.* Nature, 1998, 391, 169-172.
16. *Kakulia S.L., Antelava A., Antelava N., Gongadze M., Sanikidze T.* In: XI Int. Conf. Magnetic Resonance in Chemistry and Biol. Science, 2001, Russia, p. 175.
17. *Libby P., Maroko P.R., Bloor C.M., Sobel B.E., Braunwald E.* J. Clin. Invest., 1973, 52, 599-607.

ВЛИЯНИЕ ПЛАФЕРОНА ЛБ НА ИЗМЕНЕНИЯ СИГНАЛОВ ЭЛЕКТРОННО-ПАРАМАГНИТНОГО РЕЗОНАНСА (ЭПР) КРОВИ БОЛЬНЫХ ОСТРЫМ ИНФАРКТОМ МИОКАРДА

И.И. Мегреладзе, Т. Саникидзе, В.И. Бахуташивили, Л. Джaparидзе

Грузинская государственная медицинская Академия, Тбилиси; Институт медицинской биотехнологии Академии наук Грузии, Тбилиси; Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Процесс гибели кардиомиоцитов при остром инфаркте миокарда протекает через апоптоз и коагуляционный некроз. В формировании этого патологического очага важная роль принадлежит усилению перекисидации липидов и угнетению антиоксидантной активности ишемизированной ткани. Данная работа посвящена изучению влияния эндогенного препарата Плаферона ЛБ, обладающего антиоксидантным и антигипоксическим действием, на активность про- и антиоксидантной системы организма на основании изменения ЭПР сигналов крови больных острым инфарктом миокарда.

Обследовано 74 больных острым инфарктом миокарда. ЭПР-спектроскопический анализ крови проводили до и после лечения на первой неделе заболевания. 44 больным Плаферон вводили ежедневно в течение первой недели внутримышечно (0,8 мг/кг). Контрольную группу составили 30 больных, которым проводили традиционное лечение без применения Плаферона. Нормальные показатели ЭПР сигналов были установлены у 20 практический здоровых лиц. Результаты исследования показали, что у больных инфарктом миокарда в остром периоде отмечаются изменения ЭПР сигналов, указывающие на интенсификацию перекисного окисления липидов и угнетение антиоксидантной активности, что способствует дисбалансу между про- и антиоксидантной системами и развитию кислородного стресса. Включение в комплекс лечения острого инфаркта миокарда Плаферона ЛБ, в отличие от контрольной группы, подавляет образование промоторов свободнорадикального окисления (Fe^{2+} , Mn^{2+}), что свидетельствует об ослаблении процесса перекисидации, а усиление интенсивности ЭПР сигналов Fe^{3+} -трансферрина указывает на восстановление антиоксидантного потенциала крови.

EFFECTS OF PLAIFERON LB ON CHANGES OF ELECTRON-PARAMAGNETIC RESONANCE (EPR) SIGNALS OF BLOOD IN PATIENTS WITH ACUTE MYOCARDIAL INFARCTION

I. Megreladze, T. Sanikidze, V. Bakhutashvili, L. Japaridze

State Medical Academy of Georgia, Tbilisi; Institute of Medical Biotechnology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi; Tbilisi State Medical University

SUMMARY

The process of loss of cardiomyocytes in case of acute myocardial infarction occurs via development of apoptosis and coagulation necrosis. Intensification of lipid peroxidation and suppression of antioxidant activity of ischemic tissue are of great importance in formation of this pathological focus. On the basis of electron-paramagnetic resonance (EPR) signals of blood in the patients with acute myocardial infarction, this study presents the effects of endogenous preparation Plaferon LB, which is characterized by antioxidant and antihypoxic influence on the pro- and antioxidant systems.

Total of 74 patients with acute myocardial infarction were studied. The EPR-spectroscopy analysis of blood was made before and after treatment during the first week of the illness. In 44 patients Plaferon was administered daily during the first week (0.8 mg/kg, i.m.). A control group was presented by 30 patients treated traditionally without Plaferon. Normal values of EPR signals were identified in 20 practically healthy people. Results showed that in the patients with acute period of myocardial infarction changes in EPR signals were observed, indicating intensified lipid peroxidation and suppression of antioxidant activity, which contributes to the imbalance between pro- and antioxidant systems and development of oxygen stress. Inclusion of Plaferon LB in treatment of the acute myocardial infarction, unlike the control group, suppresses formation of promoters of free-radical oxidation (Fe^{2+} , Mn^{2+}), which testifies for weakening of peroxidation process, while increase of EPR signal of Fe^{3+} -transferrine indicates restoration of the antioxidant potential of blood.

ლაზეროთერაპიის როლი ტრავმულ ღაზიანებათა სტაფილოკოკური გართულებების იმუნოკორექციაში

ა. შეიფარიანი, მ. წიკლაური, ლ. აღადაშვილი, ა. თაბორიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ელიავას სახელობის ბაქტეროლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, თბილისი

მიღებულია 10.03.2003

სტაფილოკოკური ოსტეომიელიტით დაავადებული 40 პაციენტის მკურნალობის შედეგების დინამიკაში შესწავლის საფუძველზე განხილულია იმუნურ სისტემაზე ღაზეროთერაპიის მოქმედების როლი, შედარებულია ბაზისურ მკურნალობაში ღაზერის და ტაქტივინის ჩართვის ეფექტურობა. ნაჩვენებია, რომ ღაზეროთერაპიის ჩართვა ბაზისურ მკურნალობაში ტრავმულ დაავადებათა სტაფილოკოკური გართულების დროს გამართლებულია ღაზეროთერაპიის იმუნომარეგულირებელი ფუნქციის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: ღაზეროთერაპია, სტაფილოკოკური ინფექცია, იმუნორექცია

თანამედროვე ორთოპედიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ტრავმულ დაავადებათა გართულება სხვადასხვა ეტიოლოგიის ინფექციებით. ქსოვილის რეაქცია ღაზიანებაზე შედგება რეპარაციის, ანთებითი პროცესისა და იმუნური პასუხისაგან. ინფექციის გამომწვევის ელიმინაციაში წამყვანი როლი ენიჭება იმუნურ სისტემას, ხოლო ინფექციური დაავადებების განვითარების საფუძველს წარმოადგენს იმუნოდეფიციტური მდგომარეობა. ტრავმა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ინდუცირებული იმუნოდეფიციტური მდგომარეობა [3].

ბაქტერიული ეტიოლოგიის ინფექციათა შორის გამოირჩევიან სტაფილოკოკური დაავადებები, რაც აიხსნება მათი პათოგენეტიკური მექანიზმების სირთულით და ფართო გავრცელებით. ინფექციური პროცესი ხასიათდება იმუნორეაქტიულობის დაქვეითებით. პათოგენეზში წამყვანი როლი ენიჭება ა-ტოქსინის მოქმედებას. უკანასკნელ ხანებში განსაკუთ-

რებული მნიშვნელობა ენიჭება ბაზისურ მკურნალობაში იმუნომოდულატორების ჩართვას.

მედიცინის სხვადასხვა დარგში ლაზერები ფართო გამოყენებას პოულობენ, თუმცა ლაზერული გამოსხივების ბიოლოგიური ეფექტი არ არის სათანადოდ შესწავლილი [1, 2]. მიუხედავად იმისა, რომ ინფექციურ დაავადებათა მკურნალობაში ლაზეროთერაპიის როლი უდავოა, მისი მოქმედება იმუნურ სისტემაზე დღემდე არ არის საკმარისად შესწავლილი.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ლაზეროთერაპიის მოქმედების დადგენა იმუნურ სტატუსზე, ტრავმულ დაზიანებათა სტაფილოკოკური ინფექციებით გართულების დროს.

მასალა და მეთოდები

სამუშაოს საფუძვლად დაედო სტაფილოკოკური ეტიოლოგიის ტრავმის შემდგომი ოსტეომიელიტით დაავადებული 40 ავადმყოფის კლინიკური, კლინიკურ-ლაბორატორიული და იმუნოლოგიური კვლევის შედეგები (ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო ცენტრის კონტინგენტიდან). ლაზეროთერაპია ტარდებოდა მცირე სიმძლავრის (20 მკვტ) კვანტური გენერატორით (ჰელიუმ-ნეონის ლაზერი – ტალღის სიგრძე 6328 Å) YJF-01-ის გამოყენებით. დასხივება ხდებოდა ადგილობრივად, აკუპუნქტურის წერტილებზე და ვენურად. ექსპოზიციის დრო 10 წთ. 1 სეანსის განმავლობაში. სულ ტარდებოდა 10-15 სეანსი. ავადმყოფები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად, I ჯგუფში მკურნალობაში ბაზისურ თერაპიასთან ერთად ჩართული იყო ლაზეროთერაპია, ხოლო მეორე ჯგუფს ლაზეროთერაპიის ნაცვლად მკურნალობდნენ იმუნომოდულატორი ტაქტივინით. კლინიკური მასალის დამუშავება ჩატარდა ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით. ჯგუფებს შორის განსხვავება ითვლება სარწმუნოდ, თუ $P < 0,05$.

შედეგები და მათი განხილვა

ავადმყოფთა იმუნური სტატუსის შესწავლამ დინამიკაში – ლაზეროთერაპიამდე და ლაზეროთერაპიის შემდეგ, გვჩვენა, რომ გაუმჯობესება აღინიშნება როგორც უჯრედული, ისე ჰუმორული იმუნიტეტის მხრივ (ცხრილი 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ლაზეროთერაპიის ფონზე მნიშვნელოვნად კლებულობს ანტისტაფილოკოკური ანტისხეულების ტიტრი, 0-ს უტოლდება α -ტოქსინი, რის ფონზეც მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნება როგორც უჯრედული, ისე ჰუმორული იმუნიტეტის მხრივ. კერძოდ სარწმუნოდ მატულობს ლაზეროთერაპიამდე დაქვეითებული T-საერთო, T-აქტიური და T-ჰელპერი, მატების ტენდენციას ამჟღავნებს T-სუპრესორი, სარწმუნოდ მცირდება ბლასტ-ტრანსფორმაციის რეაქციის მანევრებელი, სარწმუნოდ მატულობს და უახლოვდება ნორმას ფაგოციტური რიცხვი და ფაგოციტური ინდექსი, ჰუმორული იმუნიტეტის მხრივ ადგილი აქვს B-ლიმფოციტების და იმუნოგლობულინების სარწმუნო მატებას.

იმუნოლოგიური მაჩვენებლები ტრავმულ დაავადებათა სტაფილოკოკური ინფექციით გართულების დროს ლაზეროთერაპიით მკურნალობის ფონზე და ბაზისურ მკურნალობაში ტაქტივის ჩართვის შემდეგ

იმუნოლოგიური მაჩვენებლები	1. ლაზერო- თერაპია შემდეგ	2. ლაზერო- თერაპიის შემდეგ	3. ტაქტივის მკურნალო- ბამდე	4. ტაქტივის მკურნალო- ბის შემდეგ	1-2 P<	3-4 P<	2-4 P<
ანტისტაფილოკოკური ანტისხეულების ტიტრი	392,0 ± 403,7	108,0 ± 39,1	392,0 ± 400,3	224,0 ± 128,7	0,00334	0,08198	0,00083
მ-ტოქსინი	14,7 ± 17,4	0,0 ± 0,0	18,0 ± 19,4	6,0 ± 9,4	0,00055	0,01711	0,01016
ლიმფოციტების ბლასტოტრანსფორმაციის რეაქცია	17,7 ± 5,7	9,0 ± 1,8	17,1 ± 5,0	10,3 ± 2,9	0,00000	0,00001	0,10844
T-საერთო	46,7 ± 2,3	57,6 ± 1,7	48,1 ± 2,4	54,9 ± 2,6	0,00000	0,00000	0,00051
T-აქტიური	22,2 ± 2,1	29,2 ± 1,0	22,1 ± 1,8	26,9 ± 2,0	0,00000	0,00000	0,00008
T-სუბსერი	30,5 ± 1,5	38,7 ± 2,0	32,9 ± 3,3	36,1 ± 2,5	0,00000	0,00144	0,00097
T-სუბსერი	9,3 ± 5,6	10,8 ± 0,8	11,4 ± 5,7	12,1 ± 1,9	0,22607	0,57674	0,00836
იმუნორეგულაციის ინდექსი	6,0 ± 10,6	3,6 ± 0,3	3,7 ± 1,8	3,1 ± 0,6	0,31980	0,15113	0,00219
B-ლიმფოციტები	13,8 ± 2,2	21,2 ± 1,7	14,0 ± 2,3	19,2 ± 1,3	0,00000	0,00000	0,00014
ფაგოციტური რიცხვი	49,7 ± 2,1	61,7 ± 1,9	50,9 ± 3,6	59,9 ± 1,4	0,00000	0,00000	0,00202
ფაგოციტური ინდექსი	2,6 ± 0,5	6,0 ± 0,3	4,0 ± 0,5	5,4 ± 0,5	0,00000	0,00000	0,00014
IgG	1737,6 ± 32,2	1587,3 ± 50,6	1722,2 ± 43,9	1627,0 ± 50,7	0,00000	0,00000	0,01764
IgA	86,7 ± 6,4	197,3 ± 21,7	88,6 ± 4,1	191,8 ± 18,3	0,00000	0,00000	0,39104
IgM	133,4 ± 7,6	111,2 ± 2,1	129,1 ± 4,4	108,1 ± 4,5	0,00000	0,00001	0,12806

კვლევის შემდეგ ეტაპზე განვიხილეთ ტაქტივის მოქმედება იმუნოლოგიურ სტატუსზე ტრავმულ დაავადებათა სტაფილოკოკური ინფექციით გართულების დროს ბაზისური მკურნალობის ფონზე (ცხრილი 1).

ტაქტივიანი მკურნალობის შემდეგ შემცირების ტენდენციას ამაყვანებს ანტისტაფილოკოკური ანტისეპტების ტიტრი და α -ტოქსინი, თუმცა კონტროლთან შედარებით კვლავ მაღალი რჩება; მნიშვნელოვან კორექციას განიცდის ყველა იმუნოლოგიური პარამეტრი გარდა T-სუპრესორისა და იმუნორეგულაციის ინდექსისა, თუმცა, თუ ამ მონაცემებს შევადარებთ ლაზეროთერაპიის შედეგებს, დავინახავთ, რომ ლაზეროთერაპიის შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება ტაქტივიანი მკურნალობის შედეგებისაგან. უმნიშვნელო განსხვავება აღინიშნა მხოლოდ ლიმფოციტების ბლასტ-ტრანსფორმაციის მაჩვენებლის, IgM და IgA-ს შემთხვევაში.

ამრიგად, როგორც ჩვენმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, ლაზეროთერაპიის ჩართვა ბაზისურ მკურნალობაში ტრავმულ დაავადებათა სტაფილოკოკური გართულების დროს გამართლებულია ლაზეროთერაპიის იმუნომარეგულირებელი ფუნქციის თვალსაზრისით.

ლიტერატურა

1. *Богданович У.Я., Каримов М.Г.* Лазеры в травматологии и ортопедии. М., 1978.
2. *Корепанов В.И.* Техника лазеротерапии. М., 1992.
3. *Долгушин И.И., Эберт Л.А.* Иммунология травмы. М., 1989.

РОЛЬ ЛАЗЕРОТЕРАПИИ В ИММУНОКОРРЕКЦИИ ПРИ СТАФИЛОКОККОВОМ ОСЛОЖНЕНИИ ТРАВМАТИЧЕСКОЙ БОЛЕЗНИ

А. Мейпариаши, М. Циклаური, Л. Аладашвили, И. Таборидзе

Институт бактериофагии, микробиологии и вирусологии им. Г. Элиава Академии наук Грузии, Тбилиси; Национальный медицинский центр им. О.Г. Гудушаури.

РЕЗЮМЕ

В работе, на основе изучения 40 травматических больных с стафилококковым остеомиелитом, представлены показатели иммунитета в динамике – до и после включения курса лазеротерапии в базисное лечение. Показано иммунокорректирующее действие лазеротерапии.

ROLE OF A PHOTORADIOTHERAPY IN IMMUNE CORRECTION OF STAPHYLOCOCCAL COMPLICATIONS OF TRAUMATIC DISEASE

A. Meipariani, M. Tsiklauri, L. Aladashvili, I. Taboridze

G. Eliava Institute of Bacteriophage, Microbiology and Virology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi; O. Gudushauri National Medical Center, Tbilisi

SUMMARY

In the study of 40 traumatic patients with staphylococcal osteomyelitis a course of photoradiotherapy was incorporated into basic treatment of disease. The immune-correcting capacity of photoradiotherapy was reliably shown.

IMMUNOTROPIC, EMBRYOTOXIC AND MUTAGENIC EFFECTS OF AFLATOXIN IN ALBINO MICE AND PROTECTIVE ACTION OF PLAFERON

R. Meshveliani, N. Korsantia, D. Delistraty, B. Korsantia

Institute of Medical Biotechnology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi, Georgia; Washington State Department of Ecology, Spokane, WA, USA

Accepted 10.01.2003

Experimental aflatoxicosis had a serious immunosuppression in white mice, especially of endogenous interferon. Aflatoxin showed high embryo-lethal effect, mostly in preimplantation stage. Mutagenic action of aflatoxin was expressed in rising of diffuse aberration of chromosomes. Plaferon possessed marked protective qualities, normalizing all these parameters.

Key words: aflatoxin, Plaferon, embryotoxicity, mutagenesis, protection, mice

Protecting humans from the influence of external biological and chemical agents is a very important medical objective. It is established that anthropogenic and natural soils and foods may be dangerous to human health, as a result of exposure to toxic metabolites of fungi *Asp. flavus* and *Asp. parasiticus* [9]. There is sound experimental and clinical evidence, indicating an important role of micotoxins in human pathology. In addition to direct toxicity, mycotoxins possess mutagenic, teratogenic, and carcinogenic properties [9]. A high degree of immunosuppression by mycotoxins, even in minimal (non-toxic) doses, has been demonstrated [2, 5]. In spite of this, many aspects of immunocorrection of micotoxic infection are largely unexplored.


Therefore, the main purpose of our investigation was to study aflatoxin-B₁ influence on several immune indices in white mice and evaluate a potential protective effect of Plaferon-LB. In Georgia and other countries, Plaferon has been used with a great success for treatment of different diseases. Plaferon is extracted from the amniotic membrane of the human placenta. The preparation contains several physiologically active substances (e.g., interferon, endorphins, enkephalins, cytokines), causing different pharmacological effects: antiviral, immunomodulating, antihypoxic, detoxifying [1].

1. Immunotropic effect. A model study of chronic aflatoxicosis in white mice was performed by daily oral administration of 1.0 mg/kg of aflatoxin-B₁ over a 10-day period. At different times, we examined antibody formation in the spleen, as well as phagocytosis


and interferon in blood [3]. For immunocorrection we administered Plaferon (1.0 mg protein per kg, i.m., daily, over a 10-day period of experiment, starting at the same day with aflatoxin).

Analysis of the data showed (Immunogramm-1, was compared with line 2-control) a gradual decrease in the measured parameters by the third day of experiment. Particularly sensitive were the interferon system (especially IFN γ) and the phagocytosis index (PhI). Moderate decrease of antibody formation (APC) and complete phagocytosis (CPh) were observed, along with an almost unchanged total percent of phagocytic neutrophils (PhN).

Plaferon was highly successful in reversing immunosuppression. First, lethality of animals was decreased from 22% in the control group (without Plaferon) to 8% in the Plaferon-treated group ($p < 0.01$). This effect of Plaferon was accompanied by a marked activation of immune homeostasis in the mice (Immunogramm-2). In particular, both types of interferon (IFN α, γ) and the phagocytosis index (PhI) were notably stimulated.



1 2



2. Embryotoxic effect. Considering the cytogenetic influence of aflatoxins, along with the genetic component of immunocompetence, it is instructive to study protective mechanisms of various interferon preparations relating to aflatoxicosis. It is also well known that embryonic cells are generally sensitive to toxicant exposures. In this regard, embryotoxic effects of aflatoxins in pregnant mice were studied. Results of this research provided insight into mechanisms of aflatoxicosis in relation to the immune system.

Aflatoxin-B₁ was administered over a 10-day period, beginning on the first day of pregnancy (identified by discovery of a vaginal plug). Embryotoxic effects of aflatoxin were evaluated on the 19-20th days of pregnancy. Under a stereomicroscope, the number of yellow bodies (*Corpus luteum*) in both ovaries was counted (number of conceptions). We then considered number of implantations in the uterus (all viable, non-viable or immature fetuses, or only separate placentas, without "own" fetus). The difference between the number of yellow bodies and the number of implantations comprises the preimplantation mortality. The number of dead fetuses and empty placentas comprise the post-implantation mortality. Both pre- and postimplantation mortalities comprise the total intrauterine (prenatal) mortality of fetuses. In a separate experiment, postnatal mortality of sucklings was calculated one month post birth.

As shown in Table 1, chronic exposure to aflatoxin depressed normal embryogenesis. Aflatoxin exerted a marked embryotoxic effect in pregnant mice, causing death of the embryo

or fetus at various times during pregnancy, as well as postnatally. The maximum embryolethal effect of aflatoxin occurred before implantation into the uterus at a rate of 16.6%.

Table 1

Influence of aflatoxicosis, interferon treatment, and Plaferon-therapy on embryotoxicity and postnatal mortality in pregnant white mice

Group of pregnant mice	No. of yellow bodies	Preimplantation mortality (I)	Postimplantation mortality (II)	Total prenatal mortality (III)	No. of newborn mice	Postnatal mortality (IV)
Ctrl	77	5 (6.5%)	4 (5.2%)	9 (11.7%)	71	3 (4.2%)
1	78	13 (16.6%)	6 (7.6%)	19 (24.3%)	47	5 (10.6%)
2	72	11 (15.2%)	5 (6.9%)	16 (22.2%)	50	4 (8.0%)
3	77	9 (11.6%)	5 (6.4%)	14 (18.8%)	53	2 (3.7%)

1 – Chronic aflatoxicosis. **2** – Aflatoxicosis + interferon. **3** – Aflatoxicosis + Plaferon. **A** – First and second groups compared to Ctrl (1 and 2/Ctrl): **I**, **III** and **IV** – $p < 0.001$; **II** – $p < 0.1$. **B** – 3/Ctrl: **I** – $p < 0.05$; **II** – $p < 0.1$; **III** – $p < 0.05$; **IV** – $p > 0.5$. **C** – 2/1: **I**, **II**, **III** and **IV** – $p > 0.5$. **D** – 3/1: **I** – $p < 0.02$; **II** – $p < 0.1$; **III** – $p < 0.05$; **IV** – $p < 0.001$. In each group $n = 10$.

Because an immunocorrective effect of Plaferon during aflatoxicosis in white mice was observed in our previous investigation, we examined the potential protective effect of Plaferon in embryos. Plaferon was administered to pregnant mice (1.0 mg protein per kg, i.m., daily, over a 10 day period, starting on the same day as aflatoxin administration). Another treatment group evaluated effects of homologous murine interferon (1000 IU/ml).

Data in Table 1 show an antiembryotoxic effect of Plaferon with improvement in indices of preimplantation mortality of fetus (from 16.6% to 11.6%) and postnatal mortality of sucklings (from 10.6% to 3.7%). Interestingly, homologous interferon did not demonstrate a protective effect in white mice.

3. Mutagenic effect. On the 5th day of the aflatoxicosis study in white mice, several parameters of chromosomal damage were examined in bone marrow cells, including isolated (chromosomal and chromatid) and diffusive (despiralization, fragmentation, and lysis) aberrations (Table 2).

Table 2

Cytogenetic indices of aflatoxicosis, interferon treatment, and Plaferon-therapy (expressed as percentage of aberrant chromosomes)

Group of mice	Isolated aberrations		Diffusive aberrations			Total aberrant metaphases
	Chromosomal	Chromatid	Despiralization	Fragmentation	Lysis	
Ctrl	0.3	1.1	0.7	0.1	0	2.2
1	3.9	10.2	5.8	2.8	19.7	42.4
2	2.2	6.6	3.5	1.3	10.3	23.9
3	0.8	2.7	3.2	1.0	8.8	16.5

1 – Chronic aflatoxicosis. **2** – Aflatoxicosis + interferon. **3** – Aflatoxicosis + Plaferon. **A** – 2/1: all parameters $p < 0.01$. **B** – 3/1: all parameters $p < 0.001$. In each group, the number of metaphase analyses was 300.

Cytogenetic analysis of marrow cells revealed marked damage to chromosomes, resulting from aflatoxicosis (42.4% aberrant metaphases vs. 2.2% in the control). Diffusive damage was detected more frequently (28.3%) than isolated damage (14.1%). Isolated aberrations consisted mainly of paired acentric fragments, ruptures, and gaps.

Results of interferon therapy proved somewhat unclear in that heterologous Plaferon demonstrated greater protective action than homologous interferon. Plaferon-therapy resulted in fewer aberrant metaphases (16.5%) than interferon treatment (23.9%). In general, the protective effect of Plaferon was manifested as a decrease in the number of isolated aberrations, as well as a reduction in lysis of chromosomes.

სურ. 1. ბიოგენური ამინების ცვლილება მშპ-ს მოქმედების შემდეგ. პირველი ჯგუფი – კონტროლი; მეორე ჯგუფი 50 Hz სიხშირის 3,6 mT მშპ, წვევტილად – 3 სთ, 3 თვის განმავლობაში; მესამე ჯგუფი – ქრონიკული უწვევტი ზემოქმედება 3 თვის განმავლობაში.

დოფამინერგულ სისტემას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პროლაქტინის სეკრეციის რეგულირებაში, რომელიც პროლაქტინის მაინჰიბირებელი ჰორმონით, პროლაქტინოსტატინით რეგულირდება. რადგანაც დოფამინის რაოდენობა შემცირდა, ამან გამოიწვია პროლაქტინოსტატინის აქტივობის შემცირება, რასაც მოჰყვა პროლაქტინის სეკრეციის მატება. ამან განაპირობა ჰიპოთალამო-ჰიპოფიზური სისტემის პათოლოგია – ჰიპერპროლაქტინემია, რამაც გამოიწვია ოვულაციის დარღვევა; ეს ჩვენი ექსპერიმენტითაც დასტურდება მეორე ჯგუფის ვირთაგვების მაგალითზე (ესტრალური ციკლის დარღვევა).

ამრიგად, მიღებული მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მშპ-ს სტრესული წყვეტილი ყოველდღიური 3-საათიანი ზემოქმედება 3 თვის განმავლობაში იწვევს ვირთაგვების სისხლში ბიოგენური ამინების შეფარდების ისეთ დარღვევას, რომელსაც მიყვავართ ჰიპერპროლაქტინემიამდე. ამ უკანასკნელის მატება განაპირობებს ინსულინის მაღალ დონეს, რომელიც მოქმედებს ჰიპოთალამუსსა და ჰიპოფიზზე უკუკავშირით (ნორადრენალინის და სეროტონინის მატებით), ან პირდაპირ მოქმედებს დოფამინის კონცენტრაციაზე, ზრდის პროლაქტინის სეკრეციას, რაც იწვევს ჰიპერინსულინემიას და ესტრალური ციკლის დარღვევას, რომელსაც, საბოლოოდ, უნაყოფობამდე მიყვავართ.

ლიტერატურა

1. *მაისურაძე ი., მაისურაძე ბ., სანებლიძე ო., კვანტალიანი გ.* რადიაციული გამოკვლევები. 1994, თბილისი, 333-347.
2. *Myratov E. u dr.* В кн.: ЭМС-96. С.-Петербург, 1996, 506-511.
3. *Попровецкий К.* Биохимический анализ крови. М., 1969.
4. *Aelen P. et al.* Fertility and Sterility, 1999, 72, 32-40.
5. *Bekaia T.* Proc. Georgian Acad. Sci. Biol. Ser., 1997, 23, 17-21.
6. *Franks S. et al.* Endocrinol. Metabol. Clin. of North America, 1999, 28, 361-378.
7. *Gallineli A. et al.* J. Fert. Steril., 2000, 73, 812-816.
8. *Hernandez J. et al.* J. Amer. Med. Res., 2000, 31, 216-222.

ВЛИЯНИЕ ХРОНИЧЕСКОГО ВОЗДЕЙСТВИЯ ЭЛЕКТРОМАГНИТНЫХ ПОЛЕЙ СЕТЕВОЙ ЧАСТОТЫ НА РЕПРОДУКТИВНУЮ СИСТЕМУ КРЫС

Т. Солошвили, М. Николайшвили, А. Дзамашвили

Центр радиационной биологии и экологической радиологии, Академия Наук Грузии

РЕЗЮМЕ

Экспериментально было исследовано влияние электромагнитного поля (ЭМП) сетевой частоты на репродуктивную систему и содержание инсулина и катехоламинов в крови крыс. Показано, что прерывистое, ежедневное 3-часовое воздействие ЭМП, в течение 3 месяцев, нарушает соответствие между биогенными аминами, что приводит к гиперпролактинемии. В свою очередь, это вызывает повышение инсулина, что приводит к бесплодию.

EFFECT OF CHRONIC EXPOSURE TO POWER-FREQUENCY ELECTROMAGNETIC FIELDS ON REPRODUCTIVE SYSTEM IN RATS

T. Soloshvili, M. Nikolaishvili, A. Dzamashvili

Center of Radiation Biology and Ecological Radiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

The effects of intermittent and chronic exposures to electromagnetic field on the level of insulin and catecholamines in blood of rats and their reproductive system were studied. The results obtained show that intermittent exposure to EMF for 3 hours daily during 3 months causes significant changes in concentration of biogenic amines that cause hyperprolactinemia. Increase of prolactin causes increased concentration of insulin that finally results in sterility.

მოზარდ ჩოგბურთელეზში სენსომოტორული ასიმეტრიის პროფილის შედარება წარმატების მომტანი ბურთების რაოდენობასთან ასაკის და სქესის მიხედვით

დ. ქობულაშვილი

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია,
თბილისი

მიღებულია 3.04.2003

სხვადასხვა ასაკის და სქესის მოზარდ ჩოგბურთელეზზე ჩატარებული დაკვირვებებით დადგინდა, რომ ვაჟებში სენსომოტორული ასიმეტრიის პროფილი ასაკის მიხედვით (9-10 წწ.) თითქმის უცვლელია, მაშინ, როდესაც მკვეთრად იზრდება წარმატების მომტანი ბურთების რაოდენობა ჩოგბურთის მაგიდის, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მიმართულებით. ე.ი. ვაჟების დამოკიდებულება სივრცის ორივე მხარისადმი ყველა ასაკში ერთნაირია.

ვაჟებისაგან განსხვავებით, გოგონების სენსომოტორული ასიმეტრიის პროფილი შესამჩნევად იზრდება ასაკთან ერთად. მათი დამოკიდებულება სივრცის მარჯვენა მხარისადმი ისეთივეა, როგორც ვაჟების შემთხვევაში. ჩოგბურთის მაგიდის მარცხენა მიმართულებით კი წარმატების მომტანი ბურთების რაოდენობა ასაკთან ერთად მცირდება. ე.ი. სივრცის მარცხენა მხარეს ორიენტაციის უნარი გოგონების შემთხვევაში ასაკის მატებასთან ერთად სუსტდება.

საკვანძო სიტყვები: ჩოგბურთი, გოგონები, ვაჟები, სენსომოტორული ასიმეტრია

ექსპერიმენტული გამოკვლევებით [6, 9, 11] დადგენილია, რომ მანუალური ასიმეტრია არ შეიძლება განვიხილოთ როგორც აბსოლურუტად სტაბილური ფენომენი. მისი სენსომოტორული გამოვლინება, უმრავლეს შემთხვევაში, წვრთნის პროცესის ხასიათითა და ინტენსივობით განისაზღვრება, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოძრაობითი ჩვევების ჩამოყალიბებაზე, სპორტულ ექსტრაპოლაციაზე.

ჩვეულებრივ პირობებში მარჯვენა ხელის ყოველდღიური გავარჯიშება ამადლებს მის კოორდინაციას, რაც თავის მხრივ, ავითარებს მანუალურ ასიმეტრიას [5]. ითვლება, რომ მანუალური სპორტული ჩვევების უფრო სწრაფი და წარმატებული ფორმირება საჭიროებს მანუალური ასიმეტრიის გარკვეულ ოპტიმალურ დონეს [4].

მკვეთრად გამოხატული ასიმეტრია და მისი ხასიათი დაკავშირებულია სპორტულ სპეციალიზაციასთან. სპორტის ისეთ სახეებში, რომლებშიც უმთავრესად ცალმხრივი მოძრაობები სრულდება, ასიმეტრია აღწევს მნიშვნელოვან დონეს [2].

მხედველობით-სივრცითი ამოცანების გადაწყვეტა თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს უპირატესობაა [1].

მანუალური მოქმედებების შემთხვევაში მხედველობით-მოტორული რეაქციების ლატენტური პერიოდის შესწავლამ დაამტკიცა, რომ მემარცხენეებს უფრო სწრაფი რეაგირების უნარი აქვთ [8]. მ.ნ. ოქინიკოვა [7] თვლის, რომ მხედველობით-სივრცითი ორიენტაციის თავისებურებანი, თავის ტვინის ნახევარსფეროების მკვეთრად გამოხატული მარჯვენამხრივი ასიმეტრიის პირებში, აძნელებს ნატიფი მოტორული ჩვევების გამოუმუშავებას მაშინაც კი, როცა წამყვანი ხელით შესრულებული მოძრაობები მინიმალურია. იფსილატორალური სტიმულით გაღიზიანება, რომელსაც ხელის რეფლექსური მოქმედება მოჰყვება, მნიშვნელოვნად მცირდება მოტორული პასუხის დროს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა „მოპასუხე“ ხელი იყო წამყვანი [3, 10]. ამასთანავე, პასუხს გაღიზიანებაზე უფრო სწრაფად ახდენენ პირები ცალმხრივი მარცხენამხრივი დომინირებით (წამყვანი ხელისა და თვალის მიხედვით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სივრცის მარჯვენა და მარცხენა მხარისადმი მოზარდის თავისებური დამოკიდებულება, რომელიც მხედველობის საშუალებით კონტროლდება, მნიშვნელოვნად უნდა განსაზღვრავდეს სპორტსმენის წარმატებებს. ამიტომაც დაეინტერესდით სიმეტრია-ასიმეტრიის პრობლემათ და ჩოგბურთელების მაგალითზე შევისწავლეთ, თუ როგორ შეეფარდება სენსომოტორული ასიმეტრიის პროფილი მაგიდის ჩოგბურთში მარჯვენა (R) და მარცხენა (L) მხარეს წარმატების მომტანი ბურთების რაოდენობას ასაკის და სქესის მიხედვით.

კვლევის მეთოდები

ექსპერიმენტი ჩატარდა 60 მოზარდ ჩოგბურთელზე, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ 3 ასაკობრივ ჯგუფში: I – 9-10 წწ, II – 12-13 წწ, III – 15-16 წწ. პრაქტიკულად ყველა ცდის პირი მემარჯვენა იყო.

მემარჯვენეობის დადგენა ხდებოდა ანკეტის მოდიფიცირებული ტესტის მეშვეობით, სადაც ერთმანეთს შეეფარდება მარჯვენა და მარცხენა ხელით შესრულებული ჩვეული მოძრაობები.

სმენითი ასიმეტრიის შესასწავლად გამოვიყენეთ შჩორენ, 1993 წ. ტესტი, რომელიც მოიცავდა 4 ცდას წამყვანი ყურის გამოსავლენად.

მხედველობითი ასიმეტრია დგინდებოდა როზენბახის ცდით.

მაგიდის მარჯვენა (R) და მარცხენა (L) მიმართულებით წარმატების მომტან ბურთებად ითვლებოდა ვარჯიშისა და შეჯიბრის დროს ქულებზე თამაში.

შედეგები და მათი განხილვა

სურ. 1-ზე მოცემულია სენსომოტორული ასიმეტრიის პროფილის შე-

დარება ვაჟებსა (a) და გოგონებს (b) შორის ასაკის მიხედვით ჩოგბურთის მაგიდის მარჯვენა (R) და მარცხენა (L) მიმართულებით წარმატების მომტანი ბურთების რაოდენობასთან.

ვაჟების შემთხვევაში სენსომოტორული ასიმეტრიის პროფილი თითქმის არ იცვლება (მხოლოდ III ასაკობრივ ჯგუფში შეინიშნება მისი უმნიშვნელო მომატება). მაგრამ წარმატების მომტანი ბურთების რაოდენობა ასაკთან ერთად მკვეთრად იზრდება. R მიმართულებით ზრდა შეინიშნება უფრო მეტად II და III ასაკობრივ ჯგუფში, ხოლო მარცხენა მიმართულებით I ასაკობრივ ჯგუფში მომგებიანი ბურთების რაოდენობა გაცილებით მცირეა, მაგრამ ზრდა აქ უფრო სწრაფია, ვიდრე მარჯვენა მიმართულებით.

გოგონების შემთხვევაში შეინიშნება სენსომოტორული ასიმეტრიის პროფილის მკვეთრი მომატება. I - 0,27, II - 0,63, III - 0,81. ე.ი. ასაკთან ერთად ისინი მკვეთრად გამოხატული მემარჯვენეები ხდებიან. მათი წარმატებების ცვლილება, ასაკის მიხედვით, მარჯვენა მიმართულებით იგივეა, რაც ვაჟებში, თუმცა გოგონებს უმცროს ასაკში ნაკლები წარმატებები აქვთ, ვიდრე ვაჟებს. II ასაკში კი პირიქით - მარჯვენა მიმართულებით წარმატებაში გოგონები (6%) ჯაბნიან ვაჟებს (5,7%) და III ასაკში კვლავ ვაჟები "იმარჯვებენ": გოგონებში - 6,5%, ვაჟებში - 7,9%.


რაც შეეხება გოგონებში მარცხენა მიმართულებით მომგებიანი ბურთების რაოდენობას, I ასაკში ის მცირეა - 1,2%. საშუალო ასაკში ხდება მისი სწრაფი ზრდა 6,9%-მდე. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია - მესამე ასაკობრივ ჯგუფში წარმატების მომტანი ბურთები კვლავ მცირდება და 5,67-ის ტოლი ხდება.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვაჟების შემთხვევაში ასიმეტრიის პროფილი თითქმის უცვლელია ასაკის ზრდასთან ერთად, მაგრამ როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მიმართულებით იზრდება წარმატებული ბურთების რაოდენობა, ე.ი. მათი დამოკიდებულება სივრცის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მხრისადმი ყველა ასაკში გაწონასწორებულია.


ვაჟებისაგან განსხვავებით, გოგონების სენსომოტორული ასიმეტრიის პროფილი შესამჩნევად იზრდება ასაკთან ერთად, მაგრამ დამოკიდებულება მარჯვენა სივრცისადმი ვაჟების მსგავსია. განსხვავება შეიმჩნევა სივრცის მარცხენა მხრისადმი დამოკიდებულებაში, - კერძოდ, საშუალო ასაკობრივ ჯგუფში გოგონებს ყველაზე მეტი წარმატებები აქვთ ჩოგბურთის მაგიდის მარცხენა მიმართულებით, ხოლო მესამე ასაკობრივ ჯგუფში ამ მიმართულებით მათი წარმატებები მცირდება, ვაჟებისა კი - პირიქით.

ამგვარად, ადამიანის თავის ტვინის ფუნქციური ასიმეტრიის შესახებ არსებული ლიტერატურის განხილვამ, შესაბამისი კვლევის მეთოდების ანალიზმა და საკუთარი ექსპერიმენტების შედეგებმა აღნიშნული პრონომენის შესახებ დაგვარწმუნა, რომ სენსომოტორული ასიმეტრიის პროფილი ცვალებადია სქესისა და ასაკის მიხედვით, წვრთნის პროცესში, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს მოზარდის სპორტულ ექსტრაპოლაციაზე და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს წარმატებებს. ამიტომ სპორტული ვარჯიშების დაგეგმვისას მწვრთნელებმა აუცილებლად უნდა

გაითვალისწინონ მოზარდი ჩოგბურთელის ინდივიდუალური სენსომოტორული ასიმეტრიის პროფილის ცვალებადობა, რომელიც განსაზღვრავს სივრცის მარჯვენა და მარცხენა მხარისადმი წარმატების მომტანი ბურთების რაოდენობას და, შესაბამისად, წინსვლას სპორტში.



a



b

სურ. 1. სენსომოტორული ასიმეტრიის პროფილის შედარება ვაჟებსა (a) და გოგონებს (b) შორის ჩოგბურთის მაგიდის მარჯვენა (R) და მარცხენა (L) მხარეს წარმატების მომტან ბურთების რაოდენობასთან ასაკის მიხედვით. □ — პროფილი, — წარმატებული.

ლიტერატურა

1. *Брагина Н.Н., Доброхотова Т.А.* Функциональные асимметрии человека. М., "Медицина", 1988, 240 с.
2. *Вардиашвили И.А.* В кн.: Материалы конференции по вопросам физиологии спорта. – Тбилиси, 1960, с. 42.
3. *Кураев Г.А.* В кн.: Леворукость у детей и подростков (под ред. Г.Н. Сердюковой и др.), М., 1987, 66-69.
4. *Логонов А.А.* В кн.: Тезисы докл. 4-го съезда Белорусского физиологического общества им. И.П. Павлова, Минск, 1974, 147-148.
5. *Локштанов В.И., Назаров В.П.* В кн.: Тезисы 5-ой научной конф. по физическому воспитанию детей и подростков (под ред. З.И. Кузнецовой и др.). М., 1972, 334-335.
6. *Любомирский Л.Е.* В кн.: Возрастные особенности двигательных систем детей и подростков (под ред. В.И. Козлова и др.), М., 1985, 222-223.
7. *Овчинникова М.Н.* В кн.: Леворукость у детей и подростков (под ред. Г.Н. Сердюковой и др.) М., 1987, 142-146.
8. *Полюхов А.М.* В кн.: Материалы 2-го Всесоюзного симпозиума (под ред. Б.А. Никитюка и др.), Винница, 1980.
9. *Яковлев Н.М.* Адаптивные механизмы регуляции движения в онтогенезе. Л., Наука, 1981, 136 с.
10. *Bradshaw J.L., Nettleton N.* Neurophysiol., 1982, 20, 605-609.
11. *Buffery F.W.* Brain Res., 1971, 31, 364-365.

СРАВНЕНИЕ ПРОФИЛЯ СЕНСОМОТОРНОЙ АСИМЕТРИИ С УДАЧНЫМИ БРОСКАМИ У ПОДРОСТКОВ ПО ВОЗРАСТУ И ПОЛУ (НА ПРИМЕРЕ НАСТОЛЬНОГО ТЕННИСА)

Д. Кобелашвили

Грузинская государственная академия физического воспитания и спорта, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Исследования, проведенные на теннисистах разного возраста и пола показали, что у юношей профиль сенсомоторной асимметрии с возрастом (9-16 лет) не изменяется, тогда, как значительно возрастает количество успешных бросков по направлению как левой, так и правой стороны теннисного стола, т.е. отношение юношей к пространству обеих сторон одинаково во всех возрастных группах.

В отличие от мальчиков, сенсомоторный профиль асимметрии у девушек значительно возрастает с возрастом. Их ориентация в пространстве правой стороны такова же, как у юношей. А на левой стороне теннисного стола количество успешных бросков понижается с возрастом, т.е. на левой стороне способность ориентироваться левосторонне у девочек снижается с увеличением возраста.

**COMPARISON OF SENSORYMOTOR PROFILES
ACCORDING TO THE AMOUNT OF SUCCESSFUL GOALS
IN TEENAGER TENNIS-PLAYERS BY AGE AND SEX**

D. Kobelashvili

Georgian Academy of Physical Upbringing and Sports, Tbilisi

SUMMARY

Teenager table-tennis players of different age and sex were investigated. It was found that sensormotor profile in boys did not change with aging (9-16 years). Amount of successful goals by boys sharply increased, in both left and right directions. So the young boys' attitude to both sides of table is equal in all ages.

Among the girls sensormotor profile sharply increased with age. Their attitude to the right side is similar to the boys' one. However, amount of successful goals by girls in the left side of table decreased with age.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2003, ტ. 29, № 3-4.

Известия АН Грузии, сер. биол. А, 2003, т. 29, № 3-4.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2003, vol. 29, No 3-4.

ნორჩ ჩოგბურთელთა სივრცეში ორიენტაციის უზსახე

დ. ქობულაშვილი

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, თბილისი

მიღებულია 7.04.2003

ნაჩვენებია, რომ 15-16 წლის ჩოგბურთელებში შეიძლება გამოიყოს სპორტსმენთა ორი, A და B ჯგუფი, იმის მიხედვით, თუ როგორია მათი რთულ და მარტივ სივრცით გამღიზიანებელზე რეაქციის სისწრაფე. კერძოდ A ჯგუფი ერთნაირად სწრაფად რეაგირებს როგორც მარტივ, ასევე რთულ გამღიზიანებელზე, ხოლო B ჯგუფში რთულ გამღიზიანებელზე რეაქციის ფარული პერიოდი გაცილებით მეტია. მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას მოზარდის სპორტული ორიენტაციისათვის.

საკვანძო სიტყვები: ჩოგბურთი, სივრცეში ორიენტაცია, მოძრაობითი რეაქცია

ნებისმიერი მოძრაობის გამოვლინება ხორციელდება ტვინის მოქმედების ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად. ერთიან ფუნქციურ სისტემაში ნერვული პროცესების სისტემური მექანიზმების გაერთიანება განსაზღვრავს სწორედ ამ ინდივიდუალობას, რომლის ერთ-ერთი გამოვლინებაა სივრცითი სინქრონიზაცია [1].

ფსიქომოტორული სფეროებიდან გამომდინარე, სპორტსმენთა მიერ სივრცეში ორიენტაციის უნარის გავლენა მათ სპორტულ შედეგებზე, მრავალი მკვლევარის [2-4, 6-8] ინტერესს წარმოადგენდა.

მხედველობით-მოტორული კორტიკალური ურთიერთობა მნიშვნელოვნად განაპირობებს მოძრაობითი კოორდინაციის განვითარებასა და სივრცით ორიენტაციას [10].

ბიმაწვალური მოქმედების შემთხვევაში მხედველობით-მოტორული რეაქციების ლატენტიური პერიოდის შესწავლამ დაამტკიცა, რომ მემარცხენეებს უფრო სწრაფი რეაგირების უნარი აქვთ [5].

მოძრაობებს, რომლებიც მაქსიმალურ სიჩქარესა და განვითარებულ სივრცით ორიენტაციას მოითხოვენ, მოფარიკავე მემარცხენეები უკეთესად ასრულებენ, რამდენადაც მათი მარჯვენა ნახევარსფერო ახორციელებს სენსორულ, ხოლო მარცხენა – მოტორულ ფუნქციებს [9].

დ. ჩიტაშვილი [8] შეისწავლიდა სხვადასხვა ასაკის სპორტსმენთა მარტივი და რთული მოძრაობითი რეაქციების ხანგრძლივობას. მისი მო-

ნაცემებით მარტივი მოძრაობითი რეაქციის ფარული პერიოდის ხანგრძლივობა ასაკთან ერთად თითქმის არ იცვლებოდა. ამ პარამეტრების მიხედვით მკვლევარი მსჯელობდა სპორტსმენის სივრცით სინქრონიზაციაზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დავინტერესდით სპორტის ისეთი ასიმეტრიული სახეობით, როგორიცაა მაგიდის ჩოგბურთი. მუდმივი დაკვირვების ქვეშ მყოფი მოწინააღმდეგე ჩოგბურთელისაგან საკმაოდ მანძილითაა დაშორებული და ამავდროულად, ბურთის ზუსტი მიღებისა და წარმატებული დარტყმის აუცილებლობა პირდაპირ განსაზღვრავს მის სპორტულ შედეგებს. ამ მიზნით შევეცადეთ შეგვედარებინა ერთმანეთისათვის სხვადასხვა ასაკის ნორჩი ჩოგბურთელები მათი სივრცეში სწრაფი ორიენტაციის უნარის მიხედვით.

ცდის პირები და მეთოდები


ექსპერიმენტში გამოყენებულ იქნა ხელის მოძრაობითი რეაქციის განსაზღვრის მეთოდიკა კუნთების გადაადგილების მინიმალური ტრაექტორიისა და ლოკალური მუშაობის პირობებში. გამოკვლევა მიმდინარეობდა სპეციალური რეფლექსომეტრის საშუალებით, რომელიც გამთიში დილაკით ერთდროულად ახდენდა მარტივი ან რთული გამღიზიანებლისა და მოძრაობითი რეაქციის ფარული პერიოდის ხანგრძლივობის ფიქსირებას. მარტივ გამღიზიანებელს წარმოადგენდა ერთი ნათურის ანთება. რთულ მხედველობით გამღიზიანებელს წარმოადგენდა ოთხი ნათურიდან ორი რომელიმეს ანთება, ხოლო რომლის, ცდის პირისათვის წინასწარ უცნობი იყო. რთული სტიმულებით გაღიზიანება ხდებოდა I და II ვარიანტად. I ვარიანტის დროს ოთხი ნათურა სივრცეში I მეტრის მანძილით თანაბრად იყო ერთმანეთისაგან დაშორებული, II ვარიანტის დროს კი ოთხივე ნათურა ერთად წრეში იყო დაჯგუფებული.

დაკვირვების ქვეშ იყვნენ: 9-10, 11-12 და 15-16 წლის ჩოგბურთელები, რომლებიც გამოვიკვლიეთ მარტივ და რთულ მხედველობით გამღიზიანებელზე მარჯვენა ხელის მოძრაობითი რეაქციებისა და რთული პერიოდების ხანგრძლივობის მიხედვით. თითოეული ჯგუფი შედგებოდა 30 მოზარდისაგან.

შედეგები და მათი განხილვა

სურათ 1-ზე მოცემულია სინათლის სტიმულირებით მარტივ და რთულ (I ვარიანტი – სივრცეში ერთმანეთისაგან 2-2 მეტრით დაშორებული 4 ნათურის შემთხვევაში) მხედველობით გამღიზიანებლებზე მოზარდ ჩოგბურთელთა რეაგირების შედეგები ასაკის მიხედვით. 9-10 წწ. ასაკში მარტივ გამღიზიანებელზე რეაქციის ფარული პერიოდის ხანგრძლივობა უდრის 260 მს., რთულზე – 400 მს; 12-13 წწ-ში მარტივ გამღიზიანებელზე რეაგირება 246 მს ტოლია, ხოლო რთული გამღიზიანებლის შემთხვევაში – 300 მს. მესამე ასაკობრივ ჯგუფში (15-16 წწ.) შედეგების მიხედვით გამოიკვეთა ჩოგბურთელთა ორი, A და B კატეგორია. A კატეგორიაში

გაერთიანდა მოზარდთა 63,3% (19 მოზარდი), რომლებიც მარტივ და რთულ მხედველობით გამლიზიანებლებზე თითქმის ერთნაირი სისწრაფით პასუხობდნენ. კერძოდ: მარტივ გამლიზიანებელზე ხელის მოძრაობის ლატენცული პერიოდი უდრიდა 215 მს, ხოლო რთული გამლიზიანებლის შემთხვევაში 220 მს. ე.ი. განსხვავება ძალიან მცირე იყო – სულ 5 მს. B კატეგორიაში მოთავსდა მოზარდთა 36,7% (11 მოზარდი). ეს მოზარდები მარტივ გამლიზიანებელზე პასუხობდნენ ისე, როგორც A კატეგორიის მოზარდები, ანუ ფარული პერიოდი აქაც უდრიდა 215 მს. რთული გამლიზიანებლის შემთხვევაში კი ხელის მოძრაობის ფარული პერიოდი უდრიდა 290 მს. ე.ი. მარტივ და რთულ გამლიზიანებლებზე პასუხი საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ეს განსხვავება უდრიდა 75 მს. 15-16 წწ. კატეგორიის მოზარდებში რთულ გამლიზიანებელზე ხელის მოძრაობის სისწრაფე მცირედ განსხვავდება 12-13 წწ-ის იგივე პარამეტრის მონაცემებთან.



სურ. 1. ნორმ ჩოგბურთელებში მარტივ და რთულ სივრცით მხედველობით გამლიზიანებელზე მარჯვენა ხელის მოძრაობითი რეაქციის ფარული პერიოდი ასაკის მიხედვით.

ამდენად, ასაკის ზრდასთან ერთად ჩოგბურთელების ერთ ჯგუფში (A კატეგორია) მარტივ და რთულ მხედველობით გამლიზიანებელზე მარჯვენა ხელის რეაქციის ფარული პერიოდები 15-16 წლისებში თითქმის ერთნაირია; მეორე ჯგუფში (B კატეგორია) კი ეს მონაცემები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.


ზემოაღნიშნულ ჩოგბურთელებზე ჩატარებულ ექსპერიმენტში განსხვავება მარტივ და რთულ მხედველობით გამლიზიანებლებზე რეაქციის ფარულ პერიოდებს შორის სტატისტიკურად სარწმუნოა 9-10 წწ., 12-13 წწ. და 15-16 წლის B კატეგორიის ასაკობრივ ჯგუფებში, ხოლო 15-16 წლის ბავშვთა A კატეგორიაში ეს განსხვავება სარწმუნო არ არის.

ბუნებრივია მიღებულმა შედეგებმა დაგვანტერესა თუ რითაა გამოწვეული ჩოგბურთელებში ზემოაღნიშნული ფიზიოლოგიური ფენომენი? რა

ინფორმაციას ამუშავებს ჩოგბურთელი ასე სწრაფად – სივრცითს თუ სხვა რაიმეს?

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად შევცვალეთ ექსპერიმენტის პირობა და კვლევა ჩატარეთ ზემოთ აღნიშნულ II ვარიანტში – ანუ რთულ გამლიზიანებლად ავირჩიეთ წრეში ერთად დაჯგუფებული ოთხი ნათურა, რათა გამოგვერიცხა ცდის პირთა წინაშე დასმული სივრცითი ამოცანა.

სურათ 2-ზე ჩანს, რომ ერთად დაჯგუფებული ნათურების შემთხვევაში I და II ასაკობრივ ჯგუფებში მიღებული შედეგები თითქმის ემთხვევა I ვარიანტში ჩატარებული ექსპერიმენტის, იმავე ასაკობრივი ჯგუფების შედეგებს. მესამე ასაკობრივ ჯგუფში – 15-16 წლის ასაკში კი შედეგების მიხედვით განსხვავებაა, კერძოდ, აქ დასმულ ამოცანას ერთნაირად ასრულებენ, როგორც A, ისე B კატეგორიის მოზარდი ჩოგბურთელები.



სურ. 2. ნორმ ჩოგბურთელებში მარტივ და რთულ (წრეში ერთად დაჯგუფებული 4 ნათურა) გამლიზიანებლებზე მარჯვენა ხელის მოძრაობით რეაქციის ფარული პერიოდი ასაკის მიხედვით.

ამგვარად, ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ჩოგბურთელებში, კერძოდ 15-16 წლის ასაკის A კატეგორიის მოზარდებში, რთულ მხედველობით გამლიზიანებელზე რეაქციის ფარული პერიოდი უთანაბრდება მარტივ გამლიზიანებელზე რეაქციის ფარულ პერიოდს იმ შემთხვევაში, როდესაც ამოცანა თხოულობს მხედველობითი სტიმულების რაოდენობის დათვლას და, ამავდროულად, საკმაოდ დიდ სივრცეზე ყურადღების გადანაწილებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოაღნიშნული მოვლენა დაკავშირებულია თავად ჩოგბურთის სფეციფიკასთან, რამდენადაც სპორტის ეს სახეობა მოითხოვს სპორტსმენისაგან ჩოგბურთის მაგიდის და მაგიდის გარშემო სივრცეში ყურადღების განაწილებას მოწინააღმდეგის და აგრეთვე ბურთის ადგილმდებარეობის მუდმივი კონტროლის მიზნით. ჩატარებული კვლევა იძლევა იმის საშუალებას, რომ რთულ მხედველობით

გამღიზიანებელზე ხელის მოძრაობითი რეაქციის მიხედვით, ადრეული ასაკის მოზარდებში გამოვარჩიოთ ისეთები, რომლებიც ჩოგბურთში შემდგომი ვარჯიშისას გარკვეულ წარმატებებს მიაღწევენ, მათი უკეთ ორიენტაციის გზით.

ლიტერატურა

1. *Доброхотова Т.А., Брагина И.Н.* Левши. М., “Книга”, 1994.
2. *Ливанов М.Н.* Успехи физиологических наук, 1981, 2, 3-14.
3. *Перальга А.Ф.* Автореферат дис. канд. биолог. наук. Л., 1975.
4. *Погребной А.И.* В кн.: Физиологические основы управления движениями (под ред. Ф.М. Талышева и др.) М., 1980, 83-93.
5. *Полухов А.М.* В кн.: Материалы 2-го Всесоюзного симпозиума (под ред. Б.А. Никитюка и др.). Винница, 1980, т. 1, с. 81-83.
6. *Смагин Н.В., Радченко А.С.* В кн.: Совершенствование научных основ физического воспитания и спорта (под ред. И.Ю. Карпаноса). М., 1981, 171-172.
7. *Степаненко М.М.* Теория и практика физической культуры, 1976, 11, 33-35.
8. *ხოჭაშვილი დ.* კარდიორესპირატორული და კუნთოვანი სისტემის ფუნქციონირება ფიზიკური დატვირთვების დროს. თბილისი, “მეცნიერება”, 1995.
9. *Чуприлов А.П., Казакова С.Е.* Здоровье, 1982, 1, с. 12.
10. *Яковлев Н.М.* Адаптивные механизмы регуляции движения в онтогенезе. Л., “Наука”, 1981.

კ ვოპრუსუ ორიენტაციის ვ პროსტრანსტვესუ იუნუს ტენისისტოს

დ. კობელაშვილი

გურჯინსკუს აკადემიუს ფიზიკესკოს ვოსპიტანისა ი სპორტის, ტბილისი

რეზიუმე

ცელს ისლედოვანის პროანალიზიროვოტ პოკაზატელს ორიენტაციის ვ პროსტრანსტვესუ იუნუს ტენისისტოს ი ოპრედელის ვრემუს რეაქციის ნა რაზნეს რაზდრაჟიტელის.

რეზულტატუს ისლედოვანის პოკაზალს, ცუს ტენისისტოს 15-16 ლეტ, ვ ვაზისიმოსის ოტ რეაქციის ნა პროსტოს ილ სლოჟნის პროსტრანსტვენის რაზდრაჟიტელს, მოჟნო რაზდელის ნა დვე სპორტისუნეს გრუპუს – ა ი ბ. სპორტისუნეს გრუპუს ა ოდინაკოვო ბუსტრო რეაგირუოტ, კაკ ნა პროსტეს, ტაკ ი ნა სლოჟნეს პროსტრანსტვენის რაზოჟიტელს. ვ გრუპუს ბ ვრემუს რეაქციის ნა სლოჟნის რაზდრაჟიტელს გორაზდო ბოლუსეს.

პოლუჩენნეს დანნეს მოჟნო ისპოლზოვოტ ვ პრაქტიკეს სპორტისუნეს ტრენიროვკის ს ცელუს სპორტორიენტაციის იუნუს სპორტისუნეს.

YOUNG TENNIS-PLAYER'S ORIENTATION IN SPACE

D. Kobelashvili

Academy of Physical Education and Sport, Tbilisi

SUMMARY

The two groups of sportsmen (tennis-players) – A and B, aged between 15-16 years, could be defined according to their reaction velocity to simple and complex spatial stimuli.

Group A sportsmen have equal reaction to simple or complex stimulus, but the latent period of reaction to the complex stimulus is higher in group B.

These results can be used for the young sportsmen's professional orientation.

СООТНОШЕНИЕ КОЛИЧЕСТВЕННЫХ (ЧИСЛО, РАЗМЕР) И СТРУКТУРНЫХ (3D-ОРГАНИЗАЦИЯ) ПАРАМЕТРОВ ЯДРЫШ- КОВЫХ ОРГАНИЗАТОРОВ С ДИФФЕРЕНЦИРОВКОЙ КЛЕТОК. II. БАЗОФИЛЬНЫЕ ЭРИТРОБЛАСТЫ МЫШИ

Н.Н. Гачава, Е.Л. Мишаткина, Е.О. Черкезия, Ш.Р. Джинджолия,
Г.Д. Туманишвили, П.В. Челидзе*

Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили; * Кутаис-
ский государственный университет им. А. Церетели

Принята 21.01.2003

Изучено поведение ядрышко-организующих районов (ЯОР) в процессе клеточного цикла и дифференцировки. В отличие от предыдущей работы, сравнение количественных и структурных параметров ЯОР в метафазе, и фибриллярных центров (ФЦ) в интерфазе проводилось на примере более дифференцированных клеток – базофильных эритробластов. Удалось установить, что в процессе дифференцировки происходит уменьшение количественных параметров метафазных ЯОР и интерфазных ФЦ.

Ключевые слова: ядрышко, ядрышко-организующий район, фибриллярные центры, проэритробласты, базофильные эритробласты.

Как упоминалось в предыдущей работе [1], основной целью наших исследований было изучение поведения ядрышко-организующих районов в процессе клеточного цикла и дифференцировки. Для этого сравнивали количественные и структурные параметры ЯОР в метафазе и ФЦ в интерфазе проэритробластов эмбриональной печени мыши. В результате удалось показать, что суммарный объём ФЦ интерфазных клеток и ЯОР в метафазе почти одинаков [1]. Кроме того ранее было обнаружено, что процесс дифференцировки сопровождается уменьшением числа и размеров активных, Ag-позитивных ЯОР. Подобное явление связано, вероятно, с уменьшением количества транскрибирующих р-генов [2, 5]. Чтобы окончательно в этом убедиться, было решено использовать в наших исследованиях базофильные эритробласты, т.к. они более дифференцированы, чем проэритробласты, но всё ещё относятся к пролиферирующей группе клеток.

МАТЕРИАЛЫ И МЕТОДЫ

Были изучены количественные и структурные параметры ЯОР. Исследования проводились на эмбриональной ткани печени 12-13 дневных зародышей мыши. Обработка материала, т.е. фиксация и заливка ткани, такие же как и в предыдущей работе [1]. Однако на этот раз, в отличие от проэритробластов, поведение ЯОР в метафазе и их соответствие ФЦ в интерфазе исследовалось на примере более дифференцированных клеток – базофильных эритробластов. Окраска на Ag-позитивные белки для электронной микроскопии и светооптических исследований проводилась по методу Зацепиной и Сметаны [2]. С помощью ультраструктурной компьютерной томографии были получены модели на основе изучения 5 метафазных и такого же количества интерфазных базофильных эритробластов.

РЕЗУЛЬТАТЫ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

В предыдущей работе с помощью обзорных снимков полутонких срезов эмбриональной печени мыши нам удалось продемонстрировать, что базофильные эритробласты можно легко идентифицировать в общей массе клеток. По сравнению с проэритробластами диаметр таких клеток сокращается до 12-14 μm , а в ядрах происходит резкое повышение конденсации хроматина, так что ядрышки не всегда легко обнаружить [2]. По степени конденсации хроматина удаётся выделить 3 группы базофильных эритробластов, которые можно условно определить как ранние, средние и поздние.

Для ранних базофильных эритробластов характерно округлое ядро. При этом степень конденсации хроматина лишь несколько выше, чем у проэритробластов. На этой стадии дифференцировки ядрышко всё ещё легко обнаружить. Однако, оно утрачивает чётко выраженную нуклеолонемную структуру, а ФЦ выражены лучше [2]. Согласно общепринятой классификации, такую структуру ядрышка можно отнести к промежуточному типу (Рис. 1).

Ядра средних базофильных эритробластов вытянуты, ядрышко ярко выраженного промежуточного типа и степень конденсации хроматина значительно выше, в отличии от ранних форм базофильных эритробластов. Здесь, нуклеолонемная структура либо остаточная, либо полностью отсутствует, а идентифицировать ФЦ ещё легче (Рис. 2).

Для поздних базофильных эритробластов характерна настолько высокая степень конденсации хроматина, что обнаружить остаточное ядрышко среди массы ассоциированного с ним хроматина можно только по крупным ФЦ [2]. При этом чаще всего остаётся только один ФЦ (Рис.3). Не вызывает сомнений тот факт, что такие остаточные ядрышки поздних базофильных эритробластов являются лишь переходной формой и при дальнейшей дифференцировке в полихроматофильные эритробласты дают начало кольцевидным ядрышкам. При переходе клеток на стадию нормобластов, от ядрышек остаются только свободные ФЦ. Такая динамика изменения, начиная от проэритробластов [1], через все этапы базофильных эритробластов до поздней стадии, хорошо прослеживается на препаратах с окраской на Ag-позитивные белки как на электронномикроскопическом, так и

светооптическом уровнях (Рис.1, 2, 4). Особенно наглядно удалось это визуализировать с помощью компьютерной реконструкции [3]. На Рис. 5 представлено 3D модель ядрышка раннего базофильного эритробласта с 5 фибриллярными центрами.




Рис. 1. Ультраструктура промежуточного ядрышка в ранних базофильных эритробластах. Окраска Ag-белков.




Рис. 2. Ультраструктура промежуточного ядрышка в средних базофильных эритробластах. Окраска Ag-белков.




Рис. 3. Ультраструктура ядрышка в поздних базофильных эритробластах. Окраска Ag-белков.



Рис. 4. Окраска Ag-белков поздних базофильных эритробластов.

О количественном соотношении данной популяции клеток в массе ткани сообщалось в предыдущей работе [1]. Что касается изменения количественных параметров ФЦ, то следует отметить, что на этой стадии дифференцировки их число резко падает и составляет всего 4 ФЦ на ядрышко. Особенно резкий контраст это представляет при сравнении с проэритробластами, где их количество достигает 88. Однако, одновременно с уменьшением числа ФЦ, средний объем каждого из них увеличивается более, чем в 5 раз: с $0,0042 \mu\text{m}^3$ в проэритробластах, до $0,0248 \mu\text{m}^3$ в

базофильных эритробластах. Тем не менее, средний суммарный объём ФЦ в 5 базофильных эритробластах почти вдвое меньше, чем у такого же количества проэритробластов [1].



Рис. 5. Степень дисперсии интерфазных ЯОР в ядрышках среднего базофильного эритробласта.




Рис. 6. Томографическая реконструкция метафазных ЯОР базофильных эритробластов.

Достаточно легко отличить и митотические проэритробласты от делящихся базофильных эритробластов на ультраструктурном уровне. У базофильных эритробластов размеры ЯОР гораздо меньше. Подобная картина наблюдается и на электронномикроскопических препаратах, с окраской на Ag-позитивные белки. При этом количество ЯОР в митотических клетках около 8 на тетраплоидный набор, т.е. в диплоидной клетке их всего 2. Следовательно, в процессе дифференцировки происходит снижение числа потенциально активных ЯОР. В отношении количественных параметров здесь также происходит резкое падение объёма каждого ЯОР и уменьшается общесуммарный объём метафазных ЯОР. Минимальный объём одного ЯОР в базофильных эритробластах составляет $0,010 \mu\text{m}^3$, а максимальный – $0,044 \mu\text{m}^3$, т.е. по сравнению с проэритробластом, максимальный объём ЯОР снизился более чем вдвое. Следует отметить полное совпадение общего суммарного объёма метафазных ЯОР с таким же у ФЦ. Суммарный объём ЯОР в метафазной тетраплоидной клетке – $0,344 \mu\text{m}^3$, т.е. в диплоидной – $0,172 \mu\text{m}^3$. А это полностью совпадает с общим объёмом ФЦ интерфазных базофильных эритробластов (Рис. 6).

В заключение ещё раз необходимо отметить, что в процессе дифференцировки происходит уменьшение количества и размеров метафазных ЯОР. При этом наблюдается полное совпадение количественных параметров у метафазных ЯОР и интерфазных ФЦ [2, 4, 5].

ЛИТЕРАТУРА

1. Гачава Н.Н., Мишаткина Е.Л., Черкезия Е.О., Джиндžoлия Ш.Р., Туманишвили Г.Д., Челидзе П.В. Известия АН Грузии, серия биол. А, 2003, 29, 1-2, 167-173.

2. *Zayutina O.B., Chelidze P.B., Chuyos Ю.С.* *Онтогенез*, 1989, 20, 40-46.
3. *Cheutin T, O'Donohue M, F., Kaplan H., Lucas L., Beorchia A., Thiry M., Ploton D.* In: 6th. ESACP Congress, Heidelberg, 1999.
4. *Dundr M., Misteli T., Olson M.O.J.* *J. Cell Biol.*, 2000, 250, 433-446.
5. *Scheer U., Hock P.* *Curr. Opin. Cell Biol.*, 1999, 11, 385-390.

ბირთვების მორგანიზაციული უბნების რაოდენობრივი (რიცხვი, ზომა) და სტრუქტურული (3D-ორგანიზაცია) პარამეტრების კორელაცია უჯრედის დიფერენცირების პროცესთან.

II. თაგვის ბაზოფილური ერიტრობლასტები

ნ. ღაჭავაძე, ე. მიშატკინა, ე. ჩერქეზია, შ. ჯინჯოლია,
გ. თუმანიშვილი, პ. ჩელიძე*

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
* ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

შესწავლილია ბირთვების მორგანიზაციული უბნების (ბმუ) მოქმედება უჯრედულ ციკლსა და დიფერენცირების პროცესში. წინა ნაშრომისგან განსხვავებით, ამჯერად მეტაფაზური ბმუ და ინტერფაზური ფიბრილარული ცენტრების რაოდენობრივი და სტრუქტურული პარამეტრების ერთმანეთთან შედარებისთვის გამოვიყენეთ უფრო მეტად დიფერენცირებული უჯრედები – ბაზოფილური ერიტრობლასტები. დავადგინეთ, რომ დიფერენცირების პროცესში მცირდება მეტაფაზური ბმუ და ინტერფაზური ფიბრილარული ცენტრების რაოდენობა და მათი ინდივიდუალური ზომები.

THE CORRELATION OF NUCLEOLUS-ORGANIZING REGIONS QUANTITATIVE (NUMBER, SIZE) AND STRUCTURAL (3D-ORGANIZATION) PARAMETERS, WITH CELL DIFFERENTIATION. II. MOUSE BASOPHILIC ERYTHROBLASTS

N. Gachava, E. Mishatkina, E. Cherkezia, Sh. Djindjolia, G. Tumanishvili, P. Chelidze*

I. Javakhishvili Tbilisi State University; * A. Tsereteli Kutaisi State University

SUMMARY

The behavior of nucleolus-organizing regions (NORs) in processes of cell cycle and differentiation was studied. The comparison of quantitative and structural parameters of NORs in metaphase and fibrillar centers during interphase of basophilic erythroblasts has been made. The decreased number and volume of metaphasic NORs and FC in interphase during processes of cell differentiation has been noticed.

კორელაციური კავშირი ოსტეომიელიტის გამომწვევებსა და კლინიკურ-იმუნოლოგიურ მახასიათებლებს შორის

მ. წიკლაური

ო. ლუღუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, თბილისი

მიღებულია 22.04.2003

ნაშრომში 100 სხვადასხვა ეტიოლოგიის ოსტეომიელიტით დაავადებული პაციენტის ბაქტერიოლოგიური და კლინიკურ-იმუნოლოგიური ფაქტორების კომპლექსური შესწავლის საფუძველზე, კორელაციური ანალიზის გამოყენებით დადგინდა, რომ ტრამისშემდგომი ინფექციური გართულებების სახეები და ორგანიზმის რეაქტიულობა დამოკიდებულია ეტიოლოგიურ ფაქტორზე; სხვადასხვა ეტიოლოგიური ფაქტორის ამოთესვის სიხშირე განსხვავებულია ტრამის ლოკალიზაციისა და ოპერაციული ჩარევის, ტრამის სახეობის მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: ოსტეომიელიტი, ეტიოლოგიური ფაქტორი, იმუნური სტატუსი

ტრავმატოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ტრავმული დაავადებების ჩირქოვან-სეფსისური გართულებების პროფილაქტიკა და მკურნალობა.

ჩირქოვანი გართულებების სიხშირე დამოკიდებულია როგორც ტრამის სიმძიმესა და ორგანიზმის იმუნორეაქტიულობაზე, ისე ეტიოლოგიურ ფაქტორზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეტიოლოგიური ფაქტორის ურთიერთქმედების განსაზღვრას დაავადების კლინიკურ-იმუნოლოგიურ მახასიათებლებთან [1, 2].

ჩვენი შრომის მიზანია ოსტეომიელიტის გამომწვევებსა და კლინიკურ-იმუნოლოგიურ მახასიათებლებს შორის კორელაციების დადგენა გრამ-დადებითი ფლორის დროს.

მასალა და მეთოდები

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 100 16-დან 80 წლამდე ქრონიკული ოსტეომიელიტით დაავადებული პაციენტი, ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო ცენტრის კონტინგენტიდან. გამოიყენებოდა კლინიკური, კლინიკურ-ლაბორატორიული, ბაქტერიოლოგიური, იმუნოლოგიური

კვლევის მეთოდები. T და B ლიმფოციტების რაოდენობრივ ანალიზს ვატარებდით Jondal-ის მეთოდით, ბლასტ-ტრანსფორმაციის რეაქციას ვატარებდით Jonsen-ის მიხედვით, აქტივატორად ვიყენებდით ბაქტერიულ ლიპოსაკარიდს. ანტიბაქტერიული ანტისხეულების ტიტრის განსაზღვრა ხდებოდა პასიური ჰემაგლუტინაციის რეაქციით ჩვენს მიერ მოდიფიცირებულ Boiden-ის მეთოდით.

შესწავლილ იქნა ფაქტორთა შემდეგი ჯგუფები: ასაკი, ტრავმის ლოკალიზაცია, მოტეხილობის სახეები, მკურნალობის მეთოდები, თანმხლები დაავადებები, უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტის მანევრებლები, მიკრობსაწინააღმდეგო და ხრტილსაწინააღმდეგო ანტისხეულების ტიტრის მანევრებელი, ეტიოლოგიური ფაქტორი. მასალა დამუშავდა კორელაციური ანალიზის მეთოდებით; კორელაცია სარწმუნოდ ითვლებოდა, თუ $R > 0,25$ ($p < 0,05$).

შედეგები და მათი განხილვა

ჩვენს მიერ შესწავლილ კონტინგენტში ეტიოლოგიური ფაქტორის ამოთესვის სისწორე შემდეგნაირად განაწილდა: *S.aureus* 36,9%, *S.epidermidis* 52,4%, *Ps.aeruginosa* 27,4%, *E.coli* 13,1%, *Proteus* 27,4%. ასოცირებულ ინფექციას ადგილი ჰქონდა შემთხვევათა 22,6%-ში.

ცხრილ 1-ში მოცემულია კორელაციები *Staph. aureus*-ის ამოთესვის სისწორესა და კლინიკურ-იმუნოლოგიურ მახასიათებლებს შორის ოსტეომიელიტის დროს.

S.aureus უპირატესად გვხვდება 16-30 წლის ასაკში, სარწმუნო დადებით კორელაციებს ამჟღავნებს ცდომით, ცეცხლნასროლ და ღია მოტეხილობასთან; განსაკუთრებით მაღალია კორელაციის კოეფიციენტი თვითღინებით და დაგვიანებით შემოსვლასთან, ინფექციური პროცესის ადრულ – ორ კვირამდე – დაწყებასთან და ოპერაციულ მკურნალობასთან.

იმუნოლოგიური მანევრებლებიდან დადებით კორელაციას ამჟღავნებს T-აქტიურის, პელპერის, სუპრესორის და B ლიმფოციტების კვება, ფაგოციტური ინდექსის შემცირება და ბლასტ-ტრანსფორმაციის რეაქციის მანევრებლის მომატება.

აღსანიშნავია კორელაცია მკურნალობის კეთილსაიმედო გამოსავალთან – კორელაცია ნიშანთან “გაიშვა ამბულატორულ მკურნალობაზე” ($R = 0,79$).

ცხრილ 1-ში მოცემულია კორელაციები *S.epidermidis*-ის ამოთესვის სისწორესა და კლინიკურ-იმუნოლოგიურ მახასიათებლებს შორის ოსტეომიელიტის დროს. *S.epidermidis*-ის ამოთესვა სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს ტრავმის შემდეგ ლოკალიზაციასთან: ბარძაყის ყელი, გოჯები, ნეკნები, დახურული მოტეხილობა, ჰოსპიტალიზაცია სასწრაფო დახმარების მანქანით, კონსერვატიული მკურნალობა, ადგილობრივი გაუტკივარება.

იმუნოლოგიური მანევრებლების მხრივ ადგილი აქვს კორელაციებს T და B სისტემის აქტივაციასთან, იმუნორეგულაციის ინდექსის მომატებასთან და ფაგოციტური ინდექსის შემცირებასთან.

კორელაცია (R) S.aureus-ის (S.epidermidis-ის) ამოთესვის სიხშირესა და კლინიკურ-იმუნოლოგიურ მახასიათებლებს შორის ოსტეომიელიტის დროს

S.aureus	
ფაქტორთა დასახელება	R
ასაკი 16-30 წ.	0,32
ბარძაყის ყელი	-0,40
ბარძაყის ძვალი	0,252
გოჯები	-0,33
ცდომით მოტეხილობა	0,29
ღია მოტეხილობა	0,87
დახურული მოტეხ. ცდომის გარეშე	-0,78
ცეცხლნასროლი	0,55
ნეკნები, მკერდის ძვალი	-0,40
შემოვიდა – თვითდინებით	0,74
– სასწრ. დახმარების მანქანით	-0,61
– 24 დღიდან 2 კვირამდე	0,29
ოპერაციული მკურნალობა	0,63
კონსერვატ. მკურნალობა	-0,81
ოპერ. მეორადი ჩირქოვანი პროცესის გამო	0,90
ადგილობრ. გაუტკივარება	-0,72
ზოგადი გაუტკივარება	0,9
ტიტრი 1:160-1:320	0,5
T-აქტიური >	-0,59
T-აქტიური <	0,56
T-საერთო >	-0,78
T-საერთო<	0,81
T-ჰელპერი >	-0,56
T-ჰელპერი <	0,32
T-სუპრესორი >	-0,58
T-სუპრესორი <	0,38
იმუნორეგულაციის ინდექსი >	-0,55
ბლასტ-ტრანსფორმაციის რეაქციის მაჩვენ. 6-15%	0,41
ბლასტ-ტრანსფორმაციის რეაქციის მაჩვენებელი >15%	0,29
B-ლიმფოციტები >	-0,78
B-ლიმფოციტები <	0,74
ფაგოციტური ინდექსი <	0,51

S.epidermidis	
ფაქტორთა დასახელება	R
ბარძაყის ყელი	0,32
გოჯები	0,44
ცდომით მოტეხილობა	-0,34
ღია მოტეხილობა	-0,62
დახურული მოტეხილობა ცდომის გარეშე	0,72
ცეცხლნასროლი	-0,47
ნეკნები, მკერდის ძვალი	0,32
თვითდინებით	-0,62
სასწრ. დახმარების	0,64
ოპერაციული მკურნალ.	-0,41
კონსერვატიული მკურნალობა	0,73
ოპერ. მეორადი ჩირქ. პროცესის გამო	-0,65
ადგილ. გაუტკივარება	0,67
ზოგადი გაუტკივარება	-0,65
ტიტრი 1:160-1:320	-0,29
T-აქტიური >	0,61
T-აქტიური <	-0,43
T-საერთო >	0,71
T-საერთო <	-0,54
T-ჰელპერი >	0,48
T-სუპრესორი >	0,57
იმუნორეგულაციის ინდექსი	0,53
B-ლიმფოციტები >	0,71
B-ლიმფოციტები <	-0,52
ფაგოციტური ინდექსი <	0,29
გაიშვა ამბ. მკურნ.	-0,61
გართულდა სეფსისით	0,66

S.epidermidis-ის ამოთესვა კორელაციას ამჟღავნებს სეფსისის განვითარებასთან $R = 0,66$.

Ps.aeruginosas ამოთესვის სიხშირე სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს ტრავმის ლოკალიზაციასთან ბარძაყის ძვალში ($R = 0,351$), ღია და ცეცხლნასროლ მოტეხილობასთან, ($R = 0,34$, $R = 0,35$ შესაბამისად). ავადმყოფის შემოსვლა სასწრაფო დახმარების მანქანით ($R = 0,64$), ზოგადი გაუტკივარება ($R = 0,33$), ავადმყოფი გაიშვა ამბულატორიულ მკურნალობაზე ($R = 0,34$).

E.coli სარწმუნო კორელაციას ამჟღავნებს მხოლოდ ფილტვების დაზიანებასთან ($R = 0,27$).

Proteus-ის ამოთესვის სიხშირე კორელირებს ტრავმის ლოკალიზაციასთან წვივის ძვლებში ($R = 0,31$), უცხო სხეულთან ($R = 0,28$) და ოპერაციულ მკურნალობასთან ($R = 0,28$).

ამრიგად, ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ტრავმის შემდგომი ინფექციური გართულებების სახეები და ორგანიზმის რეაქტიულობა დამოკიდებულია ეტიოლოგიურ ფაქტორზე; სხვადასხვა ეტიოლოგიური ფაქტორის ამოთესვის სიხშირე განსხვავებულია ტრავმის ლოკალიზაციისა და ოპერაციული ჩარევის, ტრავმის სახეობის მიხედვით. გარკვეული მნიშვნელობა აქვს პაციენტის კლინიკაში შემოსვლის პირობებს, სასწრაფო დახმარებით მოყვანილ ავადმყოფებში მაღალია *S.epidermidis*-ით და *Ps.aeruginosa*-თი ინფიცირების რისკი, მაშინ როდესაც *S.aureus*-ი სარწმუნო კორელაციას ამჟღავნებს თვითღინებით შემოსვლასთან.

ჩვენი კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს გართულების ადრეულ დიაგნოსტიკას.

ლიტერატურა

1. Дерябин И.И. Травматическая болезнь. Л., 1987.
2. Chaudry I.H., Aiala A. Am. J. Physiol., 1990, 259, 663-678.

КОРРЕЛЯЦИИ МЕЖДУ ВОЗБУДИТЕЛЯМИ ОСТЕОМИЕЛИТА И КЛИНИКО-ИММУНОЛОГИЧЕСКИМИ ПАРАМЕТРАМИ БОЛЬНОГО

М. Циклаური

Национальный медицинский центр имени О.Н. Гудушаури, Тбилиси

РЕЗЮМЕ

На основе изучения бактериальных показателей, клинических факторов и иммунного статуса 100 травматических больных с остеомиелитом, определено соотношение иммунного статуса с этиологическим фактором. Установлено, что частота высевания разных возбудителей коррелирует с видом и локализацией травмы, с методом оперативного вмешательства.

CORRELATIONS BETWEEN ORIGINATORS OF OSTEOMYELITIS AND CLINICAL-IMMUNOLOGICAL PARAMETERS OF A PATIENT

M. Tsiklauri

O. Gudushauri National Medical Center, Tbilisi

SUMMARY

On the basis of bacterial parameters, clinical factors and immune status in 100 traumatic patients with osteomyelitis an interrelation of the immune status with the etiological factor was defined. It was established that incidence of different originators correlates with an aspect and localization of a trauma, and with method of surgery.

უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტის მანჯვენალები ტრაეშულ დაზიანებათა Ps.aeruginosa-ში გართულების დროს დინამიკაში იმუნორეაბილიტაციის ფონზე

მ. წიკლაური

ო. ლუღუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, თბილისი

მიღებულია 22.04.2003

ნაშრომში 30 ოსტეომიელიტით დაავადებული ტრაეშული ავადმყოფის და 30 საკონტროლო პირის იმუნოლოგიური მანჯვენალების შესწავლის საფუძველზე დადგენილია პაციენტთა იმუნური სტატუსი დაავადებათა Ps.aeruginosa-ში გართულების დროს იმუნომოდულატორების მოქმედების ფონზე. განსაზღვრულია იმუნური მანჯვენალების როლი ჩირქოვანი გართულებების ადრეულ დიაგნოსტიკაში და ნაჩვენებია იმუნომოდულატორების როლი დაავადების კომპლექსურ მკურნალობაში.

საკვანძო სიტყვები: ოსტეომიელიტი, უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტი, იმუნორეაბილიტაცია, Ps.aeruginosa

ტრაემატოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ტრაეშულ დაზიანებათა ჩირქოვანი გართულებების პროფილაქტიკა და მკურნალობა.

ტრაემის შემდგომი ინფექციების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოწვეულია პირობითად პათოგენური მიკრობებით – საპროფიტებით, რომელთა მიერ პათოგენურობის გამოქვეყნება დაკავშირებულია ორგანიზმის იმუნური სტაბილურობის დარღვევასთან [1, 2].

იმუნოდეფიციტური მდგომარეობა შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ტრაეშული დაზიანებით, ისე სამკურნალო ღონისძიებათა გამოყენების შედეგად. ამდენად, მნიშვნელოვანია ბაზისურ მკურნალობაში იმუნომოდულატორების ჩართვა [3, 4].

სამუშაოს მიზანია უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტის მანჯვენალების შესწავლა Ps.aeruginosa-ში გამოწვეული ტრაემის შემდგომი გართულების დროს, დინამიკაში და იმუნორეაბილიტაციის როლის დადგენა დაავადების გამოსავალსა და პროგნოზში.

მასალა და მეთოდები

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 30 ტრავმული ავადმყოფი, რომელთა იმუნური სტატუსის შესწავლა მოხდა დინამიკაში – ჩირქოვანი პროცესის დასაწყისში, გამწვავების პროცესსა და რემისიის პერიოდში. ბაზისურ მკურნალობაში ჩართული იყო იმუნომოდულატორი თიმალინი.

საკონტროლოდ ვიყენებდით 30 პრაქტიკულად ჯანმრთელი პირის იმუნოლოგიური კვლევის მონაცემებს.

T და B ლიმფოციტების რაოდენობრივ ანალიზს ვატარებდით Jondal-ის მეთოდით, ბლანსტრანსფორმაციის რეაქციას ვატარებდით Jonsen-ის მიხედვით, აქტივატორად ვიყენებდით ბაქტერიულ ლიპოსაქარიდს. ანტიბაქტერიული ანტისხეულების ტიტრის განსაზღვრა ხდებოდა პასიური ჰემაგლუტინაციის რეაქციით, ჩვენს მიერ მოდიფიცირებული Boiden-ის მეთოდით.

შედეგები და მათი განხილვა


როგორც ჩვენმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, ანტიბაქტერიული ანტისხეულების ტიტრი მომატებულია დაავადების არა მარტო აქტიურ სტადიაზე, არამედ ჩირქოვანი პროცესის დაწყებამდეც. ტიტრი მკვეთრად მატულობს გამწვავების პერიოდში, ხოლო იმუნორეაბილიტაციის პერიოდში უახლოვდება საწყის მაჩვენებელს. ანტისხეულების ტიტრის ცვლილება პირდაპირ კორელაციაშია ზოგადიმუნური სტატუსის მონაცემებთან. იმუნოლოგიური კვლევის შედეგები მოტანილია სურათი 1-ზე.

T-აქტიური მომატებულია დაავადების გამოვლენამდე, მკვეთრად კლებულობს გამწვავების პერიოდში, ხოლო იმუნომოდულატორის მოქმედებისას უახლოვდება ნორმას. T-საერთო დაავადების საწყის ეტაპზე ამჟღავნებს კლების ტენდენციას, სარწმუნოდ იკლებს გამწვავების პერიოდში და კვლავ მატულობს რეაბილიტაციის ფონზე. იგივე სურათია T-ჰელპერის და T-სუპრესორის თვალსაზრისით. ამრიგად, როგორც ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, გამწვავების პერიოდში T-უჯრედები ამჟღავნებენ შემცირების ტენდენციას.

გამწვავების პერიოდში სარწმუნოდ მატულობს იმუნორეგულაციის ინდექსი ($t = 3,66$). ბლანსტრანსფორმაციის რეაქციის მაჩვენებელი ჩირქოვანი პროცესის დაწყებამდე იწყებს მატებას, გამწვავების პერიოდში სარწმუნოდ განსხვავდება საკონტროლო მაჩვენებლისაგან, ხოლო იმუნომოდულატორების გამოყენების შემდეგ უახლოვდება ნორმას. ფაგოციტური ინდექსის კლება აღინიშნება მხოლოდ გამწვავების პერიოდში, ხოლო ფაგოციტური რიცხვი ამჟღავნებს კლების ტენდენციას გამწვავებამდეც; იმუნომოდულაციის შემდეგ ორივე მაჩვენებელი უახლოვდება საკონტროლოს. ლიმფოციტების კლება კონტროლთან შედარებით აღინიშნება დაავადების ყველა ეტაპზე და კორელირებს ჩირქოვანი პროცესის გამწვავების სხვა მაჩვენებლებთან.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტრავმული დაავადებების დროს გართულების პათოგენეზში წამყვანი როლი ენიჭება განსაზღვრული ეფექ-

ტროული ფუნქციის (უჯრედული და ჰუმორული) უკმარისობის განვითარებას. ტრავმის ფაქტორები, მათი სიმძიმისა და ორგანიზმის რეაქციის მიხედვით, იწვევენ იმუნოკომპონენტური უჯრედების პროლიფერაციისა და აქტივაციის ცვლილებებს, იმუნოდეფიციტური მდგომარეობის ჩამოყალიბებას, რაც იწვევს პათოლოგიური პროცესის განვითარებას.



სურ. 1. იმუნური მანვენებლების დინამიკა *Ps. aeruginosa*-ს მოქმედებით გამოწვეული ჩირქოვანი გართულებების დროს. იმუნომოდულატორებით მკურნალობის ფონზე. 1. ანტისხეულების ტიტრი, 2. T-აქტიური, 3. T-საერთო, 4. T-ჰელპერი, 5. T-სუპრესორი 6. იმუნორეგულაციის ინდექსი, 7. ბლასტოტრანსფორმაციის რეაქცია, 8. ფაგოციტური ინდექსი, 9. ფაგოციტური რიცხვი, 10. B-ლიმფოციტი.

ჩვენი მონაცემები კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ტრავმის დროს ხდება მრავალი ორგანოს ფუნქციის დარღვევა, რასაც უპირველესად მოსდევს იმუნური სისტემის ადეკვატური პასუხი, იცვლება ორგანიზმის

იმუნორეაქტიულობა, რაც დროული იმუნომაკორეგირებელი ჩარევის გარეშე ხელს უწყობს საპროფიტების გააქტიურებას და ჩირქოვანი კერების წარმოქმნას. ჩირქოვანი გართულების პროგნოზისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანტიხეულების ტიტრს, რომელიც სარწმუნოდ მომატებულია კლინიკური ნიშნების გამოვლენამდე. საგრძნობლად მატულობს გამწვანების პერიოდში და საწყის მანევრებლამდე მცირდება იმუნორეაბილიტაციის შემდეგ. ჩირქოვანი გართულება დაკავშირებულია იმუნური სისტემის სუპრესიასთან; ამ შემთხვევაში იმუნოკორექციის მიზანია იმუნური პასუხის გაძლიერება ინფექციური დაავადების გამომწვევის მიმართ.

ამრიგად, ტრავმულ დაავადებათა *Ps.aeruginosa*-თი გართულების დროს კომპლექსურ მკურნალობაში აუცილებელია იმუნომოდულატორების ჩართვა. იმუნოლოგიური მონაცემების ცვლილებები ტრავმული დაავადების საწყის ეტაპზე შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ჩირქოვანი გართულებების პროგნოზული ფაქტორები და ოსტეომიელიტის განვითარების რისკის მანევრებლები.

ჩვენი კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ტრავმული დაავადების ჩირქოვანი გართულების დიაგნოსტიკას დაავადების მანიფესტაციამდე.

ლიტერატურა

1. *Агаджанян В.В., Кожевников В.С.* Иммунология и хирургия в лечении гнойных артритов. Новосибирск, 1996.
2. *Кузин М.И., Костюченко Б.М.* Клинико-иммунологическая диагностика гнойной хирургической инфекции. М., 1985.
3. *Hansbrough J.F., Zapata-Sirvent R.L., Petron V.M.* Surg. Clin. N. Amer., 1987, 67, 69-92.
4. *Ronconi P., Sganga G., Pittiruti M.* Minerva Chir., 1984, 43, 26-31.

ПОКАЗАТЕЛИ КЛЕТОЧНОГО И ГУМОРАЛЬНОГО ИММУНИТЕТА ПРИ ОСЛОЖНЕНИИ ТРАВМАТИЧЕСКИХ БОЛЕЗНЕЙ *PS.AERUGINOSA* В ДИНАМИКЕ НА ФОНЕ ИММУНОРЕАБИЛИТАЦИИ

М. Циклаური

Национальный медицинский центр имени О.Н. Гудушаури, Тбилиси

РЕЗЮМЕ

На основе изучения иммунного статуса 30 травматических больных остеомиелитом и 30 контрольных лиц, установлен иммунный статус при осложнениях *Ps.aeruginosa*, в частности, титры антихрящевых антител, Т и В лимфоциты, показатели фагоцитоза, реакция бласттрансформации, индекс иммунорегуляции. Определена роль иммунных показателей в ранней диагностике гнойных осложнений и доказана необходимость применения иммуномодуляторов в комплексном лечении больных.

**INDICES OF CELLULAR AND HUMORAL IMMUNITY
IN *PS.AERUGINOSA*-COMPLICATED TRAUMATIC DISEASES
IN DYNAMICS DURING IMMUNOREHABILITATION**

M. Tsiklauri

O. Gudushauri National Medical Center, Tbilisi

SUMMARY

On the basis of learning the immune status in 30 traumatic patients with purulent complications and 30 control (healthy) persons value of immune indices is defined. A role of immune indices in early diagnostics of complications and the role of immunomodulating factors in complex treatment is proved.

МИКРОЭКОЛОГИЯ СЕПСИСА НОВОРОЖДЕННЫХ И ДЕТЕЙ РАННЕГО ВОЗРАСТА

Т.Г. Чантурия

Государственная медицинская академия Грузии, Тбилиси

Принята 10.01.2003

Микроэкологию сепсиса новорожденных и детей раннего возраста изучали с 1985-го по 1998 г. на базе Центра детского сепсиса. Преобладающим возбудителем детского сепсиса на сегодняшний день является стафилококк – 44%, участились случаи выделения грамотрицательной и полимикробной флоры.

Выделены следующие микроорганизмы: *E.coli* – 6,4%, *Enterobacter* – 6,2% (в основном за счет *E.aerogenes* 5,1%), *K.pneumoniae* 1,1%, *S.marcescens* 11,2% (с 1995 г. сбрация не выделялась). *Ps. aeruginosa* редко является основным возбудителем сепсиса новорожденных. *Acinetobacter* – 2,3%. Единичные культуры бактерий выделены у 3,5% больных: *Hafnia*, *Ps. cepacia*, *Citrobacter*, *Salmonella* spp., *Moraxella*, *Flavobacter*, а также недифференцированные микробы (грамотрицательные палочки).

Ключевые слова: микроэкология, сепсис новорожденных, энтеробактерии

Сепсис новорожденных и детей раннего возраста является одной из актуальных проблем современной педиатрии.

На сегодняшний день микроэкология сепсиса взрослого организма более или менее хорошо изучена. Этого нельзя сказать о педиатрическом сепсисе и, особенно, микроэкологии сепсиса новорожденных и детей раннего возраста.

За последние годы отмечаются определенные изменения как в этиологической структуре, так и во взаимодействии микро- и макроорганизма в сложных патогенетических механизмах сепсиса новорожденных и детей раннего возраста [4]. Необходим постоянный мониторинг состояния и этиологической структуры; как и прежде, в этиологии сепсиса большое значение имеет экология данного региона [2].

Преобладающим возбудителем детского сепсиса на сегодняшний день является стафилококк (39-45%) [1]. Считается, что стрептококк редко является возбудителем детского сепсиса. Стрептококки группы Б долгое время считались патогенными только для животных. Однако, за изученный период около 8000 новорожденных болели тяжелой Б-стрептококковой болезнью (БСБ). Стрептококки этой группы попадают в их организм во время родов из организма матери носительницы [3].

В настоящей работе приводятся результаты многолетнего исследования (1985-1998 гг.) микробиологии детского сепсиса г. Тбилиси.

Первичная индикация и идентификация штаммов бактерий проводилась в бактериологической лаборатории детской клинической больницы “Республика”, Центр детского сепсиса. Дальнейшее изучение основных биохимических свойств выделенных бактерий проводили на кафедре микробиологии и эпидемиологии Государственной медицинской академии г. Тбилиси.

С 1985 по 1998 гг. на стерильность исследовано 49560 анализов крови. Было изолировано 5827 штаммов бактерий. Из них грамположительных 3627; чаще выделялся *Staphylococcus epidermidis* (3396 шт.) и реже – *Staphylococcus aureus* (231 шт.), грамотрицательных – 2200 штаммов.

Как в каждом явлении, в микробиологии сепсиса характерны циклы подъема, падения и стабилизации, а также элементы саморегуляции. Динамика распространения одного этиологического агента может быть выражена рельефно, другого – замедленно, третьего – без изменений.

Анализ материала за период 1985-1998 гг. показал, что в этиологической структуре сепсиса новорожденных, удельный вес стафилококков снизился с 56% (1985 г.) до 44% (1998 г.).

В последние годы участился сепсис, вызванный грамотрицательной, полимикробной флорой. За 14 лет были выделены следующие грамотрицательные микробы: *Escherichia coli* – 6,4%, *Enterobacter* – 6,2% (в основном за счет *E. aerogenes* – 5,1%), *Klebsiella pneumoniae* – 1,1%, *Proteus spp.* – 1,4%, *S.marcescens* – 11,2% (с 1995 по 1998 г. эта культура не выделялась), *Ps.aeruginosa* – 1,4% (В нашей практике, в отличие от западных стран, *Ps. aeruginosa* редко является основным возбудителем сепсиса новорожденных), *Acinetobacter* – 2,3%. Кроме того у 3,5% больных сепсисом были выделены единичные культуры *Hafnia*, *Ps.ceracia*, *Citrobacter*, *Salmonella spp.*, *Moraxella*, *Flavobacter*, а также недифференцированные микробы (грамотрицательные палочки).

Большинство упомянутых бактерий являются нормальной микрофлорой кожи и слизистых оболочек человека, то есть составной частью его биоценоза.

Заслуживает внимания значительный рост случаев полимикробного сепсиса, когда отмечаются различные ассоциации вышеперечисленных микробов или их смена в процессе заболевания. Основные ассоциации представлены следующим образом: стафилококк + кишечная палочка, стафилококк + синегнойная палочка, протей + кишечная палочка, клебсиелла + кишечная палочка.

В.И. Покровский с соавт. (1979 г.) считал, что речь идет не о простой “механической смеси” двух или более возбудителей, а о динамически изменяющейся ассоциации, сочлены которой конкурируют за источники питания и наиболее благоприятные условия для собственной популяции.

В настоящее время среди грамотрицательных микроорганизмов доминирующей флорой являются *E.coli*, *E.aerogenes*, *S.marcescens*.

Особенно нужно отметить бактериемии, когда из крови были выделены *S.typhi*, *S.typhimurium* и *S.enteritidis*. Такие больные в стационар попадали в стадии бактериемии определенной инфекции.

Исходя из вышеуказанных данных, с 1985 по 1998 г. в этиологической структуре сепсиса резких изменений не отмечалось.

ЛИТЕРАТУРА

1. Белокуров Ю.И., Граменицкий А.Б., Молодкин В.М. Сепсис М., "Медицина", 1983.
2. Воробьев А.С., Назарова Л.В., Петрова И.В. и др. В кн.: Всесоюзная конференция по сепсису, II том, Тбилиси, 1990.
3. Стрептококки группы Б. <http://www.medi.ru>.
4. Шабалов Н.П. Педиатрия, 1986, 9, 12-14.

ახალშობილთა და ჩვილ ბავშვთა სეფსისის მიკროეკოლოგია

თ. ქანტურია

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

რეზიუმე

ახალშობილთა და ადრეული ასაკის ბავშვთა სეფსისის მიკროეკოლოგიას ვსწავლობდით 1985-1998 წლებში, "ბავშვთა სეფსისის" ბაზაზე. დღევანდელ დღეს ბავშვთა სეფსისის სხვადასხვა კლინიკური ფორმების გამომწვევთა უმრავლესობას წარმოადგენენ სტაფილოკოკები (44%). განვირდა გრამუარყოფითი და პოლიმიკრობული ფლორის გამოყოფა.

ჩვენს მიერ გამოყოფილია შემდეგი მიკროორგანიზმები: *E.coli* 6,4%; *Enterobacter* 6,2%; (*E.aerogenes*-ის ხარჯზე 5,1%), *K.pneumoniae* 1,1%; *S.marcescens* 11,2% (1995-1998 წწ. არ გამოყოფილა). *Ps.aeruginosa* იშვიათად გვევლინება ახალშობილთა სეფსისის გამომწვევად. გამოიყო, აგრეთვე, *Acinetobacter* – 2,3%. ავადმყოფთა 3,5%-ს გამოეყო *Hafnia*-ს, *P.cepacia*-ს, *Citrobacter*-ის, *Salmonella* spp., *Moraxella*-ს, *Flavobacter*-ის ერთეული კულტურები, აგრეთვე არადიფერენცირებადი მიკრობები (გრამუარყოფითი ჩხირები).

MICROECOLOGY OF SEPSIS IN NEWBORN AND CHILDREN OF EARLY AGE

T. Chanturia

Georgian State Medical Academy, Tbilisi

SUMMARY

Microecology of sepsis in newborn and children of early age was studied 1985-1998, on the basis of the Center of Children's Sepsis. The prevailing activator of children's sepsis for today is *Staphylococcus* – 44 %, increased incidence of the gramnegative- and polymicrobial flora has been detected as well.

The following microorganisms were isolated: *E.coli* – 6.4 %, *Enterobacter* – 6.2 % (mostly on expense of *E.aerogenes* – 5.1 %), *K.pneumoniae* – 1.1 %, *S.marcescens* – 11.2 % (not found in 1995-1998). *Ps.aeruginosa* seldom is the basic infectious agent of sepsis in newborn. *Acinetobacter* – 2.3 %. Individual cultures of the bacteria are allocated in 3.5 % of patients: *Hafnia*, *Ps.cepacia*, *Citrobacter*, *Salmonella* spp, *Moraxella*, *Flavobacter* and also unidentified microbes (gramnegative rods).

ახალშობილთა სეფსისის გამომწვევი გრამუარყოფითი ბაქტერიების აღჭვავიური და ჰემოლიზური თვისებები

თ. ქანტურია, ვ. ყურაშვილი

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 10.01.2003

შესწავლილია ახალშობილთა სეფსისის გამომწვევი გრამუარყოფითი ბაქტერიების 190 შტამის აღჭვავიური და ჰემოლიზური თვისებები. ჰემაგლუტინაციის დადებითი რეაქცია მივიღეთ 52 შემთხვევაში, D-მანოზარეზისტენტული აღმოჩნდა 29 კულტურა. აღჭვავიის თვისებები გამოუვლინდა, ძირითადად, სერაციის, პროტეუსის და ნაწლავის ჩხირის შტამებს. სისხლიდან გამოყოფილ ბაქტერიებს აღჭვავიის თვისება ბევრად ნაკლებად ჰქონდა გამოხატული ანთებადი კერებიდან გამოყოფილ კულტურებთან შედარებით. აღჭვავიურობის თვისება ემთხვევა ერთორციტების ჰემოლიზის უნარს.

საკვანძო სიტყვები: გრამუარყოფითი ბაქტერიები, აღჭვავია, ჰემოლიზი

ახალშობილთა ჩირქოვან-ანთებადი დაავადებებისა და სეფსისის ეტიოლოგიაში გრამუარყოფითი ბაქტერიების სულ უფრო მზარდი ხვედრითი წილის გამო პირობითპათოგენური მიკროორგანიზმების ბიოლოგიური თვისებების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. დღეისათვის მიკრობის პათოგენობა განიხილება ფუნქციური პოზიციებიდან. მიხნეულია, რომ როგორც პირობით-პათოგენური, ისე ობლივატურად პათოგენური ბაქტერიებისათვის დამახასიათებელია ერთნაირი ფუნქციები, მაგრამ პათოგენური მიკრობების ფუნქციები (მათ შორის აღჭვავიურობაც) უფრო მეტადაა გამოხატული. ამასთან მნიშვნელოვანია მიკრობთა ორგანიზმში მოხვედრის ბუნებრიობა, კოლონიზაციის მასიურობა და გამრავლების პირობები, აგრეთვე ორგანიზმის იმუნორეაქტიულობა.

აღჭვავიურობა მიკრობის მიერ მისდამი მგრძობიარე უჯრედებზე, ქსოვილზე მიწებების უნარია, რაც განაპირობებს ინფექციური პროცესის დაწყებით ეტაპს და მიკროორგანიზმის ვირულენტობის ერთ-ერთი ფაქტორია. აღჭვავიის პროცესი განპირობებულია მიკრობული გარსის ზერედე მიკრომოლეკულური სტრუქტურების, ფიმბრიების ზედაპირზე განლაგებული აღჭვავიების და ეუკარიოტული უჯრედების რეცეპტორების ურ-

თიერთქმედებით. სწორედ ადჰეზიების მონაწილეობით ხდება დაავადების გამომწვევის მიერ კომპლემენტარული ქსოვილის გამოცნობა და მასზე მიმაგრება, ანუ მიკრობთა კოლონიზაციის პროცესი.

დადგენილია, რომ მიკრობთა ფიმბრიული შტამები იწვევენ ერთროციტების აგლუტინაციას. ამასთან, ფიმბრიების ტიპის მიხედვით, ჰემაგლუტინაციის რეაქცია D-მანოზას დამატებით შეიძლება დაითრგუნოს ან დარჩეს რეზისტენტული. ადჰეზია, რომელიც D-მანოზათი არ ითრგუნება, მიუთითებს კოლონიზაციის ზედაპირული ანტიგენების არსებობაზე და მიკრობთა პათოგენობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შევისწავლეთ სეფსისით დაავადებულ ახალშობილთა სისხლიდან, პირველადი სეფსისური და პიემიური კერებიდან, შარდიდან გამოყოფილი პირობით-პათოგენური გრამუარყოფითი ბაქტერიების 190 შტამის ადჰეზიური და ჰემოლიზური თვისებები (ცხრილი 1).

მასალა და მეთოდები

ადჰეზიურობის დასადგენად კულტურებს ვთესავდით 1,5%-იან აგარზე 37°C ტემპერატურაზე, 18-24 სთ-იანი ინკუბაციის შემდეგ გადაგვკონდა, ჩვენს მიერ მოდიფიცირებული, შემდეგი შემადგენლობის ნიადაგებზე:

ნიადაგი №1 - 0,2%-იანი კაზეინის ფერმენტაციული ნიადაგი, 1%-იანი ნიადაგი 199 (რომლითაც შევცვალეთ დეფიცირებული ამინოჰეპტიდი), 0,05%-იანი გოგირდმჟავა მაგნიუმი, 0,003%-იანი მარილმჟავა მაგნიუმი, 1,5%-იანი აგარ-აგარი, გამოხდილი წყალი 1 ლ-მდე (pH 7,2-7,4).

ნიადაგი №2 - ვამზადებდით იგივე შემადგენლობით, მხოლოდ ნიადაგი 199-ის ნაცვლად გამოვიყენეთ 1%-იანი გლუტამინმჟავა.

ნიადაგი №3 - ვამზადებდით ზოგადად მიღებული შემადგენლობით.

მიღებული შედეგები და მათი განხილვა

ზემოაღნიშნულ ნიადაგებზე გაზრდილ კულტურებთან ვდამდით აგლუტინაციის რეაქციას II ჯგუფის ერთროციტების 3%-იანი ემულსიით. კერძოდ, სასაგნე მინაზე კულტურა შეგვკონდა ერთროციტების წვეთში, რის შემდეგაც სასაგნე მინას ვათავსებდით ყინულზე. დადებითი რეაქციის შემთხვევაში ჰემაგლუტინაციის რეაქციას ვიმეორებდით უკვე 1%-იანი D-მანოზას გამოყენებით. D-მანოზას წვეთის დამატების შემდეგ დადებითი ჰემაგლუტინაციის, ანუ D-მანოზარეზისტენტული რეაქცია ითვლებოდა კოლონიზაციის ფაქტორის არსებობის დამადასტურებლად. 190 შტამიდან ჰემაგლუტინაციის დადებითი რეაქცია მივიღეთ 52 შემთხვევაში, ამათგან D-მანოზარეზისტენტული აღმოჩნდა 29 კულტურა და ადჰეზიის თვისებები გამოუვლინდათ ძირითადად სერაციის, პროტეუსის და ნაწლავის ჩხირის შტამებს. ამასთან, სისხლიდან გამოყოფილ ბაქტერიებს ადჰეზიის თვისება ბევრად ნაკლებად ჰქონდა გამოხატული ანთებადი კერებიდან გამოყოფილ კულტურებთან შედარებით.

გრამუარყოფითი ბაქტერიების ადჰეზიური და ჰემოლიზური თვისებები (აბს/%)

ბაქტერია	რაოდენობა	ჰემაგლუტინაცია						ჰემოლიზი 5%-იანი სისხლიდან აგარზე
		D-მანოზამგრძობიარე			D-მანოზარეზისტენტული			
		ნიადაგი №1	ნიადაგი №2	ნიადაგი №3	ნიადაგი №1	ნიადაგი №2	ნიადაგი №3	
Enterobacter aerogenes	33	-	1/3,3	1/3,3	-	-	-	-
Enterobacter cloacae	26	3/11,5	3/11,5	-	-	1/3,8	-	3/11,5
Klebsiella pneumoniae	37	2/5,4	2/5,4	1/2,7	-	-	-	2/5,4
Serratia marcescens	18	5/27	12/67	9/50	4/23	4/23	4/23	11/61
Proteus spp.	14	6/43	1/7	9/64,2	4/28,5	9/64,2	8/57,1	12/85,7
Escherichia coli	48	17/35	22/45,8	22/45,8	13/27	14/29	13/27	15/31,2
Pseudomonas aeruginosa	14	1/7,1	3/21,4	2/14,2	1/7,1	1/7,1	1/7,1	11/78,5

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ მოდიფიცირებული შედგენილობის ნიადაგები, მიღებული შედეგების მიხედვით, არა თუ ჩამოუვარდება, არამედ ზოგ შემთხვევაში (ნიადაგი №2) აღემატება რეკომენდებულ ნიადაგებს (ცხრილი 1). გარკვეული კორელაციური კავშირია გრამუარყოფითი ბაქტერიების ადჰეზიურ და 5%-იანი სისხლიანი აგარის ჰემოლიზის თვისებებს შორის. ადჰეზიურობის თვისება პრაქტიკულად ემთხვეოდა ერთთროციტების ჰემოლიზის უნარს, მაგრამ ერთთროციტების ჰემოლიზის შემთხვევაში ადჰეზიურობა ყოველთვის არ აღინიშნებოდა.

ლიტერატურა

1. Выявление гемолитических, адгезивных и энтеротоксигенных энтеробактерий (методические рекомендации). Москва, 1987г., с. 6-12.

ადგეზიური და ჰემოლიტიკური თვისებები გრამუარყოფითი ბაქტერიების, გამოყოფილი სეპსისის ახალშობილებისგან

Т.Г. Чантурия, В.Е. Курашвили

Государственная медицинская академия Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Изучены адгезивные и гемолитические свойства 190 штаммов грамотрицательных бактерий, выделенных при сепсисе новорожденных. Положительную реакцию гемагглютинации получили у 52 штаммов, D-манозорезистентными оказались 29 штаммов.

Адгезивные свойства выявлены у сerratии, протей и кишечной палочки. У бактерий, выделенных из крови, адгезивные свойства были менее выражены, чем у выделенных из воспалительных очагов. Адгезивная способность совпадала с гемолизом эритроцитов.

ADHESIVE AND HEMOLYTIC PROPERTIES OF GRAMNEGATIVE BACTERIA CAUSING SEPSIS IN NEWBORNS

T. Chanturia, V. Kurashvili

Georgian State Medical Academy, Tbilisi

SUMMARY

Adhesion and hemolytic properties of 190 strains of gramnegative bacteria causing sepsis in newborns have been studied. Positive reaction of hemagglutination was noted in 52 cases, out of which 29 cultures appeared to be D-mannose-resistant. Adhesive properties were revealed mainly in *Serratia*, *Proteus* and *Escherichia coli*. Enterobacteria isolated from blood showed less adhesion than those from the inflammatory foci. In most cases adhesive property of enterobacteria coincided with hemolysis capacity of erythrocytes.

Na⁺,K⁺-ATP-აზურ სისტემაზე Na⁺ და K⁺ იონების მოქმედების მოლეკულური მექანიზმები

გ. ჭკადუა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 4.12.2002

Na⁺,K⁺-ATP-აზურ სისტემაზე Na⁺ და K⁺-ის დაბალი აქტივაციური კონცენტრაციის ზეგავლენის შესწავლამ აჩვენა, რომ SPO (Mg^{2+} -ATP \gg Mg^{2+} = ATP) რეჟიმში Na⁺ და K⁺ იონები ფერმენტულ სისტემას უკავშირდებიან რანდომული მექანიზმით, ხოლო OPA (ATP_r \gg Mg^{2+}) და OPM (Mg^{2+} \gg ATP) რეჟიმებში მათი დაკავშირება და ტრანსპორტი ხორციელდება მიმდევრობით.

საკვანძო სიტყვები: Na⁺,K⁺-ATP-აზა, Na⁺ იონები, K⁺ იონები, Mg^{2+} იონები, მემბრანა

ცნობილია, რომ Na⁺,K⁺-ATP-აზურ სისტემას შეუძლია იმუშაოს სხვადასხვა რეჟიმებში – SPO ($[Mg^{2+}$ -ATP] \gg $[Mg^{2+}]$ = [ATP]), OPM ($[Mg^{2+}]$ \gg [ATP]) და OPA ($[Mg^{2+}]$ \ll [ATP]), რომელთათვისაც დამახასიათებელია Mg^{2+} -ATP (OPS), Mg^{2+} (OPM) და ATP_r (OPA) დაკავშირებული ფოსფორილირებული ინტერმედიატების დეფოსფორილირება. აღნიშნულ რეჟიმებში Na⁺,K⁺-ATP-აზური სისტემის მუშაობის შესწავლის შედეგად შექმნილი იქნა ფერმენტული სისტემის მუშაობის ამსახველი ანალიტიკური ფორმულა [2, 4, 5] და კინეტიკური სქემა. აღსანიშნავია, რომ ანალიტიკურ ფორმულაშიც და კინეტიკურ სქემაშიც დასკვნები აქტივაციური Na⁺ და K⁺-ის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ გამოტანილ იქნა ირიბი კინეტიკური გამოკვლევების საფუძველზე. ამრიგად, მიღებული დასკვნების ჭეშმარიტების შესაფასებლად და სხვადასხვა რეჟიმებში Na⁺ და K⁺-ის ტრანსპორტის მექანიზმის დასადგენად საჭიროა Na⁺,K⁺-ATP-აზური სისტემის აქტივაციური Na⁺ და K⁺-ით რეგულაციის მექანიზმის შესწავლა. ამ პრობლემას ეძღვნება მოცემული სამუშაო.

მასალა და მეთოდები

პრეპარატად გამოყენებული იყო თეთრი ვირთაგვას თავის ტვინის სინაფტოსომური პლაზმური მემბრანის სუბუჯრედული ფრაქცია, რო-


მელიც მიიღებოდა (1,2-0,8 M) საქაროსას ფენებს შორის. Na^+/K^+ -ATP-აზური აქტიობა იზომებოდა, როგორც ჯამური ATP-აზის ოუბაინმგრძობიარე ნაწილი. საინკუბაციო ხსნარის შემადგენლობა Mg^{2+} -ATP-აზისათვის იყო 1 mM ოუბაინი, 140 mM KCl, 50 mM Tris საინკუბაციო ხსნარი ჯამური ATP-აზისათვის იყო 50 mM Tris/HCl ბუფერი pH=7,7 და აღებული გეკონდა Na^+ -ის, K^+ -ის, Mg^{2+} -ATP-ის, Mg^{2+} -ის, თავისუფალი ATP-ის (ATP_f) სხვადასხვა კონცენტრაციები. Mg^{2+} , ATP_f და Mg^{2+} -ATP-ის კონცენტრაციების განსაზღვრა ხორციელდებოდა დისოციაციის კონსტანტას $K_d = 0,085$ მეშვეობით. მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები ექვემდებარებოდა მკაცრ სტატისტიკურ დამუშავებას.

შედეგები და მათი განხილვა


Na^+/K^+ -ATP-აზურ სისტემაზე აქტივაციური Na^+ და K^+ მოქმედების მექანიზმის შესასწავლად სარეაქციო არე შერჩეული იყო იმდგვარად, რომ უზრუნველყოფდა ფერმენტული სისტემის მუშაობას SPO, OPM და OPA რეჟიმებში [3]. SPO რეჟიმში ზემოაღნიშნული იონების მოქმედების მექანიზმის შესასწავლად აღებული გეკონდა Na^+ -ის დაბალი, ვარიაბელური კონცენტრაცია $4 \text{ mM} < [\text{Na}^+] < 10 \text{ mM}$ და K^+ -ის ოთხი სხვადასხვა კონცენტრაცია: $[\text{K}^+] = 0,5 \text{ mM}$ (სურ. 1.1), $[\text{K}^+] = 1,0 \text{ mM}$ (სურ. 1.2), $[\text{K}^+] = 1,5 \text{ mM}$ (სურ. 1.3), $[\text{K}^+] = 2,0 \text{ mM}$ (სურ. 1.4) $[\text{Mg}^{2+}\text{-ATP}] = 2,08 \text{ mM}$, $[\text{ATP}_f] = [\text{Mg}^{2+}] = 0,42 \text{ mM}$. როგორც სურ. 1-დან ჩანს, ხარისხობრივი გარდაქმნის შედეგად მიღებული $\sqrt{U} = f(t)$ ფუნქციის (სადაც $U = 1/V$, V - ფერმენტული სიჩქარე, $t = 1/x$, x - Na^+ -ის კონცენტრაცია) ღინვარიზაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც $r = 3$. ამრიგად, Na^+ -ის, როგორც აუცილებელი აქტივატორების, რიცხვი უტოლდება 3-ს, ისევე, როგორც ადრეული გამოკვლევების შემთხვევაში [2]. აღსანიშნავია, რომ სურ. 1-ზე წარმოდგენილი ოთხივე ფუნქციის შემთხვევაში მათი აბსცისთა ღერძზე გადაკვეთის წერტილების მნიშვნელობები სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. აღნიშნული სიდიდეები ნაჩვენებია ცხრილ 1-ში. მათი აწონვითი გასაშუალოების შედეგად მიღებული მნიშვნელობაა $t_0 = -0,446 \pm 0,002$.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სურ. 1-ზე წარმოდგენილი მრუდები აბსცისთა ღერძზე იკვეთებიან ერთ წერტილში. OPM რეჟიმში აქტივაციური Na^+ და K^+ -ის მოქმედების შესასწავლად ავიღეთ K^+ -ის სხვადასხვა კონცენტრაცია: $[\text{K}^+] = 0,5 \text{ mM}$ (სურ. 2.1), $[\text{K}^+] = 0,75 \text{ mM}$ (სურ. 2.2), $[\text{K}^+] = 1,0 \text{ mM}$ (სურ. 2.3). Na^+ -ის კონცენტრაცია იცვლებოდა ფარგალში $3 \text{ mM} < [\text{Na}^+] < 10 \text{ mM}$, $[\text{Mg}^{2+}\text{-ATP}] = 1,48 \text{ mM}$, $[\text{ATP}_f] = 0,02$, $[\text{Mg}^{2+}] = 6,02 \text{ mM}$. სურ. 2-დან ჩანს, რომ ხარისხობრივი გარდაქმნის შედეგად მიღებული $\sqrt{U} = f(t)$ ფუნქციის ღინვარიზაციას ადგილი აქვს, როდესაც $r = 3$. ამრიგად, Na^+ -ის, როგორც აუცილებელი აქტივატორების, რიცხვი უტოლდება


3-ს, ისევე, როგორც ადრეულ გამოკვლევებში [4]. აღსანიშნავია, რომ სურ. 2-ზე გამოსახული ფუნქციები წარმოადგენენ პარალელურ წრფეებს. მთი დახრის კუთხის და გადაკეუთა (რეგრესიის a და b კოეფიციენტები) სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდება ერთმანეთისაგან (ცხრილი 1). OPA რეჟიმშიც აღებული გეგონდა Na^+ -ის ვარიაბელური კონცენტრაცია $3 \text{ mM} < [\text{Na}^+] < 10 \text{ mM}$, $[\text{Mg}^{2+}\text{-ATP}] = 1,4 \text{ mM}$, $[\text{ATP}]_i = 1,199 \text{ mM}$, $[\text{Mg}^{2+}] = 0,099 \text{ mM}$. აღნიშნულ პირობებში K^+ -ის სამ სხვადასხვა კონცენტრაციისას $[\text{K}^+] = 0,5 \text{ mM}$ (სურ. 3.1), $[\text{K}^+] = 1,0 \text{ mM}$ (სურ. 3.2), $[\text{K}^+] = 1,5 \text{ mM}$ (სურ. 3.3) ხარისხობრივი გარდაქმნის შედეგად მიღებული $\sqrt[3]{U} = f(t)$ ფუნქცია წარმოდგენილია სურ. 3-ზე. აღსანიშნავია, რომ სამივე მრუდი წარმოადგენს პარალელურ წრფეებს (a და b კოეფიციენტები სტატისტიკურად სარწმუნოდ უტოლდება ერთმანეთს, ცხრილი 1).



სურ. 1. Na^+, K^+ -ATP-აზური აქტივობის (V) დამოკიდებულება Na^+ -ის კონცენტრაციაზე (x, mM), $U(3,t) = f(1/x)$ კოორდინატებში, სადაც $U(3,t) = \sqrt[3]{1/V}$ და $t = 1/x$. სარეაქციო არე: $[\text{Mg}^{2+}\text{-ATP}] = 2,08 \text{ mM}$, $[\text{ATP}]_i = [\text{Mg}^{2+}] = 0,42 \text{ mM}$, $\text{Tris/HCl} = 50 \text{ mM}$ (pH = 7,7); ხაზი 1 – 0,5 mM KCl; ხაზი 2 – 1 mM KCl; ხაზი 3 – 1,5 mM KCl; ხაზი 4 – 2 mM KCl.



სურ. 2. Na^+, K^+ -ATP-აზური აქტივობის (V) დამოკიდებულება Na^+ -ის კონცენტრაციაზე (x, mM), $U(3,t) = f(1/x)$ კოორდინატებში, სადაც $U(3,t) = \sqrt[3]{1/V}$ და $t = 1/x$. სარეაქციო არე: $[\text{Mg}^{2+}\text{-ATP}] = 1,48 \text{ mM}$, $[\text{ATP}]_i = 0,02 \text{ mM}$, $[\text{Mg}^{2+}] = 6,02 \text{ mM}$, $\text{Tris/HCl} = 50 \text{ mM}$ (pH = 7,7). ხაზი 1 – 0,5 mM KCl; ხაზი 2 – 0,75 mM KCl; ხაზი 3 – 1 mM KCl.



სურ. 3. Na^+, K^+ -ATP-აზური აქტიუობის (V) დამოკიდებულება Na^+ -ის კონცენტრაციაზე (x, mM), $U(3,t) = f(1/x)$ კოორდინატებში, სადაც $U(3,t) = \sqrt[3]{1/V}$ და $t = 1/x$. სარეაქციო არე: $[\text{Mg}^{2+}\text{-ATP}] = 1,401 \text{ mM}$, $[\text{ATP}] = 1,199 \text{ mM}$, $[\text{Mg}^{2+}] = 0,099 \text{ mM}$, $\text{Tris/HCl} = 50 \text{ mM}$, $(\text{pH} = 7,7)$. ხაზი 1–0,5 mM KCl; ხაზი 2–1,0 mM KCl; ხაზი 3–1,5 mM KCl.

ცხრილი 1

სურ. 1, 2 და 3 გამოსახული ფუნქციების პარამეტრები

სურ.; ხაზი	$U(3,t) = a + bt$ რეგრესიის კოეფიციენტები		$t_0 = -a/b$
	a	b	
სურ. 1; ხაზი 1	$0,321 \pm 0,002$	$0,715 \pm 0,011$	$-0,449 \pm 0,007$
სურ. 1; ხაზი 2	$0,253 \pm 0,001$	$0,573 \pm 0,006$	$-0,441 \pm 0,005$
სურ. 1; ხაზი 3	$0,204 \pm 0,001$	$0,460 \pm 0,008$	$-0,443 \pm 0,007$
სურ. 1; ხაზი 4	$0,191 \pm 0,001$	$0,426 \pm 0,003$	$-0,449 \pm 0,004$
$(P > 0,1)$; აწონილი საშუალო, \bar{t}_0			$-0,446 \pm 0,002$
სურ. 2; ხაზი 1	$0,301 \pm 0,010$	$0,633 \pm 0,002$	აწონილი საშუალო, $\bar{b} = 0,633 \pm 0,001$ $\bar{a} = 0,294 \pm 0,002$ ($P > 0,1$)
სურ. 2; ხაზი 2	$0,293 \pm 0,005$	$0,636 \pm 0,021$	
სურ. 2; ხაზი 3	$0,299 \pm 0,007$	$0,627 \pm 0,029$	
სურ. 3; ხაზი 1	$0,252 \pm 0,004$	$0,481 \pm 0,025$	აწონილი საშუალო, $\bar{b} = 0,477 \pm 0,002$ $\bar{a} = 0,245 \pm 0,003$ ($P > 0,1$)
სურ. 3; ხაზი 2	$0,249 \pm 0,006$	$0,486 \pm 0,043$	
სურ. 3; ხაზი 3	$0,243 \pm 0,002$	$0,475 \pm 0,012$	

ზემოთ წარმოდგენილი ექსპერიმენტული მასალის ასახსნელად და აქტივიციური Na^+ და K^+ ურთიერთდამოკიდებულების გასაშიფრად საჭიროა

SPO, OPM და OPA რეჟიმებში Na^+, K^+ -ATP-აზური სისტემის მუშაობის თეორიული ანალიზი. დავეუშვათ, რომ OPM რეჟიმში აქტივაციური Na^+ და K^+ უკავშირდება ფერმენტულ სისტემებს მიმდევრობით და მათი ტრანსპორტი ხორციელდება თანმიმდევრული მექანიზმით. მაშინ, თუ Na^+, K^+ -ATP-აზის მუშაობისას OPM რეჟიმში გამოვყოფთ ფოსფორილირების და დეფოსფორილირების ეტაპებს და სინქარის განტოლების გამოყენების გაადვილების მიზნით გამოვიყენებთ ჩას მეთოდს [1] აღნიშნულ რეჟიმში სინქარის განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$V = \frac{k_A f_A \cdot k_P f_P}{k_A f_A + k_P f_P} \quad (1)$$

სადაც k_A და k_P შესაბამისად ფოსფორილირების და დეფოსფორილირების ეტაპების სინქარის კონსტანტებია, ხოლო f_A და f_P კონცენტრაციულ ფუნქციებს წარმოადგენს:

$$f_A = \frac{\left(\frac{x}{K_{AX}}\right)^3}{\left(1 + \frac{y}{K_{AY}}\right)^2 + \frac{3x}{K_{AX}} + \frac{3x^2}{K_{AX}^2} + \frac{x^3}{K_{AX}^3}}; \quad f_P = \frac{\left(\frac{y}{K_{AY}}\right)^2}{\left(1 + \frac{x}{K_{AX}}\right)^3 + \frac{2y}{K_{AY}} + \frac{y^2}{K_{AY}^2}} \quad (2)$$

სადაც x - Na^+ -ის კონცენტრაციაა, y - K^+ -ის კონცენტრაცია, ხოლო K_{AY} , K_{AX} , K_{IX} , K_{AY} - დისოციაციის კონსტანტებია. ვინაიდან $[y] \ll K_{AY}$ ($[y] / K_{AY} = 0$) და $[x] \ll K_{IX}$ ($[x] / K_{IX} = 0$) ამიტომ გამოსახულება (2) გარდაიქმნება შემდეგნაირად:

$$f_A = \left(\frac{x}{K_{AX}}\right)^3 \left/ \left(1 + \frac{x}{K_{AX}}\right)^3 \right.; \quad f_P = \left(\frac{y}{K_{AY}}\right)^2 \left/ \left(1 + \frac{y}{K_{AY}}\right)^2 \right. \quad (3)$$

უხმთ წარმოდგენილი ფორმულა 1, 2, 3 საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ $\sqrt{U} = f(t)$ ფუნქციაში ასიმპტოტის a და b (რეგრესიის) კოეფიციენტები არაა დამოკიდებული K^+ -ის კონცენტრაციაზე. ასეთი დამოკიდებულება მიუთითებს, რომ Na^+/K^+ ტრანსპორტი მიმდევრობითია. თეორიულად ანალოგიური სურათი გვექნება OPA რეჟიმის შემთხვევაშიც. ექსპერიმენტებამაც აჩვენა, რომ OPM და OPA რეჟიმებში (სურ. 2, სურ. 3) მრუდების დახრა და ორდინატის გადაკვეთის წერტილი სტატისტიკურად სარწმუნოდ არ იცვლება K^+ -ის კონცენტრაციის გაზრდისას. ექსპერიმენტული და თეორიული მონაცემების თანხვედრა კი აუცილებელი და საკმარისი პირობაა, რომ ითქვას - Na^+ და K^+ იონების ტრანსპორტი OPM და OPA რეჟიმებში ხორციელდება თანმიმდევრული მექანიზმით.

SPO რეჟიმის თეორიული ანალიზისას, თუ დავეუშვებთ, რომ Na^+ და K^+ იონების ტრანსპორტი ხორციელდება ერთდროულად და მათი დაკავშირება არაა ურთიერთდაკავშირებული, მაშინ მივიღებთ:

$$V = \frac{k_A k_P \left(\frac{x}{K_{AX}} \right)^3 \left(\frac{y}{K_{AY}} \right)^2}{\left(1 + \frac{x}{K_{AX}} \right)^3 \left(1 + \frac{y}{K_{AY}} \right)^2} \quad (4)$$

აღნიშნული განტოლების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ $\sqrt{U} = f(t)$ ფუნქციის ორდინატთა ღერძზე გადაკვეთა მცირდება y -ის კონცენტრაციის ზრდისას, ხოლო აბსცისაზე გადაკვეთა არაა დამოკიდებული y -ის კონცენტრაციაზე. მართლაც, ექსპერიმენტული მონაცემების განხილვიდან ჩანს, რომ SPO რეჟიმში, K^+ -ის კონცენტრაციის ცვლილების მიუხედავად, მრუდები აბსცისაზე იკვეთებიან ერთ წერტილში, დახრა და ორდინატზე მოჭრილი მონაკვეთი მცირდება K^+ -ის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად (სურ. 1). აღსანიშნავია, რომ ანალოგიური დამოკიდებულება არსებობს $\sqrt{U} = f(1/y)$ ფუნქციისათვის ფიქსირებული $[Na^+]$ დროს (ექსპერიმენტალური მონაცემები სტატიაში მოყვანილი არაა). ამრიგად, SPO რეჟიმში თეორიული და ექსპერიმენტული მონაცემების თანხვედრის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ რეჟიმში Na^+ და K^+ იონების ტრანსპორტი ხორციელდება რანდომულად.

ამრიგად, ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე გაიშიფრა Na^+K^+ -ATP-აზური სისტემის Na^+ და K^+ აქტივაციის მექანიზმი OPM, OPA და SPO რეჟიმებში. ნათელი გახდა, რომ OPA და SPO რეჟიმებში Na^+ და K^+ იონების ტრანსპორტი ხორციელდება მიმდევრობით, ხოლო SPO რეჟიმში – ტრანსპორტი ერთდროულია.

ლიტერატურა

1. Cha S. Biol. Chem., 1968, 243, 820-825.
2. ჭკადუა ვ., ნოზაძე ე., ქიშეთიანი ზ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიოლ. სერია A, 2003, 29, 193-202.
3. Дзеконская М.Л., Кометиани П.З., Кометиани З.П. Сообщения АН Грузии, 1994, 206, 1-6.
4. Kometiiani Z., Leladze M. J. Biol. Phys. Chem., 2001, 1, 12-18.
5. ნოზაძე ე., ჭკადუა ვ., ქიშეთიანი ზ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიოლ. სერია A, 2003, 29, 121-128.

МОЛЕКУЛЯРНЫЕ МЕХАНИЗМЫ ВЛИЯНИЯ ИОНОВ Na^+ И K^+ НА Na^+, K^+ -АТФ-АЗНУЮ СИСТЕМУ

Г. Чкадуа

Институт физиологии им. И. С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Исследованиями влияния Na^+ и K^+ низкой активационной концентрации на Na, K -АТФ-азную систему показано, что в режиме SPO ($\text{Mg}^{2+}\text{-ATP} \gg \text{Mg}^{2+} = \text{ATP}_i$) ионы Na^+ и K^+ связываются с ферментной системой случайно, а в режиме OPA ($\text{ATP}_i \gg \text{Mg}^{2+}$) и OPM ($\text{Mg}^{2+} \gg \text{ATP}_i$) их связывание и транспорт осуществляются последовательно.

MOLECULAR MECHANISMS OF Na^+ AND K^+ IONS ACTION ON Na^+, K^+ -ATP-ASE SYSTEM

G. Chkadua

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

Investigation of influence of low activation concentration of Na^+ and K^+ on Na, K -ATP-ase system has shown that in SPO regime ($\text{Mg}^{2+}\text{-ATP} \gg \text{Mg}^{2+} = \text{ATP}_i$) Na^+ and K^+ ions bind to enzyme system by a random mechanism, while in OPA ($\text{ATP}_i \gg \text{Mg}^{2+}$) and OPM ($\text{Mg}^{2+} \gg \text{ATP}_i$) their binding and transport occur in succession.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2003, ტ. 29, № 3-4.

Известия АН Грузии, сер. биол. А, 2003, т. 29, № 3-4.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2003, vol. 29, No 3-4.

რთული გეომეტრიული ფორმის მქონე მრუდების ანალიზის პრინციპები

გ. ჭკადუა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 30.12.2002

წარმოდგენილია მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემების კინეტიკური ანალიზის პრინციპები და განხილულია ის მეთოდები, რომლებიც აუცილებელია აქტივატორების (m) და სრული ინჰიბიტორების (n) რიცხვის განსაზღვრისათვის არის საჭირო. მინიმალური მოდელის პრინციპიდან გამომდინარე, ისაზღვრება იმ უბნების მინიმალური რიცხვი (P_{min}), რომელიც საჭიროა ფერმენტის მოქმედების პრინციპული სქემის შესაქმნელად. შემოღებულია ახალი კინეტიკური პარამეტრები, რომლებიც მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემის დახასიათების საშუალებას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: აუცილებელი აქტივატორი, სრული ინჰიბიტორი, ნაწილობრივი ეფექტის მოდიფიკატორი, მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემა

ცნობილია, რომ მრავალი ფერმენტული სისტემა (800-მდე ფერმენტი) არ ემორჩილება მიხაელის-მენტენის თეორიას და იძლევა რთული გეომეტრიული ფორმის კინეტიკურ მრუდებს. 70-იან წლებში დაიწყო მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემების კინეტიკური ანალიზის პრინციპების თეორიული გამოკვლევა, როგორც სუბსტრატის [1], ისე მოდიფიკატორებისთვის [3]. მიუხედავად ამ თეორიული კვლევისა, არაა ცნობილი რთული გეომეტრიული ფორმის მქონე მრუდების გეომეტრიული ფორმის ანალიზის პრინციპები, რაც საბოლოოდ მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემების მოლეკულური მექანიზმის გაშიფრვის საშუალებას მოგვცემს. სწორედ აღნიშნულ პრობლემას ეძღვნება წარმოდგენილი ნაშრომი.

მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემების შემთხვევაში, თუ სარეაქციო არე უცვლელია და ყველა ლიგანდის კონცენტრაცია მუდმივია, ერთის გარდა, მაშინ სინქარის დამოკიდებულება ვარიანტული ლიგანდის კონცენტრაციაზე გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$V = \frac{x^n \sum_{i=0}^p \alpha_i x^i}{\sum_{i=0}^s \beta_i x^i}; \quad s = n + m + p - h + q \quad (1)$$

სადაც X - ვარიაბელური ლიგანდის კონცენტრაციაა, α_i და β_i - მუდმივი ლიგანდების კონცენტრაციის და სინქარის კოეფიციენტების ნამრავლის ჯამია და ყოველთვის დადებითი სიდიდეებია. n , m , P და s წარმოადგენენ ხარისხობრივ პარამეტრებს. შესაბამისად, n - არის აუცილებელი აქტივატორებისათვის განკუთვნილი უბნების რიცხვი, h - ნაწილობრივი ეფექტის მქონე მოლიფიკატორებისათვის განკუთვნილი უბნების რიცხვი, m - სრული ინჰიბიტორებისათვის განკუთვნილი უბნების რიცხვი, ხოლო s - უბნების ჯამური რიცხვი. q - წარმოადგენს სირთულის კოეფიციენტს. სწრაფი წონასწორობის $q=0$ და, შესაბამისად, $p=h$. ნათელია, რომ ფორმულა 1-ით წარმოდგენილი $V=f(x)$ ფუნქციას ექნება საკმაოდ რთული გეომეტრიული ფორმის მრუდი, რომლის ანალიზიც არგუმენტის ვარირების მთლიან დიაპაზონზე საკმაოდ გართულებულია, ამიტომ მიზანშეწონილია დავყოთ $V=f(x)$ ფუნქცია სამ უბნად: ექსტრემალურად მცირე კონცენტრაციების უბნად $0 < x < x_1$, ექსტრემალურად დიდი კონცენტრაციების უბნად $x_2 < x$ და შუალედური კონცენტრაციების უბნად $x_1 < x < x_2$. x_1 -ს განსაზღვრავს $V=f(x)$ ფუნქციის კოორდინატთა სათავეში გამავალი პირველი მხევი, x_2 -ს - $V=f(x)$ ფუნქციის $(t=1/x)$ კოორდინატთა სათავეში გამავალი პირველი მხევი. ექსტრემალურად მცირე კონცენტრაციების უბანში მრუდის გეომეტრიულ ფორმას, α_i და β_i კოეფიციენტებთან ერთად, ძირითადად, განსაზღვრავს n პარამეტრი, ექსტრემალურად დიდი კონცენტრაციების უბანში - m პარამეტრი, ხოლო შუალედური კონცენტრაციების უბანში - p პარამეტრი. აქედან ნათელია, რომ ექსტრემალურად მცირე კონცენტრაციების უბანი გამოიყენება n პარამეტრის განსაზღვრისათვის, ექსტრემალურად დიდი კონცენტრაციების უბანი - m პარამეტრის განსაზღვრისათვის, ხოლო შუალედური კონცენტრაციების უბანი - p პარამეტრის შესაფასებლად. აღსანიშნავია, რომ შუალედური კონცენტრაციების უბანი შეიძლება დაიყოს 2 ქვეჯგუფად, რაც განპირობებულია ერთმანეთის მიმდევრობით არსებული რამდენიმე გადაღუნვის წერტილის (საფეხურებრივი ფორმა) (I ქვეჯგუფი) და მოტრიალების წერტილების არსებობით (II ქვეჯგუფი).

n და m ხარისხობრივი პარამეტრების განსაზღვრა. ადრეული გამოკვლევების [3] შედეგად ცნობილია, რომ ექსტრემალურად მცირე კონცენტრაციების უბანში n პარამეტრის დადგენისათვის პრაქტიკულად ყველაზე მოხერხებულია $y(r,t) = \sqrt{U} = f(t)$ ხარისხობრივი გარდაქმნის გამოყენება. ($U=1/V$, $t=1/X$, r წარმოადგენს ხარისხობრივ პარამეტრს). სამუშაო ინტერვალის კორექტულად შერჩევის შემთხვევაში $y(r,t) = \sqrt{U} = f(t)$ ფუნქციას

აქვს ასიმპტოტა მხოლოდ მაშინ, როდესაც $r = n$. თუ $r > n$, ფუნქცია ამო-
 ზნეკილია ($y''_n < 0$), ხოლო თუ $r < n$, ფუნქციას აქვს ჩაზნექილი ფორმა ($y''_n > 0$).
 აღსანიშნავია, რომ ასიმპტოტის უბანში მუშაობა შეუძლებელია დიდი
 ფარდობითი ცდომილების გამო, ამიტომ ექსპერიმენტულ პირობებში
 ასიმპტოტის არსებობის კრიტერიუმს სამუშაო ინტერვალზე წარმოადგენს
 r პარამეტრის ვარიაციასას $y(r, t) = \sqrt[n]{U} = f(t)$ ფუნქციის მაქსიმალური
 ლინეარიზაცია. ლინეარიზაციის შეფასება კი ხორციელდება სტატის-
 ტიკური მეთოდებით. ზემოთ წარმოდგენილ თეორემაზე დაყრდნობით შექ-
 მნილია კომპიუტერული პროგრამა, რომელიც n პარამეტრის განსაზღვრის
 საშუალებას იძლევა [2]. აღსანიშნავია, რომ უბნების რიცხვის განსაზ-
 ღვრასთან ერთად, ფერმენტული სისტემის მთლიანი დახასიათებისათვის
 თითოეული უბნისათვის უნდა განისაზღვროს, სულ ცოტა, ორი კინე-
 ტიკური პარამეტრი (V_{\min}, V_{\max}), მაგრამ აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა
 შეუძლებელია. უფრო მიზანშეწონილია შემოვიღოთ პარამეტრების მინი-
 მალური რაოდენობა, რომელიც მთლიანად აღწერს და კარგად დაახა-
 სიათებს მრავალუბნიან ფერმენტულ სისტემას და, იმაედროულად, ადვი-
 ლად განისაზღვრება ექსპერიმენტულად. აქედან გამომდინარე, ხარისხობ-
 რივი პარამეტრების (უბნების რიცხვის) დადგენის შემდეგ აუცილებელია
 ისეთი პარამეტრების შემოტანა, რომლებიც ყველა უბნის კინეტიკური
 პარამეტრების გასაშუალოებულ სიდიდეს წარმოადგენს და ახასიათებს
 აქტივაციის და ინჰიბიციის ჯამურ ეფექტს. ექსტრემალურად მცირე
 კონცენტრაციების უბანში n პარამეტრის განსაზღვრის შემდეგ წარმო-
 იქმნება სწორედ ასეთი გასაშუალოებული პარამეტრების შემოღების აუცი-
 ლებლობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, როდესაც $r = n$ $y(r, t) = \sqrt[n]{U} = f(t)$
 ფუნქციას აქვს ასიმპტოტა, რომლის კოეფიციენტებიც შემდეგ სახეს ღე-
 ბულობენ:

$$a_n = \frac{D_{01}}{n\alpha_0\beta_0} \sqrt[n]{\frac{\beta_0}{\alpha_0}} \quad b = \sqrt[n]{\frac{\beta_0}{\alpha_0}}, \text{ სადაც } D_{01} = \alpha_0\beta_1 - \alpha_1\beta_0.$$

აქედან ნათელია:

$$K_A = \frac{b_n}{a_n} = \frac{n\alpha_0\beta_0}{D_{01}} \quad V_{\max}^A = (1/a_n)^n = \frac{\alpha_0}{\beta_0} \left(\frac{n\alpha_0\beta_0}{D_{01}} \right)^n$$

აღსანიშნავია, რომ როდესაც $n = 1$ $m = p = 0$, აღნიშნული სიდიდეები
 გარდაიქმნება მიხაელისის კონსტანტებად. წარმოდგენილი პარამეტრების
 ფიზიკური არსის უკეთ გაგების მიზნით, განვიხილოთ კერძო შემთხვევა.
 დავუშვათ, რომ სწრაფი წონასწორობის პირობებში ლიგანდები რან-
 დომულად უკავშირდებიან ფერმენტულ სისტემას და უბნებს შორის
 ურთიერთქმედებას ადგილი არა აქვს. მაშინ სიჩქარის განტოლება მიიღებს
 შემდეგ სახეს:

$$V = \frac{ek_n \left(\frac{x}{K_n} \right)^n \left(1 + \sum_{i=1}^p \frac{\lambda_i x^i}{K_{pi}} \right)}{\left(1 + \frac{x}{K_n} \right)^n \left(1 + \frac{x}{K_m} \right)^m \prod_i \left(1 + \frac{x}{K_{pi}} \right)} \quad (2)$$

სადაც e არის ფერმენტის ჯამური კონცენტრაცია, $\lambda_i = k_i/k_n$; k_n , k_i – კატალიზური კონსტანტებია, მაშინ K_n , K_m , K_{pi} – დისოციაციის კონსტანტებს წარმოადგენენ. აღნიშნული შემთხვევის კერძო მაგალითები მოყვანილია სურ. 1-ზე. ზემოთ წარმოდგენილი განტოლება (2)-ის საფუძველზე ადვილი შესაძლებელია α_0 , α_1 , β_0 და β_1 განსაზღვრა. შედეგად მივიღებთ:

$$\frac{1}{K_A} = \frac{D_{01}}{n\alpha_0\beta_0} = \frac{1}{n} \left(\sum_{j=1}^{n+m} \frac{1}{K_j} + \sum_{i=1}^p \frac{1-\lambda_i}{K_{pi}} \right) V_{\max}^A = \frac{\alpha_0}{\beta_0} \left(\frac{n\alpha_0\beta_0}{D_{01}} \right)^n = ek_n \left(\frac{K_A}{K_n} \right)^n$$

ამრიგად, წარმოდგენილი დამოკიდებულია ფერმენტული სისტემის ყველა უბნის კინეტიკურ პარამეტრზე და ახასიათებს ჯამური აქტივაციის პროცესს. ასე მაგალითად, $1/K_A$ არის მოხვევებითი გასაშუალოებული თვისობა. ამრიგად, ექსტრემალურად მცირე კონცენტრაციების უბანში დახასიათება შესაძლებელია n , $1/K_A$ და V_{\max}^A .

როგორც ავლინშნეთ, ექსტრემალურად დიდი კონცენტრაციების უბანში შესაძლებელია m პარამეტრის განსაზღვრა. თუ სიჩქარის ძირითად განტოლებაში (1) არგუმენტს შევცვლით $t = 1/x$, მაშინ გექვსება:


$$V = f(t) = \frac{t^m \sum_{i=0}^p \alpha_{p-i} t^i}{\sum_{i=0}^S \beta_{S-i} t^i} \quad (3)$$

ამრიგად, ფუნქციის ანალიტიკური ფორმა არ იცვლება. ეს საშუალებას იძლევა, რომ n -ის განსაზღვრის მეთოდები გამოვიყენოთ m -ის დადგენის შემთხვევაში, რისთვისაც საკმარისია მხოლოდ არგუმენტის შეცვლა. ამრიგად, ექსტრემალურად დიდი კონცენტრაციების უბანში მრუდი ხასიათდება შემდეგი კინეტიკური პარამეტრებით m_1 , K_i , V_{\max}^i , სადაც

$$K_i = \frac{H_{01}}{m\alpha_p\beta_S} = \frac{1}{m} \left[\sum_{j=1}^{n+m} K_j + \sum_{i=1}^p \left(1 - \frac{k_{(p-1)i}}{k_p} \right) K_{pi} \right]$$

$$V_{\max}^i = \frac{\alpha_p}{\beta_S} \left(\frac{m\alpha_p\beta_S}{H_{01}} \right)^m = ek_p \left(\frac{K_m}{K_i} \right)^m$$

ამრიგად, i წარმოადგენს მოხვევებით გასაშუალოებულ დისოციაციის კონსტანტას. ნათელია, რომ ფერმენტული სისტემები განსხვავებული იქნებიან ერთმანეთისაგან წარმოდგენილი პარამეტრებით, რაც მათი შედარებითი დახასიათების საშუალებას იძლევა.



	n	K_n	m	K_m	η_1	K_{P1}	η_2	K_{P2}	η_{12}
V_1	3	0,03	3	10	--	--	--	--	--
V_2	0	--	3	10	2	0,01	2	0,01	0,01
V_3	3	0,03	0	--	2	10	2	10	0,9

$$V_1\text{-სათვის გამოთვლილია } V_n = (a_n + b_n/x)^{-n} \text{ და } V_m = (a_m + bx)^{-m}.$$

სურ. 1. $V = f(\log x)$ ფუნქციის მაგალითი. მრავალუბნიანი ფერმენტი რანდომულად, ურთიერთზემოქმედების გარეშე, იკავშირებს ლიგანდს.

$$V = f(x) = \frac{ek_n \left(\frac{x}{K_n}\right)^n \left[1 + \left(\frac{\eta_1}{K_{P1}} + \frac{\eta_2}{K_{P2}}\right)x + \frac{x^2}{K_{P1}K_{P2}} \right]}{\left(1 + \frac{x}{K_n}\right)^n \left(1 + \frac{x}{K_m}\right)^m \left(1 + \frac{x}{K_{P1}}\right) \left(1 + \frac{x}{K_{P2}}\right)},$$

$$\text{სადაც } \eta_1 = \frac{k_1}{k_0}, \eta_2 = \frac{k_2}{k_0}, \eta_{12} = \frac{k_{12}}{k_0}$$

P_{\min} დადგენა.

P პარამეტრის განსაზღვრისას $V = f(x)$ ფუნქციის მაგივრად მიზანშეწონილია $U = f(t)$ ფუნქციის გამოყენება, სადაც $U = 1/V$ და $t = 1/x$.

$$U = f(t) = \frac{t^n \sum_{i=0}^S \beta_i t^{-i}}{\sum_{i=0}^p \alpha_i t^{-i}};$$

წარმოდგენილი $U = f(t)$ ფუნქცია მრუდის ფორმის გამარტივების და, შესაბამისად, ანალიზის გაადვილების საშუალებას იძლევა. $U = f(t)$ ფუნქციის პირველი წარმოებულის, მეორე წარმოებულის და $U \cdot U'$ ფუნქციის ანალიზმა და დეკარტეს ნიშნების განაწილების გამოყენებამ ცხადყო, რომ n და m პარამეტრის გარკვეული მნიშვნელობისას არსებობს განსაზღვრული ურთიერთდამოკიდებულება P პარამეტრსა და $U = f(t)$ ფუნქციის მოტრიალების (v), გადარუნვის (λ) და იმ წერტილების რიცხვს შორის, რომელზეც გაივლის კოორდინატთა სათავეში გამავალი მხები (μ). აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულება არ იძლევა P პარამეტრის ჭეშმარიტი მნიშვნელობის დადგენის საშუალებას. მისი მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ P_{\min} -ის განსაზღვრა. ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ $V = f(x)$ ფუნქციის გეომეტრიული ფორმა რთულდება ხარისხობრივი პარამეტრების ზრდასთან ერთად და მაღალი ხარისხის მქონე ფუნქციებმა შეიძლება გაიმეოროს დაბალი ხარისხის ფუნქციების გეომეტრიული ფორმა. დავუშვათ, რომ $V = f(x)$ ფუნქცია არ მოგვცემს ისეთი გეომეტრიული ფორმის მრუდებს, რომელიც დამახასიათებელი იქნება ფუნქციისთვის, რომლის მრიცხველის და მნიშვნელის მაქსიმალური ხარისხი ნაკლები იქნება, შესაბამისად, $n + P_{\min}$ და $n + m + P_{\min}$. n , m და P_{\min} საფუძველზე შესაძლებელია თეორიული და ექსპერიმენტული მრუდების გეომეტრიული ფორმების შეთანხმება, რაც უზრუნველყოფს მინიმალური მოდელის შესრულებას, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ფერმენტის ფორმების და მათ შორის ურთიერთგადასვლების მინიმალურ რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს თეორიული და ექსპერიმენტული მრუდების გეომეტრიული ფორმის თანხვედრას. ამრიგად, ჭეშმარიტი სწემის და მინიმალური მოდელის n , m , v , λ , μ ერთნაირია, თუმცა მათ შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული P და S .

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუალედური კონცენტრაციების უბანში შესაძლოა მივიღოთ საფეხურებრივი აქტივაცია ან ინჰიბიცია. საფეხურებრივი აქტივაციის შემთხვევაში შესაბამისი უბნის დასახასიათებლად საჭიროა $U = f(t)$ კოორდინატთა სისტემაში ფუნქციის აპროქსიმაცია სწორხაზოვანი რეგრესიით. რეგრესიის ხაზის აბსცისთა და ორდინატთა ღერძზე გადაკვეთის წერტილები ($1/K_{50}$, V_{50}) წარმოადგენენ იმ პარამეტრებს, რომლითაც შესაძლოა დახასიათდეს წარმოდგენილი უბანი. საფეხურებ-

რივი ინჰიბიციის შემთხვევაში კი $U = f(t)$ გარდაქმნის მაგივრად საჭიროა ვისარგებლოთ $U = f(x)$ გარდაქმნით.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც შუალედური კონცენტრაციების უბანში გვაქვს რამდენიმე მოტრიალების წერტილი, საჭიროა გამოვიყვლიოთ ექსტრემუმის წერტილებს შორის უბანში ფერმენტული სისტემას უკავშირდება ერთი, თუ ერთზე მეტი ლიგანდი. ამისთვის აღნიშნული უბნის წერტილებზე ვაგებთ $\ln U / \ln t$ ფუნქციას და $\ln U_i / \ln t_i$ წერტილებზე იგება რეგრესიის ხაზი. თუ რეგრესიის b კოეფიციენტი $b \leq 1$, ეს ნიშნავს, რომ ფერმენტულ სისტემას უკავშირდება ერთი ლიგანდი, თუ $b > 1$, მაშინ ფერმენტულ სისტემასთან კავშირდება რამდენიმე ლიგანდი. პირველ შემთხვევაში, $b \leq 1$, მთლიანად განიხილება მოტრიალების წერტილების არსებობის უბანი. აღნიშნულ შემთხვევაში ფერმენტულ სისტემას მიმდევრობით უკავშირდება ლიგანდები, რომლებიც მონაცვლეობით გვაძლევენ სინქარის დადებით ან უარყოფით აჩქარებას [1, 3]. განხილული უბნის დახასიათება შესაძლებელია $V = f(t)$ კოორდინატთა სისტემაში ფუნქციის სწორხაზოვანი რეგრესიის აპროქსიმაციისას, რეგრესიის ხაზის აბსცისთა და ორდინატთა ღერძზე გადაკვეთისას მიიღებული პარამეტრებით ($1/K_0, V_0$). თუ $b > 1$, მაშინ საჭიროა კოორდინატთა სათავის ექსტრემუმის წერტილებში გადატანა და მეზობელ ექსტრემუმის წერტილებს შორის არსებული მონაკვეთის დამოუკიდებელ ფუნქციად შესწავლა. აღნიშნულ უბანში შეიძლება გამოვიყენოთ n და m განსაზღვრის მეთოდები.

ამგვარად, ჩვენს მიერ წარმოდგენილია მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემებისათვის დამახასიათებელი რთული გეომეტრიული ფორმის მრუდების კინეტიკური აღწერის პრინციპები. განხილული მეთოდები მთავარი კინეტიკური პარამეტრების განსაზღვრის და სტატისტიკურად მათი სარწმუნოების შეფასების საშუალებას იძლევა. ყველა მეთოდს საფუძვლად უდევს მრუდის გეომეტრიული ფორმის ანალიზის მეთოდი, რომელიც მინიმალური მოდელის პრინციპთან ერთად რთული ფერმენტული სისტემების მოქმედების პრინციპული სქემის დადგენის საშუალებას იძლევა.

ლიტერატურა

1. *Bardsley W.G.* Biochem J., 1979, 153, 101- 117.
2. *Chkadua G., Kometiani Z.* Bull. Georgian Acad. Sci., 1997, 156.
3. *Кометиани З.П., Векуа М.Г.* Кинетика мембранных транспортных ферментов. Москва, "Высшая школа", 1988.

ПРИНЦИП АНАЛИЗА КРИВЫХ СО СЛОЖНОЙ ГЕОМЕТРИЧЕСКОЙ ФОРМОЙ

Г. Чкадуа

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Представлены принципы кинетического анализа многоучастковых ферментных систем. Обсуждены методы, которые дают возможность определения участков для необходимых активаторов (n) и полных ингибиторов (m). Исходя из принципа минимальной модели, определяется минимальное количество участков (P_{\min}), которые необходимы для создания принципиальной схемы действия ферментов. Представлены новые кинетические параметры, которые дают возможность охарактеризовать многоучастковые ферментные системы.

ANALYSIS PRINCIPLES FOR THE COMPLEX GEOMETRICAL SHAPE CURVES

G. Chkadua

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

The methods for kinetic analysis of multisite enzyme systems are considered, The experimental methods for definition of the number of sites intended for essential activators and full inhibitors are described. According to the principle of minimal model, the method of determination of the minimal number of sites (for modifiers with a partial effect of activation and inhibition) that are necessary for constructing the principal scheme of an enzyme working is described. Introduction of kinetic parameters, which precisely enough and adequately characterize and describe the multisite enzyme system, is offered.

მამაკაცების შარდ-სასქესო სისტემის ინფექციების პათოლოგიური სტრუქტურა ბაქტერიოლოგიური კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით

შ. ხარებავა, მ. კერესელიძე, კ. აფრიდონიძე

შვეიცარია-საქართველოს ერთობლივი სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრი “ციტო“, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 25.03.2003

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა მამაკაცთა შარდ-სასქესო სისტემის ინფექციური დაავადებების ეტიოლოგიური სტრუქტურის შესწავლა 1998-2002 წლებში. ამ მიზნით დიაგნოსტიკურ ცენტრში “ციტო“ ჩატარებული ბაქტერიოლოგიური გამოკვლევების შედეგების მიხედვით: I. მამაკაცების შარდიდან მიკრობებს შორის გამოყოფის სიხშირით დომინირებდნენ ენტერობაქტერიები – 41,8%, მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ სტაფილოკოკები – 25,6%, მესამე ადგილს იკავებდნენ საფუარისებრი სოკოები – 14,42%, მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ სტრეპტოკოკები – 8,2%; II. ურეთრალური გამონადენიდან ყველაზე ხშირად ითესებოდნენ სტაფილოკოკები – 54%, მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ სტრეპტოკოკები – 13,8%, მესამე ადგილზე, თითქმის თანაბარი პროცენტული წილით, აღმოჩნდნენ კორინებაქტერიები – 8% და მიკოპლაზმები – 7,4%. აღსანიშნავია, რომ მიკრობულ ასოციაციებშიც ასევე სტაფილოკოკები დომინირებდნენ – 18,1%; III. პროსტატის სითხიდან გამოყოფის სიხშირით დომინირებდნენ სტაფილოკოკები – 24%, მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ სტრეპტოკოკები – 21,5%, მესამე ადგილზე – Prevotella-ს გვარის ბაქტერიები – 13%; IV. სპერმის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევების შედეგების მიხედვით ყველაზე ხშირად ითესებოდნენ სტაფილოკოკები – 52%, შემდეგ სტრეპტოკოკები – 27%, ენტერობაქტერიების ზრდა აღინიშნა 13%-ში და ისინი მესამე ადგილზე აღმოჩნდნენ.

საკვანძო სიტყვები: შარდი, ურეთრალური გამონადენი, პროსტატის სითხე, სპერმა, ეტიოლოგიური სტრუქტურა

შარდ-სასქესო სისტემის ინფექციები წარმოადგენენ მედიცინის სერიოზულ პრობლემას. მსოფლიოში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანს აღენიშნება ამ სისტემის ანთებითი პათოლოგიები [3]. საყურადღებოა, რომ უკანასკნელ წლებში მამაკაცებში საგრძნობლად იმატა შარდ-სასქესო

სისტემის ანთებითა დაავადებებმა. ეს აიხსნება ევოლუციის პროცესში არსებული ანომალიების მატებით, გარემოს უარყოფითი ფაქტორების სემოქმედებით, ურბანიზაციით, სამკურნალო პრეპარატების სიმრავლით და მათი უკონტროლო გამოყენებით, მოსახლეობის აღურგენიზაციით და სხვა ფაქტორებით. ამავე დროს კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მკვეთრად გაუმჯობესდა ამ დაავადებების დიაგნოსტიკის დონე, რამაც განაპირობა იმ პაციენტების რიცხვის მატება, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას. [2]

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა მამაკაცების შარდ-სასქესო სისტემის ინფექციების მიკრობული ეკოსტრუქტურის შესწავლა 1998-2002 წლების განმავლობაში. ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მიკრობთა ფართო სპექტრის: სტაფილოკოკების, სტრეპტოკოკების, ნეისერიების, ჰემოფილების, ლისტერიების, გარდნერელების, ენტერობაქტერიების, არამაფერმენტებული გრამუარყოფითი ბაქტერიების, მიკოპლაზმების, ანაერობული ბაქტერიების, სოკოების იდენტიფიკაცია, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აპრობირებული ფრანგული ბიოტექნოლოგიური ფირმა ბიოერიუხ-ის წარმოების თანამედროვე სტანდარტული დიაგნოსტიკური ტექნოლოგიების გამოყენებით [1].

1998-2002 წლებში სამედიცინო დიაგნოსტიკურ ცენტრ "ციტო"-ში ჩატარებულ იქნა 402 პაციენტის შარდის, 168 - ურეთრალური გამონადენის, 61 - პროსტატის სითხის და 19 პაციენტის ეაკულატის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევები.

შარდის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევების შედეგების მიხედვით, საკვლევი მასალაში შემთხვევათა 70%-ში აღინიშნა მიკრობების ზრდა. ისინი ძირითადად იზოლირებული იყვნენ მონოკულტურის სახით, კერძოდ 86%-ში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიკრობული ასოციაციები აღინიშნებოდა საკმაოდ იშვიათად - 14%-ში. გამოყოფის სიხშირით დომინირებდნენ ენტერობაქტერიები - 41,8%, კერძოდ *E.coli* - 28,9%, *P.mirabilis* - 4,3%, *K.pneumoniae* - 3,5%. მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ სტაფილოკოკები - 25,6%, მათ შორის: *S.epidermidis* - 16%, *S.saprophyticus* - 4,52%, *S.aureus* - 2,64%, *S.haemolyticus* - 1,64%. მესამე ადგილი წილად ხვდათ საფუარისებრ სოკოებს - 14,42%, მათ შორის: *C.albicans* - 12,72%, *C.famata* - 0,6%. სოკოების შემდეგ გამოყოფის სიხშირით მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ სტრეპტოკოკები - 8,2%, კერძოდ *Streptococcus serogroup D* - 6%, *Streptococcus serogroup B* - 2,2%. გამოკვლევების დროს არამაფერმენტებული გრამუარყოფითი ბაქტერიები შედარებით იშვიათად ითესებოდნენ და მათი გამოყოფის სიხშირე აღმოჩნდა 6%, მათ შორის *P.aeruginosa* - 5,36%, *Acinetobacter spp.* - 0,4%, *X.maltophilia* - 0,24%. შარდიდან იზოლირებულ მიკრობულ ასოციაციებს შორის დომინირებდნენ საფუარისებრი სოკოები და ენტერობაქტერიები (4,72% და 4,52%, შესაბამისად), მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ სტაფილოკოკები - 3,7%. ყველაზე ხშირად აღინიშნებოდა სტაფილოკოკების და საფუარისებრი სოკოების (23%) და ენტერობაქტერიების და საფუარისებრი სოკოების (19%) ასოციაციები.

ურეთრალური გამონადენის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის 5 წლის შეჯამებული მონაცემებით მიკრობები მონოკულტურის და ასოციაციების

სახით გამოყოფილ იქნა თითქმის თანაბარი რაოდენობით, კერძოდ მონოკულტურის სახით 56,4%-ში, ხოლო ასოციაციების სახით - 43,6%-ში. საკვლევი მასალიდან გრამდადებითი მიკროფლორა იზოლირებულ იქნა 80,6%-ში, ხოლო გრამუარყოფითი მიკროფლორა - 9%-ში. გამოყოფის სიხშირით დომინირებდნენ სტაფილოკოკები - 54%, კერძოდ *S.epidermidis* - 41,8%, *S.haemolyticus* - 4,8%, *S.aureus* - 3,6%. მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ სტრეპტოკოკები - 13,8%, კერძოდ, *Streptococcus serogroup D* - 8,4%, *Streptococcus serogroup B* - 3%. მესამე ადგილზე თითქმის თანაბარი პროცენტული წილით აღმოჩნდნენ კორინებაქტერიები - 8% და მიკოპლაზმები - 7,4%. აღსანიშნავია რომ მიკრობულ ასოციაციებშიც ასევე სტაფილოკოკები დომინირებდნენ - 18,1%, მეორე ადგილზე აქაც სტრეპტოკოკები აღმოჩნდნენ - 9,2%. სტაფილოკოკების და სტრეპტოკოკების ასოციაციები აღინიშნა 30%-ში, სტაფილოკოკების და კორინებაქტერიების - 15%-ში, სტაფილოკოკების და ენტერობაქტერიების, ასევე სტაფილოკოკების და მიკოპლაზმების 7,5-7,5%-ში.

პროსტატის სითხის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისას, აერობულ პირობებში კულტივირებისას, მიკრობების ზრდა აღინიშნა 87,5%-ში, ხოლო ანაერობულ პირობებში - 47%-ში. გრამდადებითი მიკროფლორის ზრდა აღინიშნა 69%-ში, გრამუარყოფითის - 25%-ში, რაც მიუთითებს გრამდადებითი მიკროფლორის მკვეთრ დომინირებაზე. გამოყოფის სიხშირით პრევალირებდნენ სტაფილოკოკები - 24%, კერძოდ, *S.epidermidis* - 19%, *S.haemolyticus* და *S.hominis* (2,5-2,5%). მეორე ადგილი წილად ხვდათ სტრეპტოკოკებს - 21,5%, აქედან ანაერობულ პირობებში იზოლირებული *S.intermedius* - 13,5%, ხოლო კულტივირების აერობულ პირობებში იზოლირებული *Streptococcus serogroup D* - 5,5% და *S.agalactiae* - 2,5%. კვლევის პროცესში გამოყოფის სიხშირით მესამე ადგილზე აღმოჩნდნენ *Prevotella*-ს გვარის ბაქტერიები - 13%, *Actinomyces*-ის გვარის მიკრობების გამოყოფის სიხშირე იყო 10,5% და ისინი მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ. პროსტატის სითხიდან შედარებით იშვიათად ითესებოდნენ *B.capillosus* - 8%, *L.fermentum* - 5,5%, *U.urealyticum* - 5% და *Candida*-ს გვარის სოკოები - 5%.

სპერმის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევების შედეგების მიხედვით მიკრობები ძირითადად იზოლირებული იყო მონოკულტურის სახით, კერძოდ 61%-ში, ხოლო ასოციაციები აღინიშნა 39%-ში. გამოყოფის სიხშირით ისევე, როგორც ურეთრალური გამონადენის და პროსტატის სითხის შემთხვევაში, გრამდადებითი მიკროფლორა - 79%, მნიშვნელოვნად პრევალირებდა გრამუარყოფით მიკროფლორას - 13%.

სპერმის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისას ყველაზე ხშირად ითესებოდნენ სტაფილოკოკები - 52%, კერძოდ, *S.epidermidis* - 40%, *S.aureus*, *S.xylosus*, *S.haemolyticus* - (4%-4%). სტაფილოკოკების შემდეგ გამოყოფის მაღალი მაჩვენებლები აჩვენეს სტრეპტოკოკებმა - 27%, კერძოდ *Streptococcus serogroup D* - 23%, *Streptococcus serogroup B* - 4%. ენტერობაქტერიების ზრდა აღინიშნა 13%-ში და ისინი მესამე ადგილზე აღმოჩნდნენ. იშვიათად აღინიშნა *C.albicans* და *U.urealyticum*-ის ზრდა (4%-4%).

1998-2002 წლებში მამაკაცების შარდიდან, ურეთრალური გამონადენიდან და სპერმიდან იზოლირებული მიკრობების ეტიოლოგიური სტრუქტურა (გამოყოფის სიხშირე, %)

გამოყოფილი მიკრობების დასახელება	შარდი	ურეთრალური გამონადენი	სპერმა
სტაფილოკოკები	25,6	54	52
<i>Staphylococcus epidermidis</i>	16,0	41,8	40
<i>Staphylococcus hominis</i>	-	1,4	-
<i>Staphylococcus aureus</i>	2,64	3,6	4
<i>Staphylococcus haemolyticus</i>	1,64	4,8	4
<i>Staphylococcus saprophyticus</i>	4,52	0,6	-
<i>Staphylococcus xylosus</i>	0,8	1,4	4
<i>Staphylococcus cohnii</i>	-	0,4	-
სტრეპტოკოკები	8,2	13,8	27
<i>Streptococcus adjacens</i>	-	1,2	-
<i>Streptococcus serogroup D</i>	6,0	8,4	23
<i>Streptococcus serogroup B</i>	2,2	3,0	4
<i>Streptococcus serogroup F</i>	-	0,4	-
<i>Streptococcus intermedius</i>	-	0,4	-
<i>Streptococcus serogroup C</i>	-	0,4	-
<i>Aerococcus viridans</i>	-	0,4	-
ენტერობაქტერიები	41,8	6,2	13
<i>Escherichia coli</i>	28,9	5	9
<i>Klebsiella pneumoniae</i>	3,5	0,4	-
<i>Klebsiella oxytoca</i>	0,64	-	-
<i>Proteus mirabilis</i>	4,3	0,4	-
<i>Enterobacter spp.</i>	-	0,4	4
<i>Enterobacter cloacae</i>	0,7	-	-
<i>Enterobacter agglomerans</i>	0,3	-	-
<i>Serratia spp.</i>	0,4	-	-
<i>Serratia marcescens</i>	0,54	-	-
<i>Citrobacter freundii</i>	1,04	-	-
<i>Citrobacter spp.</i>	0,64	-	-
<i>Citrobacter diversus</i>	0,3	-	-
<i>Providencia stuartii</i>	0,24	-	-
<i>Morganella morganii</i>	0,3	-	-
მიკოპლაზმები	-	7,4	4
<i>Ureaplasma urealyticum</i>	-	7,4	4
ლისტერიები	-	1	-
<i>Listeria spp.</i>	-	1	-
ნეისერიები	-	0,8	-
<i>Neisseria gonorrhoeae</i>	-	0,8	-
კორინებაქტერიები	0,64	8,0	-
<i>Corynebacterium aquaticum</i>	-	1,8	-
<i>Corynebacterium spp.</i>	-	4,6	-
<i>Corynebacterium minutissimum</i>	-	0,8	-
<i>Corynebacterium renale</i>	-	0,4	-
<i>Corynebacterium group A</i>	-	0,4	-
<i>Corynebacterium xerosis</i>	0,64	-	-

ცხრილი 1 (გაგრძელება)

კორინეფორმული ბაქტერიები			
Brevibacterium spp.	0,24	1,2	-
Oerskovia spp.	-	0,8	-
	0,24	0,4	-
გარდნერელები			
Gardnerella vaginalis	-	1,8	-
	-	1,8	-
ჰემოფილები			
Haemophilus parainfluenzae	-	1,2	-
	-	1,2	-
საფუარის მსგავსი სოკოები			
Candida albicans	14,42	3	4
Trichosporon cutaneum	12,72	2,6	4
Candida famata	0,4	0,4	-
Candida inconspicua	0,6	-	-
Candida tropicalis	0,4	-	-
	0,3	-	-
არამფერმენტბეული გრამუარყოფითი ბაქტერიები			
Pseudomonas spp.	6,0	0,8	-
Acinetobacter spp.	-	0,4	-
Pseudomonas aeruginosa	0,4	0,4	-
Xanthomonas maltophilia	5,36	-	-
	0,24	-	-
მიკროკოკები			
Micrococcus spp.	2,8	0,4	-
	2,8	0,4	-
Gemella haemolysans	0,3	-	-

* $p < 0,001$

1998-2002 წლებში ჩვენს მიერ ჩატარებულმა ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა გაგვეჩვენებინა შემდეგი დასკვნები: I. მამაკაცების შარდიდან მიკრობებს შორის გამოყოფის სისწორით დომინირებდნენ ენტერობაქტერიები – 41,8%, მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ სტაფილოკოკები – 25,6%, მესამე ადგილი წილად ხვდათ საფუარისებერ სოკოებს – 14,42%, მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ სტრეპტოკოკები – 8,2%, რაც შეეხება მიკრობულ ასოციაციებს აქ დომინირებდნენ საფუარისებრი სოკოები და ენტერობაქტერიები (4,72% და 4,52%, შესაბამისად); II. ურეთრალური გამონადენიდან ყველაზე ხშირად ითესებოდნენ სტაფილოკოკები – 54%, მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ სტრეპტოკოკები – 13,8%, მესამე ადგილზე თითქმის თანაბარი პროცენტული წილით აღმოჩნდნენ კორინეფორმული ბაქტერიები – 8% და მიკოპლაზმები – 7,4%. აღსანიშნავია, რომ მიკრობულ ასოციაციებშიც ასევე სტაფილოკოკები დომინირებდნენ – 18,1%; III. პროსტატის სითხიდან გამოყოფის სისწორით დომინირებდნენ სტაფილოკოკები – 24%, მეორე ადგილი წილად ხვდათ სტრეპტოკოკებს – 21,5%, მესამე ადგილზე აღმოჩნდნენ რეფორტელა-ს გვარის ბაქტერიები – 13%; IV. სპერმის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევების შედეგების მიხედვით ყველაზე ხშირად ითესებოდნენ სტაფილოკოკები – 52%, შემდეგ სტრეპტოკოკები – 27%, ენტერობაქტერიების ზრდა აღინიშნა 13%-ში და ისინი მესამე ადგილზე აღმოჩნდნენ.

1998-2002 წლებში პროსტატის სითხიდან იზოლირებული მიკრობების ეტიოლოგიური სტრუქტურა (გამოყოფის სიხშირე, %)

მიკრობების დასახელება	%
აერობულ პირობებში იზოლირებული მიკრობები	44,5
<i>სტაფილოკოკები</i>	24
Staphylococcus epidermidis	19
Staphylococcus haemolyticus	2,5
Staphylococcus hominis	2,5
<i>სტრეპტოკოკები</i>	8,0
Streptococcus serogroup D	5,5
Streptococcus agalactiae	2,5
<i>საფუარისებრი სოკოები</i>	5,0
Candida albicans	2,5
Candida tropicalis	2,5
<i>მიკოპლაზმები</i>	5,0
Ureaplasma urealyticum	5,0
<i>კორინებაქტერიები</i>	2,5
Corynebacterium spp.	2,5
ანაერობულ პირობებში გამოყოფილი მიკრობები	55,5
<i>ობლიგატური ანაერობული ბაქტერიები</i>	29
Prevotella ruminicola	5,5
Prevotella bivia	2,5
Prevotella intermedia	2,5
Prevotella oralis	2,5
Bacteroides capillosus	8,0
Lactobacillus fermentum	5,5
Peptostreptococcus spp.	2,5
<i>ფაკულტატური ანაერობული ბაქტერიები</i>	26,5
Streptococcus intermedius	13,5
Actinomyces naeslundii	5,5
Actinomyces viscosus	2,5
Actinomyces israelii	2,5
Gemella morbillorum	2,5

* $p < 0,001$

ლიტერატურა

1. კერესხელიძე მ. კლინიკური ბაქტერიოლოგია. თბილისი, "ვერო", 2001.
2. Тиктинский О.Л. Новиков И.Ф. Михайличенко В.В. Заболевания половых органов у мужчин. Москва, "Медицина", 1985.
3. Kunin M., Calvin M. In: NIDDK National Kidney and Urological Diseases Information Clearinghouse. 2002, p. 1-4.

ЭТИОЛОГИЯ ИНФЕКЦИЙ УРОГЕНИТАЛЬНОЙ СИСТЕМЫ МУЖЧИН С ПРИМЕНЕНИЕМ СОВРЕМЕННЫХ СИСТЕМ БАКТЕРИОЛОГИЧЕСКОГО ИССЛЕДОВАНИЯ

Ш. Харебава, М. Кереселидзе, К. Апридонидзе

Швейцарско-Грузинский совместный медицинский диагностический центр “Цито”,
Грузинская государственная медицинская академия, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Целью исследования было изучение этиологии инфекций урогенитальной системы мужчин в динамике 1998-2002 годов, с акцентированием на идентификации бактерий широкого спектра. В течение 1998-2002 годов было исследовано мочи – 402, выделений из уретры – 168, секрета предстательной железы – 61, спермы – 19. Для идентификации выделенных микробов были использованы стандартизованные Ари-системы фирмы bioMerieux. По результатам бактериологического исследования в моче по частоте выделения на I месте оказались энтеробактерии (41,8%); на II – стафилококки (25,6%); на III – дрожжевые грибы (14,42%); на IV – стрептококки (8,2%). В уретральных мазках по частоте высевания на I месте оказались стафилококки (54%); на II – стрептококки (13,8%); на III – коринебактерии (8%) и на IV – микоплазмы (7,4%). В секрете предстательной железы на I месте оказались стафилококки (24%); на II – стрептококки (13%); на III – *Prevotella* spp. (13%). В сперме – стафилококки (52%); стрептококки (27%); энтеробактерии (13%).

ETIOLOGICAL STRUCTURE OF INFECTION DISEASES OF GENITAL-URINARY SYSTEM IN MEN REVEALED BY MODERN BACTERIOLOGICAL INVESTIGATION SYSTEMS

Sh. Kharebava, M. Kereselidze, K. Apridonidze

Swiss-Georgian Joint Medical Center “Cito”, Georgian state medical academy, Tbilisi

SUMMARY

The aim of our work was study of etiological structure of infection diseases of genital-urinary system in men during 1998-2002. Identification of the broad spectra of microbes was the main target of our search. Investigations were performed by modern bacteriological standard systems, produced by “bioMerieux”, France. According to bacteriological data of the men’s urine in 1998-2002 it was found – the first place was held by *enterobacteria* – 41.8%, the second – staphylococci (25.6%), the third – yeast (14.42%) and the fourth one – streptococci (8.2%). Bacteriological data of the men’s urethral discharge – the first place was held by staphylococci – 54%, the second – streptococci (13.8%), the third – corynebacteria (8%) and mycoplasma (7.4%). The frequency of the isolated microbes from the prostate fluid was: staphylococci – 24%, streptococci – 21.5%, *Prevotella* spp. – 13%. Bacteriological data of the sperm: staphylococci – 52%, streptococci – 27%, enterobacteria – 13%.

ტრავმული შოკის დროს თიმუსსა და ელენთაში განვითარებული ოქსიდაციური ძვრები და მათი კორექცია პლაფერონ ლბ-ით

*ა. ხაფავა, მ. იობაძე, მ. გონგაძე, თ. ჩიქოვანი, მ. ელენტი,
ნ. კუკულაძე, მ. მაჭავარიანი*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის
ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 12.03.2003

ნაშრომის მიზანს ტრავმული შოკის დროს ელენთაში და თიმუსში მიმდინარე ოქსიდაციურ პროცესებზე პლაფერონ ლბ-ს ზემოქმედების შესწავლა წარმოადგენდა. გამოკვლევა შესრულებულია თეთრ ვირთაგვებზე. შოკური მდგომარეობის კრიტერიუმად მიჩნეული იყო არტერიული წნევის მაჩვენებელი – 65 ± 2 მმ/Hg. შოკს ვიწვევდით კენონის მეთოდით. ცხოველებს ვკლავდით შოკის განვითარებიდან 30 წუთის შემდეგ. ელენთის და თიმუსის ქსოვილის ნიმუშების მარსპექტრის რეგისტრაცია ხდებოდა რადიოსპექტრომეტრზე. პლაფერონ ლბ-ს მოქმედების შედეგად ელენთაში Fe^{3+} -ტრანსფერინის მარსიგნალის ინტენსივობა ნორმის ფარგლებშია, ამავე დროს, შეინიშნება MetHb და HbNO მარსიგნალების სარწმუნო დაქვეითება. ელენთაში და თიმუსში რიბონუკლეოტიდრედუქტაზას მარსიგნალის ინტენსივობა ინტაქტური ცხოველების ანალოგიური მაჩვენებლისაგან არ განსხვავდება. ამგვარად, ტრავმული შოკის დროს, პლაფერონი ლბ იცავს თიმუსსა და ელენთას ოქსიდაციური სტრესის განვითარებისაგან, რის შედეგადაც ამ ორგანოებში პროლიფერაციული პროცესები ნორმალურ დონეზე მიმდინარეობს.

საკვანძო სიტყვები: პლაფერონი ლბ, ტრავმული შოკი, თიმუსი, ელენთა, ოქსიდაცია, ვირთაგვა

ცნობილია, რომ ტრავმული შოკის პათოგენეზში უჯრედების მეტაბოლიზმის პიპოქსიურ დარღვევებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ორგანიზმის ნორმალური მოქმედებისთვის ჟანგბადით უჯრედის ადეკვატური უზრუნველყოფა ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს [4]. უჯრედის პიპოქსია, ანაერობული პემოლიზი, ენდოთელურ უჯრედთა განვლადობის დარღვევა, მეტაბოლიტები, TNF- α და სხვა ფაქტორები

ქსოვილის და უჯრედის ენერგომომარაგების დარღვევას და ატმ-ს სინთეზის ინტენსივობის დაკლებას იწვევს [1, 4].

ორგანიზმში ტრავმული დაზიანების შედეგად გამოწვეული დარღვევების მკურნალობის პერსპექტიული და ეფექტური მეთოდების ძიებას მრავალი კვლევა ეძღვნება. მედიცინის განვითარების ამ ეტაპზე აქტუალურია, თუ რა ხდება უჯრედის დონეზე. დღეს არსებული მონაცემები მეტყველებს შოკურ უჯრედში მიმდინარე სტრუქტურულ და ფუნქციურ ცვლილებებზე – დაწყებული უჯრედის მემბრანიდან და დამთავრებული მისი ყველაზე ელემენტარული სტრუქტურებით [2, 5].

პლაფერონი ლპ პლაცენტიდან მიღებული პეპტიდური პრეპარატია, რომელიც შეიცავს ენდოგენურ ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას, რომლებიც მის ფარმაკოლოგიურ მოქმედებას განაპირობებენ [7, 10]. უჯრედის მეტაბოლიზმზე პლაფერონ ლპ-ს გავლენის შესწავლას არაერთი შრომა მიეძღვნა. პირველ რიგში საყურადღებოა მისი გავლენა მიტოქონდრიებზე [6, 12] და ენერგეტიკულ ცვლაზე. მთელ რიგ ორგანოებში (თავის ტვინი, მიოკარდი, თირკმელი, ღვიძლი) ის მიკროცირკულაციას, და შესაბამისად, ორგანოთა ჟანგბადით მომარაგებას აუმჯობესებს [3, 9, 11].

ბოლო წლებში ბიოლოგიური სისტემების შესასწავლად წარმატებით გამოიყენება რადიოსპექტრული მეთოდები, რომელთა რიცხეშია ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის (პმრ) მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ უჯრედშიდა მეტაბოლიზმის პარამეტრები, რაც მნიშვნელოვანია უჯრედული პომეოსტაზის მექანიზმის გამოსაკვლევიად. ამასთან ერთად, პმრ მეთოდი გვაძლევს საშუალებას, ერთდროულად შევისწავლოთ სხვადასხვა ორგანოში მიმდინარე მეტაბოლური დარღვევები და, შესაბამისად, დაავადების ან ორგანიზმზე რაიმე ზემოქმედების პირობებში მთელი ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობა.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ტრავმული შოკის დროს პლაფერონ ლპ-ს ზემოქმედების შესწავლა ელენთასა და თიმუსში მიმდინარე ოქსიდაციურ პროცესებზე.

მასალა და მეთოდი

გამოკვლეულია ზრდასრული, 300 გ მასის თეთრი ვირთაგვები. შოკური მდგომარეობის კრიტერიუმად შოკის მოდელირების დროს მიჩნეული იყო არტერიული წნევის მაჩვენებელი – 65 ± 2 მმ/Hg. ტრავმულ შოკს ვიწვევდით კენონის მეთოდით ბარძაყის რბილი ქსოვილების ტრავმირების შედეგად მღვრადი პიპოტენზიის განვითარებით. პმრ გამოკვლევისათვის ქსოვილების ნიმუშის მოსამზადებლად ცხოველებს ვკლავდით შოკის განვითარებიდან 30 წუთის შემდეგ საძილე არტერიის გადჭრით. ელენთის და თიმუსის ქსოვილს ვაქტუცმაცვებდით და ვათავსებდით პოლიეთილენის 5 მმ დიამეტრის და 30 მმ სიგრძის კონტეინერებში და ვყინავდით თხევად აზოტში (-196°C). ნიმუშის საშუალო წონა 250-300 მგ-ს შეადგენდა, სიგრძე – 30-35 მმ, შიდა დიამეტრი – 4-5 მმ-ს. ნიმუშის პმრ სპექტრის რეგისტრაცია ხდებოდა რადიოსპექტრომეტრზე ПЭ-1307.

მიღებული შედეგები და ამით განხილვა

ინტაქტური ვირთაგეების ელენთის მარ სპექტრი Fe^{3+} -ტრანსფერინის და რიბონუკლეოტიდრედუქტაზას (RR) სიგნალებს შეიცავს. როგორც ცხრილიდან ჩანს, ტრავმული შოკის პირობებში, MetHb-ის მარ სიგნალი ჩნდება და იგი $26,5 \pm 0,5$ მმ/მგ შეადგენს. პლაფერონ ლბ-ს ზემოქმედების შედეგად MetHb მარ სიგნალი ტრავმული შოკის დროს მიღებულ მანვენებელთან შედარებით მცირდება და შეადგენს $15,0 \pm 0,5$ მმ/მგ. ტრავმული შოკის დროს ვირთაგეების ელენთის მარ სპექტრში MetHb სიგნალის განენა ლიპიდური ზეჟანგური ჟანგვის პროცესების ინტენსიფიკაციაზე მეტყველებს. მეტჰემოგლობინის წარმოქმნაში გარკვეულ როლს თამაშობს Fe^{3+} ჰემოგლობინის დაჟანგვა ჰიდროქსილრადიკალის მიერ, რაც ლიპო- და ჰიდროზეჟანგებად დაშლითა და ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროცესების გაძლიერებით ხდება [15].

ტრავმული შოკის დროს MetHb მარ სიგნალის აღრიცხვა იმის დამატებით დადასტურებაა, რომ NO ჭარბი რაოდენობით წარმოიქმნება. ცნობილია, რომ ჰემოგლობინი უფრო აქტიურად უკავშირდება NO-ს, ვიდრე ჟანგბადს, რაც ნორმაში ერთორციტების ანტიოქსიდანტური სისტემით რეგულირდება [8, 13] ერთორციტების ანტიოქსიდანტური აქტივობის დაკლება ხელს უწყობს HbNO დაგროვებას, რომელიც შემდგომში MetHb-ად გარდაიქმნება. ამგვარად, ტრავმული შოკის დროს ხდება ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის (ლზშ) აქტივობის მატება, რის შედეგადაც წარმოიქმნება პეროქსინიტირიტი და ჰიდროქსირადიკალი, რომელიც თავის მხრივ ააქტივებს ლზშ-ს [14]. პლაფერონ ლბ-ს შეყვანის შემდეგ MetHb მარ სიგნალი სტატისტიკურად სარწმუნოდ მცირდება, რაც პლაფერონ ლბ-ს პროტექტორულ მოქმედებაზე მეტყველებს. იგი მკვეთრად ამცირებს ჟანგვით პროცესების ინტენსივობას და ამით უზრუნველყოფს ელენთის დაცვას ტრავმული შოკის შედეგად განვითარებული დაზიანებისაგან. როგორც ცხრილიდან ჩანს, ჰემური რკინის ნიტროსილური კომპლექსების HbNO მარ სიგნალი ინტაქტური ვირთაგეების ელენთაში არ რეგისტრირდება. ტრავმული შოკის დროს, როდესაც ხდება ოქსიდაციური პროცესების გააქტივება, ეს მანვენებელი შეადგენს $15,8 \pm 1,3$ მმ/მგ-ს. HbNO-ის სიგნალების განენა ახოტის ოქსიდის ჭარბი წარმოქმნის მანვენებელია. პლაფერონ ლბ-ს ფონზე იგი სტატისტიკურად სარწმუნოდ იკლებს ($8,3 \pm 1,8$ მმ/მგ, $p < 0,05$), რაც პლაფერონ ლბ-ს გავლენით თავისუფალი რადიკალების ერთერთი გენერატორის NO-ს შემცირებაზე მეტყველებს. Fe^{3+} -ტრანსფერინის მარ სიგნალი ინტაქტური ცხოველების ელენთაში შეადგენს $23,5 \pm 1,5$ მმ/მგ. ტრავმული შოკის პირობებში Fe^{3+} -ტრანსფერინის მარ სიგნალის ინტენსივობა სტატისტიკურად სარწმუნოდ მცირდება და $12,8 \pm 0,5$ მმ/მგ-ს შეადგენს. პლაფერონ ლბ-ს შეყვანის შემდეგ Fe^{3+} -ტრანსფერინის მარ სიგნალის ინტენსივობა ნორმის ფარგლებში მერყეობს ($20,5 \pm 0,5$ მმ/მგ). Fe^{3+} -ტრანსფერინის რკინის იონების დაკავშირების უნარი გაანია, რის გამოც იგი ანტიოქსიდანტური თვისებით ხასიათდება. Fe^{3+} -ტრანსფერინის სიგნალის შემცირება ტრავმული შოკის დროს მეტყველებს ჰიპოქსიის განვითარებაზე. პლაფერონ ლბ-ს ჩართვა ზრდის Fe^{3+} -ტრანსფერინის სიგნალს, ე.ი. ჰიპოქსიის განვითარებას ამცირებს.

ელენთის პარამაგნიტული ცენტრების ცვლილება ტრავმული შოკის დროს, $(M \pm m)$

პირობები	MetHb g = 6,0	Fe ³⁺ -ტრანსფერინი g = 4,3	HbNO	RR
ინტაქტური ცხოველები	-	23,5 ± 1,5	-	20,0 ± 0,5
ტრავმული შოკი	26,5 ± 0,5	12,8 ± 0,5 p < 0,01	15,8 ± 1,3	7,3 ± 0,8 p < 0,01
ტრავმული შოკი + პლაფერონი ლბ	15,4 ± 1,2 p ₁ < 0,05	20,5 ± 0,5	8,3 ± 1,8 p ₁ < 0,05	15,4 ± 1,2


p – შედარებულია ინტაქტურ ცხოველთა ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

p₁ – შედარებულია საკონტროლო ჯგუფის ცხოველთა ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

რიბონუკლეოტიდრედუქტაზა დეჰოქსირიბონუკლეოტიდების სინთეზის კატალიზატორს წარმოადგენს, მისი მპრ სიგნალის აქტივობა ინტაქტურ ცხოველებში 20,0 ± 0,5 მმ/მგ-ს უდრის. ტრავმული შოკის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 7,3 ± 0,8 მმ/მგ-ს შეადგენს.

პლაფერონ ლბ-ს ზემოქმედებით ელენთაში RR მპრ სიგნალის ინტენსივობა სტატისტიკურად სარწმუნოდ მატულობს და ინტაქტური ცხოველების ანალოგიური მაჩვენებლისაგან სტატისტიკურად სარწმუნოდ აღარ განსხვავდება (იხ. ცხრილი). ტრავმული შოკის დროს RR მპრ სიგნალის შემცირება ღმმ-ს რეპლიკაციის პროცესის შენელებაზე მეტყველებს, რაც, თავის მხრივ, ღმმ-ს სინთეზის ინტენსივობისა და, შესაბამისად, პროლიფერაციული პროცესების დათრგუნვის მაჩვენებელია.

რაც შეეხება თიმუსის მპრ სპექტრს, ინტაქტურ ცხოველებში იგი მხოლოდ RR მპრ სიგნალით არის წარმოდგენილი (სურ. 1). მისი ინტენსივობა 15,0 ± 0,5 მმ/მგ შეადგენს. ტრავმული შოკის დროს RR-ს მპრ სიგნალის ინტენსივობა სტატისტიკურად სარწმუნოდ იკლებს (9,0 ± 1,2 მმ/მგ), პლაფერონ ლბ-ს ფონზე კი იგი ნორმის ფარგლებში მერყეობს (12,0 ± 1,5 მმ/მგ).



სურ. 1. თიმუსის RR მპრ სიგნალის ცვლილება ტრავმული შოკის დროს. ინტაქტური ცხოველები (1), ტრავმული შოკის დროს (2) და პლაფერონ ლბ ზემოქმედება (3).

ამგვარად, ტრავმული შოკის დროს პლაფერონი ლბ იცავს თიმუსსა და ელენთას ოქსიდაციური სტრესის განვითარებისაგან, რის შედეგადაც ამ ორგანოებში პროლიფერაციული პროცესები ნორმალურ დონეზე მიმდინარეობს.

ლიტერატურა

1. *Дерябин И.И.* Вест. Хир., 1983, 10, 79-82.
2. *Кулагин В.Н.* Патологическая физиология травмы и шока. М., “Медицина”, 1978, с. 296.
3. *Рухадзе Р., Накашидзе И., Чиковани Т., Квезерели М.* Intern. Journal on Immunorehab., 2001, 3, 147-148.
4. *Рябов Г.А.* Гипоксия критических состояний. М., “Медицина”, 1988, с. 288.
5. *Шутеу Ю.* Шок. Бухарест, 1981, с. 515.
6. *Ягужинский Л.С., Имедидзе Э.А., Дадвани Л.Н., Бахуташивили В.И.* В кн.: Плаферон. Тбилиси, “Мещниереба”, 1995, с. 10-13.
7. *Bakhtashvili A., Chikovani T., Cheishvili N., Bakhtashvili V.* In: Georgian Symp. for Project Devel. And Convershion, Collect. of reports, 1995, 189-191.
8. *Bredt D.S., Snyder S.H.* Proc.Natl. Acad. Sci. USA, 1990, 87, 682-685.
9. *Chavchanidze D., Sanikidze T., Sulkhanishvili V., Bakhtashvili V., Managadze L.* Bull. Georgian Acad. Sci., 1998, 158, 332-335.
10. *Chikovani T., Bakhtashvili V.* Trans-Caucasian J. of Immunology, 2001, 2, 68-77.
11. *Chikovani T., Sanikidze T., Bakhtashvili V., Nanava G.* Clinical Immunology, 2001, 99, 174.
12. *Chikovani T., Rukhadze R., Pantsulaia I., Sanikidze T., Bakhtashvili V.* Intern. J. Immunorehab., 1999, 12, S14-19.
13. *Griglevski R.* Nov. Pharm. Med., 1997, 1-2.
14. *Halliwell B., Gutteridge J.* In: “Free Radicals in Biology and Medicine”, 1989, 1-81.
15. *Tuttle T. M., Williams G.M., Marchall F.F.* J. Urol., 1988, 140, 1009-1011.

ОКСИДАТИВНЫЕ ПРОЦЕССЫ В ТИМУСЕ И СЕЛЕЗЕНКЕ ПРИ ТРАВМАТИЧЕСКОМ ШОКЕ И ИХ КОРРЕКЦИЯ ПЛАФЕРОНОМ ЛБ

И. Хапава, М. Иобадзе, М. Гонгадзе, Т. Чиковани, М. Жгенти, Н. Кукуладзе, М. Мачавариани

Институт медицинской биотехнологии АН Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Целью настоящей работы было изучение влияния Плаферона ЛБ на оксидативные процессы, происходящие в селезенке и тимусе при травматическом шоке (ТШ). Исследования проводились на крысах, весом 300г. Модель ТШ воспроизводили по методу Кеннона. Критерием шокового состояния был выбран уровень артериального давления 65 ± 2 мм/Нг. Через 30 мин, после наступления шока животных забивали. Регистрацию спектров ЭПР тканевых образцов проводили на радиоспектрометре.

Плаферон ЛБ вызывает нормализацию ЭПР сигналов рибонуклеотидредуктазы в селезенке и тимусе, а также – Fe^{3+} -трансферрина в селезенке. При этом происходит достоверное снижение интенсивности ЭПР сигналов MetHb и HbNO в селезенке.

Полученные результаты указывают, что Плаферон ЛБ при ТШ препятствует развитию оксидативного стресса в селезенке и тимусе и способствует нормальному течению пролиферативных процессов в данных органах.

OXIDATIVE CHANGES IN THE THYMUS AND SPLEEN IN CASE OF THE TRAUMATIC SHOCK AND THEIR CORRECTION BY PLAFERON LB

I. Khapava, M. Iobadze, M. Gongadze, T. Chikovani, M. Jgenti, N. Kukuladze, M. Machavariani

Institute of Medical Biotechnology Georgian Academy of Sciences, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Purpose of this study was to determine effect of *Plaferon LB* on the oxidative processes in thymus and spleen in experimental traumatic shock. Traumatic shock was induced according to the Cannon method. Decreasing of arterial blood pressure served as an index of shock development. Thirty minutes after shock development spleen and thymus were removed from decapitated animals. Metabolic changes in the spleen and thymus were studied by electron spin resonance (ESR) spectrometry.

Plaferon LB treatment provided with normalization of ESR signal intensity in spleen. It also normalizes ribonucleotide reductase ESR signals in spleen and thymus.

Thus, in case of traumatic shock, *Plaferon LB* protects spleen and thymus from the development of oxidative stress that results in maintenance of regular level of proliferative processes in these organs.

ტუბერკულოზის ფიბროზულ-კავერნოზული ფორმის ფსიქოსომატური ასპექტები

გ. ხეჩინაშვილი, ზ. დგებუაძე

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების ეროვნული ცენტრი,
თბილისი

მიღებულია 7.04.2003

შესწავლილია ტუბერკულოზით დაავადებულთა ფსიქოსომატიკა. ნაჩვენებია, რომ აღნიშნულ ავადმყოფებში ფსიქოსომატიკა დარღვეულია. მაგალითის სახით მოყვანილია ავადმყოფობის სამი ისტორია. ნაჩვენებია, რომ მიღებული ფსიქოსომატური მანევრებლები ყოველთვის არ შეესაბამება ავადმყოფთა პულმონოლოგიურ სტატუსს. ავტორები თვლიან, რომ საჭიროა ჩატარდეს არა მხოლოდ მედიკამენტოზური, არამედ ფსიქოსომატური მკურნალობაც. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა მკურნალობის უკეთესი შედეგები მივიღოთ.

საკვანძო სიტყვები: ტუბერკულოზი, ფსიქოსომატიკა, კლინიკა

სადღეისოდ ტუბერკულოზის ფორმების დიფერენციალური დიაგნოსტიკა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც გაჩნდა დაავადების მრავალი ატიპიურად მიმდინარე ფორმა, რომელიც დიაგნოზის დასმისას განსაკუთრებულ თერაპიულ და პათოფსიქოლოგიურ ყურადღებას მოითხოვს [1, 2, 3]. დღეისათვის გაძლიერდა კლინიკური სურათის პოლიმორფიზმი. გაჩნდა მრავალი მიკობაქტერიის გამძლე შტამებით გამოწვეული ფორმები, შეიცვალა გართულებების ხასიათი. ტუბერკულოზის ფიბროზულ-კავერნოზული და ლოკალური ფორმების ატიპიური დაწყებისა და მიმდინარეობისას პრაქტიკოსი ექიმების მიერ ანტიბაქტერიული პრეპარატების ფართოდ გამოყენება ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის დაავადების დროულ დიაგნოსტიკას.

ტუბერკულოზის ფიბროზულ-კავერნოზული და ლოკალური ფორმების კლინიკურმა და ფსიქოსომატურ ასპექტში შესწავლამ გვიჩვენა, რომ ტიპიურად ითვლება დაავადების მწვავე დაწყება, დაავადების დაწყება აბდომინალური სიმპტომოკომპლექსით, ფსიქიკური აშლილობით, დაავადების დუნედ დაწყება სომატური თერაპიის ნიშნების განვითარების გარეშე, დაავადების მცირე სიმპტომური დაწყება იმ პირებში, რომლებიც ადრე

ანტიბაქტერიულ პრეპარატებს დებულობდნენ. გარდა კლინიკური გამოკვლევებისა, ამ ავადმყოფებს ჩაუტარდათ ფსიქოსომატური გამოკვლევა.

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების ეროვნულ ცენტრში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ტუბერკულოზის ფიბროზულ-კავერნოზული ფორმის დიაგნოზით მრავალი ავადმყოფი შემოვიდა. გამოკვლეული ავადმყოფებიდან ტუბერკულოზის ფიბროზულ-კავერნოზული ფორმა დაუდასტურდა 436 ავადმყოფს. 35 ავადმყოფს დიაგნოზი არ დაუდასტურდა. ამ უკანასკნელთ დაუდგინდათ ვირუსული მენინგიტის, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლის, მოცულობითი პროცესის დიაგნოზები და გადაყვანილ იქნენ შესაბამის კლინიკაში. გარდა კლინიკური გამოკვლევისა, ავადმყოფებს ჩაუტარდათ ფსიქოსომატური ტესტები. ავადმყოფთა ასაკი 26-დან 45 წლამდე იყო, ზოგჯერ კი 50 წლის ზევითაც. ქვემოთ განხილულია რამდენიმე ისტორია.

ავადმყოფი ჭ., 50 წლის, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა 2002 წლის 30 აპრილს. თავი ავად უგრძენია კლინიკაში შემოსვლამდე სამი კვირით ადრე, როდესაც უეცრად დაწყებია თავის ტკივილები, რაც თანდათან ინტენსიური გამხდარა. თავის ტკივილს თან დაერთო ფსიქომოტორული აგზნებადობა და ტემპერატურის მომატება. სიმპტომატური საშუალებებით მკურნალობის ფონზე მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, რის გამოც ავადმყოფი მოუთავსებიათ ინფექციურ საავადმყოფოში, საიდანაც შემდეგ გამოგზავნილ იქნა ტუბერკულოზის საავადმყოფოში. შემოსვლისას ავადმყოფის მდგომარეობა იყო მძიმე, უწიოდა თავის ტკივილებს, ტემპერატურის მომატებას 39-40 გრადუსამდე, ადვილად აგზნებადობას, უძილობას, ტკივილებს ხერხემლის არეში, ყლაპვის გაძნელებას. ობიექტურად: პულსი რიტმული, საშუალო ავსების და დაჭიმულობის, ტონები მოყრუებული. კატარალური მოვლენები არ მოისმინებოდა. ნერვული სტატუსი: მენინგეალური ნიშნებიდან უმთავრესად კეფის კუნთების რიგიდობა იყო გამოხატული. რენტგენოლოგიურ სურათზე აღინიშნებოდა მარჯვენა ფილტვში კერა - ტუბერკულოზური ცვლილებები. თავ-ზურგ-ტვინის სითხე ჩალისფერი. ცილა - 1,32%, პლეოციტოზი არ დაითვალა, შაქარი - 20%. კლინიკური და ლიმფომალური მონაცემები ერთმანეთს არ შეესაბამებოდა.

ავადმყოფს მძიმე მდგომარეობის დროს აღენიშნებოდა დადებითი ლიმფომალური დინამიკა.

ავადმყოფი ნ., 45 წლის, ტუბერკულოზის ფიბროზულ-კავერნოზული ფორმით. დაავადებამდე ერთი წლით ადრე გაუკეთებია ქოლერისტიკური. ავადმყოფისათვის დაუნიშნავთ დიეტა, რის შედეგადაც დაწყებია დაბალი სიცხეები, თავის ტკივილი, გულისრევა, ლიმფური კვანძები გადიდებია, დაბინდვია გონება. ავადმყოფი მოუთავსებიათ ქობილისში ნევროლოგიის ინსტიტუტში, სადაც გაუკეთებიათ ლიმფური კვანძის პუნქცია, პუნქტატის პისტოლოგიური გამოკვლევა, ენდოლუმბალური პუნქცია, ნეიროფტიზიატრის კონსულტაცია და დაუსვიათ დიაგნოზი: პერიფერიული ლიმფური კვანძების ტუბერკულოზი, ტუბერკულოზური მენინგოენცეფალიტი. დაავადებიდან თვენახევრის შემდეგ გადმოყვანილ იქნა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების ეროვნულ ცენტრში.

კლინიკაში ავადმყოფმა დაჰყო 176 დღე. ჰეპატოქოლექციისტიტის ფონზე ავადმყოფმა ანტიტუბერკულოზური პრეპარატები სრულყოფილად მიიღო. რიმფამიციინის მიღების შემდეგ მოძრაობის ძალა მიეცა. გულმკერდის მე-7 და მე-8 მალეების დონეზე დაფიქსირდა მოცულობითი პროცესი. ნეიროქირურგის კონსულტაციის შემდეგ გადაწყვიტეს იქნა ნევროლოგიის ინსტიტუტში, სადაც ჩატარდა ოპერაციული ჩარევა და ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევა. დადგინდა მოცულობითი პროცესის სპეციფიკური ხასიათი – ტუბერკულოზი. ოპერაციის შემდეგ ვერ მოხერხდა კიდურების ფუნქციის მთლიანი აღდგენა, რის გამოც უტარდებოდა რეაბილიტაციური მკურნალობა და ფსიქოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა.

ავადმყოფი მ., მცხოვრები ქ. გორში, კლინიკაში შემოვიდა 2002 წლის 30 მარტს, ფილტვების ტუბერკულოზის დიაგნოზით. ავად არის 5 წელი. ანტიტუბერკულოზურ პრეპარატებს ღებულობდა უხისტემოდ. კლინიკაში შემოსვლამდე ორი კვირით ადრე დაწყებია მაღალი სიცხეები, თავის ტკივილები. ავადმყოფს მიუმართავს აბასთუმნის ტუბერკულოზის საავადმყოფოსათვის, საიდანაც გადმოაგზავნეს ჩვენთან. კლინიკაში შემოსვლისას მდგომარეობა იყო მძიმე. ავადმყოფი იყო დეზორიენტირებული, კითხვებზე პასუხს დაგვიანებით, ღრმად ჩაკითხვისას იძლეოდა. ობიექტურად: პულსი – რიტმული, გულის ტონები მოსმენით სუფთაა, Pulmo – ორმხრივ, ზემო ველებში, მეტად მარჯვნივ – წვრილი და საშუალო ზომის ხიხინები. ნერვული სტატუსი: მარჯვნივ სახის ნერვის ქვედა ტოტის იოლი პარეზი. მენინგიალური ნიშნებიდან კუფის კუნთების მკვეთრი რიგიდობა და კერნიგის ნიშანი ორმხრივ, ბაბინსკის ორმხრივი პათოლოგიური რეფლექსი. ნახველის ბაქტერიოსკოპული გამოკვლევით დადებითი მჟავაგამბლე ბაქტერია. გულმკერდის “Ro” გრამაზე Pulmo – ორივე მხარეს, მეტად მარჯვნივ, ფიბროზის ფონზე სხვადასხვა ზომის ღრუები, ორმხრივი ინფილტრაცია და კეროვანი ჩრდილები. კლინიკურ-რენტგენოლოგიური მონაცემებით დაისვა დიაგნოზი: ფილტვების ფიბროზულ-კავერნოზული ტუბერკულოზი ინფილტრაციის და მოთესვის ფაზაში. ავადმყოფმა კლინიკაში დაჰყო 164 საწოლ/დღე. დაავადება მიმდინარეობდა ტალღისებურად, პერიოდული გაუმჯობესებით და გამწვავებებით. მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, ავადმყოფის გამოყვანა მძიმე მდგომარეობიდან ვერ მოხერხდა და იგი გარდაიცვალა. წარმოდგენილი სამი შემთხვევიდან პირველი ავადმყოფი არასწორად მოხვდა ჩვენს კლინიკაში, მეორე შემთხვევაში ჰეპატოქოლექციისტიტის გამო ანტიტუბერკულოზური მკურნალობის მთელი ძალით ჩატარება ვერ შევძელით, ხოლო მესამე შემთხვევაში დადებითი შედეგი ვერ მივიღეთ დაავადების გამომწვევი ტუბერკულოზური მიკობაქტერიის ანტიტუბერკულოზური პრეპარატების უმრავლესობის მიმართ გამძლეობის გამო.

რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ ავადმყოფთა ფსიქოლოგიურ სტატუსს, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შემთხვევაში ავადმყოფებს ცნობიერება შეცვლილი ჰქონდათ. ისინი დეზორიენტირებულნი და არაადეკვატურნი იყვნენ, მათთან ფსიქოლოგიურ კონტაქტში შესვლა თითქმის შეუძლებელი იყო. ამ ავადმყოფებთან, გარდა ტუბერკულოზის ტრადიციული მეთოდებით

მკურნალობისა, დაგეგმირდა ხანგრძლივი ფსიქოლოგიური მუშაობა, რაც გვეხმარებოდა მკურნალობის დადებითი შედეგების მიღწევაში.

ლიტერატურა

1. *Dalapeiogra C.* Am. Rev. Resp. Dis., 1992, 69, 592-599.
2. *Collins D.M., Kawakami R.P.* Proc. Natl. Acad. Sci. USA, 2000, 92, 803-816.
3. *Pucolsen D.F.* Basic histology of tuberculosis. London, 2001.

ПСИХОСОМАТИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ФИБРОЗНО-КАВЕРНОЗНОЙ ФОРМЫ ТУБЕРКУЛЁЗА

Г. Хечинашвили, З. Дгебуაძე

Национальный центр туберкулёза и легочных заболеваний, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Изучена психосоматика больных туберкулезом. Показано, что у указанных больных психосоматика нарушена. В качестве примеров приведены три истории болезни. Психосоматические показатели, полученные от больных, не всегда соответствуют их пульмонологическому статусу. Авторы работы считают, что необходимо проводить не только медикаментозное, но и психосоматическое лечение. Подобный подход даст возможность получить, в общей сложности, лучшие результаты лечения.

PSYCHOSOMATIC ASPECTS OF FIBROUS-CAVERNOUS FORM OF TUBERCULOSIS

G. Khechinashvili, Z. Dgebuadze

National Center for Tuberculosis and Pulmonary Diseases, Tbilisi

SUMMARY

Psychosomatics in patients suffering from tuberculosis has been studied. It was shown that in these patients psychosomatics is disturbed. Three case records of these patients are given as examples. Psychosomatic indices obtained from the patients not always correspond to their pulmonologic status. The authors consider that it is necessary to carry on not only medicamentous, but also psychosomatic treatment. Such an approach enables to obtain better results of the treatment.

რეაქტიული კოქსიტოზის ულტრასონოგრაფიული კვლევის შედეგები ბავშვებში

ა. ჯავახიშვილი, მ. კვანია, მ. წვერავა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 26.03.2003

ჩვენი გამოკვლევებით დადგინდა, რომ რეაქტიული კოქსიტოზის დროს მენჯ-ბარძაყის სახსრის დაზიანება როგორც კლინიკურად, ასევე ულტრასონოგრაფიულად უმრავლეს შემთხვევაში (94%) ასიმეტრიულ ხასიათს ატარებს. დაავადების სხვადასხვა სტადიაში კლინიკურ და ულტრასონოგრაფიულ მონაცემებს შორის აღინიშნება კორელაცია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, კლინიკური რემისიის ფაზაში, სონოგრაფიულად ფიქსირდება სუბკლინიკური ცვლილებები, რაც გარკვეულწილად მკურნალობის ხანგრძლივობისა და ტაქტიკის შემუშავების საშუალებას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: სონოგრაფია, მენჯ-ბარძაყის სახსარი, რეაქტიული ართრიტი, ბავშვები

საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაზიანება მიიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმის საფუძველი ხდება. რეაქტიული ართრიტის (რმპ) დროს ბავშვებში უპირატესად ზიანდება ქვედა კიდურების მსხვილი სახსრები [1, 2, 3, 4]. მათ შორის გამოირჩევა მენჯ-ბარძაყის სახსარი, რომელიც ძნელად სადიაგნოსტიკოა თავისი ანატომო-ფიზიოლოგიური და ტოპოგრაფიული თავისებურებებით. სახსრის მძლავრი კუნთოვანი აპარატი აძნელებს პერიარტიკულარული შეშუპების, სახსარშიდა ექსუდატისა და ბურსიტების დიფერენცირებას [2]. რეაქტიული კოქსიტის დროს ძირითადი ცვლილებები მიმდინარეობს არაძელოვან სტრუქტურებში. ამდენად, მისი შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახსრის ულტრასონოგრაფიულ კვლევას, რომელიც ინტრა- და ექსტრაარტიკულური რბილი ქსოვილის (სინოვიალური გარსი, მყესები, კუნთები, ხრტილი) ვიზუალიზირების საშუალებას იძლევა [5].

ჩვენი შრომის მიზანს წარმოადგენს რეაქტიული კოქსიტის კლინიკური და ულტრასონოგრაფიული პარამეტრების კორელაციის დადგენა დაავადების სხვადასხვა სტადიაში.

მასალა და მეთოდები

შესწავლილი და გაანალიზებული იქნა 1-14 წ-მდე ასაკის რეაქტიული კოქსიტით დაავადებული 19 ავადმყოფის მონაცემები, კერძოდ, შემდეგი კლინიკური პარამეტრები:

- ტკივილი (ინტენსივობა, ირადიაცია და ლოკალიზაცია);
- პერიარტიკულური ქსოვილი (შეშუპება, ატროფია);
- სინოვიტი (მტკივნეულობა ქუსლზე დაკაკუნებისას, პატრიკის ტესტი);
- ბურსიტები (თეძო-ქედის, ციბრუტის, საჯდომ-ღუნდულის);
- კონტრაქტურა (წელის ლორდოზის გადიდება, მენჯის წინ გადახრა, ტომასის ტესტი);
- მოძრაობის შეზღუდვა (გაშლა, მოხრა, განხიდვა, მოხიდვა, შიდა და გარე როტაცია).

შეფასებული იქნა სონოგრაფიული მანევრებლები:

- სასახსრე ზედაპირი (ბარძაყის თავი და ტაბუხის ფოსო);
- სასახსრე ნაპრალი;
- ხრტილოვანი ეროზიები;
- სახსარშიდა სითხე (მცირე, ზომიერი, ჭარბი);
- პერიარტიკულური ქსოვილი (შეშუპება, ამოტროფია);
- ბურსიტები (თეძო-ქედის, ციბრუტის, საჯდომ-ღუნდულის).

მენჯ-ბარძაყის სახსრის სონოგრაფიული კვლევა წარმოებს ევენტრალური მხრიდან, რადგან აღნიშნულ პროექციაში ტაბუხის ფოსო ღიაა, რაც სახსრის უკეთ გამოსახვის საშუალებას იძლევა (Kellner, 1994; Sattler, 1987).

შედეგები და მათი განხილვა

ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფი 19 ავადმყოფიდან მწვავე რმა გამოუვლინდა 6 (31%-ს, ქვემწვავე - 8 (42%-ს, ქრონიკული - 5 (26%-ს. რეაქტიული კოქსიტი მონოართრიტის სახით აღენიშნა 3 (16%) ბავშვს; ოლიგოართრიტის სახით - 12 (63%-ს, პოლიართრიტის სახით - 4 (21%-ს. რეაქტიულ კოქსიტს ძირითადად ასიმეტრიული ხასიათი ჰქონდა და მხოლოდ 1 ავადმყოფთან დაფიქსირდა ორმხრივი მიმდინარეობა.

კლინიკური სურათის სრული გაშლის სტადიაში მინიმალური ინტენსივობის ტკივილი აღინიშნა 36%-ში, ხოლო ზომიერი ინტენსივობის - 42%-ში, ნახევარზე მეტ შემთხვევაში (57%) ტკივილი ლოკალიზებული იყო საზარდულის მიდამოში, დიდი ციბრუტის მიდამოში კი - 17%-ში, საჯდომ-ღუნდულის მიდამოში - 26%-ში. ტკივილის ირადიაცია დაფიქსირდა უპირატესად ბარძაყის წინა ზედაპირზე (36%). რაც შეეხება პერიარტიკულური ქსოვილის შეშუპებას, მისი ძნელად დიაგნოსტიკების გამო იგი მხოლოდ 26%-ში გამოვლინდა. ბურსიტები კი აღინიშნა 57%-ში (თეძო-ქედი - 23%-ში; ციბრუტი - 17%; საჯდომ-ღუნდულო - 17%), სინოვიტი კი - 67%-ში. კიდურის ფუნქციური დამოკლება გამოწვეული იყო კონტრაქტურით. მსუბუქად გამოხატული კონტრაქტურა დაფიქსირდა 58%-ში. რეაქტიული კოქსიტის კლინიკური სურათის კვალდაკვალ ულტრასონოგრაფიულად აღინიშნა მენჯ-ბარძაყის სახსრის პათოლოგიური ცვლილებები. 100%-ში გა-

მოვლინდა სახსარშიდა ექსუდატის არსებობა და პერიარტიკულური ქსოვილის შეშუპება. ბურსიტები აღინიშნა 54%-ში.

ცხრილი 1

ულტრასონოგრაფიული პარამეტრები	კლინიკ. სურათის გაშლის სტადია		გამწვავების სტადია		რემისიის ფაზა	
	n = 19	%	n = 7	%	n = 19	%
1. პერიარტიკულური ქსოვილის შეშუპება	19	100	7	100	-	-
მცირე	9	47	5	71,4	-	-
ზომიერი	10	54	2	28,6	-	-
ძლიერი	-	-	-	-	-	-
ამიტროფია	-	-	-	-	-	-
2. სახსარშიდა სითხე	19	100	7	100	3	17
მცირე	9	47	5	71,4	3	17
ზომიერი	10	54	2	28,6	-	-
ჭარბი	-	-	2	-	-	-
3. ბურსიტები	10	54	5	100	3	17
თუძო-ქედის	4	21	3	42,8	3	17
ციბრუტის	5	26	2	28,6	-	-
საჯდომ-დუნდულოს	1	6	-	-	-	-
4. ბარძაყის ძვლის თავისა და ტაბუხის ფოსოს ზედაპირები						
გლუვი	19	100	7	100	19	100
უსწორმასწორო	-	-	-	-	-	-
5. ხრტილოვანი ეროზიები	1	6	1	15	1	6
6. სახსროვანი ნაპრალის შევიწროება	1	6	1	15	1	6
7. ოსტეოფიტები	-	-	-	-	-	-

ქრონიკული პროგრესირებადი მიმდინარეობის პოლიართრიული ფორმის დროს 1 ავადმყოფს აღენიშნა ერთეული ხრტილოვანი ეროზიები და სახსარე ნაპრალის შევიწროება.

დაავადების მიმდინარეობის სხვადასხვა სტადიაზე აღინიშნება როგორც კლინიკური, ასევე სონოგრაფიული მანკვნებლების ცვლილება. კერძოდ, რეაქტიული კოქსიტის გამწვავებისას (აღენიშნა 7 ავადმყოფს) მოიმატა ტკივილის ინტენსივობამ. პატრიკის ტესტი გამოუვლინდა 2 (10,5%) ავადმყოფს. შესაბამისად, სონოგრაფიაზე კი პერიარტიკულური შეშუპების ხარისხში მოიმატა 100%-ში. სახსარშიდა სითხის დონემ, ასევე – 100%-ში. თუძო-ქედისა და ციბრუტის ბურსიტი გამოვლინდა 42,8%-ში.

კლინიკურ-ლაბორატორიული რემისიის ფაზაში სონოგრაფიული პარამეტრებიდან საყურადღებოა მცირე სახსარშიდა სითხის და სუბკლინიკური ბურსიტების არსებობა – 17%-ში.

ამგვარად, რეაქტიული კოქსიტების დროს მენჯ-ბარძაყის სახსრის დაზიანება როგორც კლინიკურად, ასევე ულტრასონოგრაფიულად უმრავლეს

შემთხვევაში (94%) ასიმეტრიულ ხასიათს ატარებს. დაავადების სხვადასხვა სტადიაში კლინიკურ და ულტრასონოგრაფიულ მონაცემებს შორის აღინიშნება კორელაცია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში კლინიკური რემისიის ფაზაში სონოგრაფიულად ფიქსირდება სუბკლინიკური ცვლილებები, რაც გარკვეულწილად მკურნალობის ხანგრძლივობისა და ტაქტიკის შემუშავების საშუალებას იძლევა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სახსროვანი სინდრომის შესაფასებლად რეაქტიული კოქსიტების დროს დაავადების სხვადასხვა ეტაპზე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ართროსონოგრაფია.

ლიტერატურა

1. *Агабабова Э.Р.* Ревматология, 1985, 1, 3-6.
2. *Анселл Б.М.* Ревматические болезни у детей. М., 1983, 365-367.
3. *Савин Н.А.* В кн.: Тезисы юбилейной научной конференции, посвященной 100-летию со дня рождения академика А.И. Нестерова, 1995, с. 71.
4. *Лила А.М., Мазуров В.И.* Реактивные артриты. Учебное пособие, 2001, с. 54.
5. *Konertmann W.* Die Differentialdiagnose des Kindlichen Hüftschmerzers im Sonogramm. Orthopäde, 1993, 22, 280-287.

РЕЗУЛЬТАТЫ УЛЬТРАСОНОГРАФИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЙ ПРИ РЕАКТИВНЫХ КОКСИТАХ У ДЕТЕЙ

И.В. Джавахишвили, М.А. Жвания, М.Д. Церава

Тбилисский Государственный Медицинский Университет; Государственная медицинская Академия, Тбилиси

РЕЗЮМЕ

При реактивных кокситов, поражение тазобедренного сустава, как клинически, так и ультрасонографически, в большинстве случаев (94%) носит асимметричный характер.

На разных стадиях заболевания, между ультрасонографическими и клиническими показателями отмечается корреляция, но в некоторых случаях, в фазе клинической ремиссии, сонографически фиксируются субклинические изменения, что в свою очередь, даёт возможность определения тактики и продолжительности лечения.

Итак, для оценки суставного синдрома при реактивных артритах на разных этапах заболевания, может быть использована артросонография.

RESULTS OF ULTRASONOGRAPHIC INVESTIGATION OF REACTIVE COCCYTIS IN CHILDREN

I. Javakhishvili, M. Zhvania, M. Tsverava

Tbilisi State Medical University; State Medical Academy, Tbilisi

SUMMARY

Our investigations have shown that coxo-femoral joint affliction in the majority of cases (94%) of the reactive coccytis, shows clinically and sonographically asymmetrical character.

In different stages of the disease there is a correlation between clinical and ultrasonographic evidences, though in some cases ultrasonography show subclinic changes in the phase of clinical remission, which offers a possibility to determine tactics and duration of treatment.

Summing up, the arthro-sonography can be useful in estimation of the joint syndrome at different stages of reactive arthritis.

აზტორთა საქურაღმპოღ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2001 წლის 22 ნოემბრის № 138 დადგენილებით ჟურნალი "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია" გაიყო ორ – A და B – სერიებად.

დადგენილების თანახმად, სერია A დარჩა არსებული ჟურნალის პირდაპირ სამართალმემკვიდრედ და აგრძელებს შესაბამის ნუმერაციას. ამ სერიის ჟურნალში დაიბეჭდება, უპირატესად, ფიზიოლოგიური (ადამიანისა და ცხოველთა) და ბიოსამედიცინო დარგების (ექსპერიმენტული ხასიათის) ნაშრომები. სერია B მიიღებს მხოლოდ ე.წ. კლასიკური ბიოლოგიის დარგების ნაშრომებს (B სერიის მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი მ. ზაალიშვილი).

ჟურნალ "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია – A"-ს სარედაქციო კოლეგია და სარედაქციო საბჭო დამტკიცებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2002 წლის 14 მარტის № 36 დადგენილებით.

აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა,
ჟურნალის მთავარი რედაქტორი

ინსტრუქცია აზტორთათვის

სამეცნიერო წერილებს ჟურნალი ბეჭდავს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენებზე, ავტორთა სურვილისამებრ. ნებისმიერ ენაზე წარმოდგენილ წერილს უნდა დაერთოს რეზიუმე (არა უმეტეს 250 სიტყვისა) სამივე ჩამოთვლილ ენაზე. რეზიუმე უნდა შეიცავდეს სთაურს, ავტორთა გვარებს და მათი სამუშაო დაწესებულების დასახელებას, კვლევის მიზანს, მეთოდებს, შედეგებს და მათ განხილვას.

სამეცნიერო წერილის მოცულობა (რეზიუმეების ჩათვლით) არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და 12 გვერდზე მეტი. მიმოხილვითი ხასიათის წერილის წარმოდგენამდე ავტორმა უნდა მიიღოს რედაქციის წინასწარი თანხმობა. ორიგინალური ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგები უნდა გაფორმდეს სტანდარტული რუბრიკაციით: შესავალი და მიზნები, მასალა და მეთოდები, შედეგები და მათი განხილვა, დამოწმებული ლიტერატურა. უკანასკნელი მკაცრად ანბანით უნდა იყოს დალაგებული და დანომრილი, ხოლო ტექსტში წყაროების მითითება უნდა ხდებოდეს კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ნომრებით. თითოეულ წერილს უნდა დაერთოს ე.წ. საკვანძო სიტყვათა მოკლე (4-6) სია. ლიტერატურის სიაში არ უნდა იყოს გამოტოვებული ბიბლიოგრაფიული ცნობები – წელი, ტომი, ნომერი, პირველი და ბოლო გვერდი, წიგნის გამოცემის ადგილი და გამომცემლობა, კრებულის რედაქტორის (რედაქტორების) გვარი და სხვ.

ჟურნალში გამოსაქვეყნებელი წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ქაღალდზე ამობეჭდილი (2 ცალად), ისე ელექტრონული ფორმით – კომპიუტერულ დისკეტზე. კომპიუტერზე ტექსტის აკრეფისას ავტორებმა უნდა გაითვალსწინონ შემდეგი წესები: ქართული ტექსტისთვის დაუშვებელია ისეთი შრიფტის გამოყენება, რომელიც რუსულ კლავიატურასთანაა დაკავშირებული. ოპტიმალური ფონტებია AcadNux და AcadMtavr. რუსული და ინგლისური ტექსტები აუცილებლად Times New Roman-ით უნდა იყოს აკრეფილი. ფონტის (შრიფტის)

ზომა ყველგან – 12. ცხრილებში დასაშვებია უფრო მცირე ზომის ფონტებიც. ცხრილები, ტექსტის მსგავსად, უნდა დამზადდეს Microsoft Word-ში (ნებისმიერი ვერსია), ხოლო გრაფიკები და დიაგრამები – Excel-ში. მკაფიო გრაფიკები და შეფუთვითი ფოტოსურათები მიიღება აგრეთვე ორიგინალების (არაელექტრონული) სახითაც. ფერადი სურათები ჟურნალში დაიბეჭდება შეფუთვითი სახით. კომპიუტერულ დისკეტზე წარმოდგენილი წერილი მთლიანად ერთი ფაილით უნდა იყოს შენახული, ხოლო ფაილის სახელწოდება წერილის პირველი ავტორის გვარს უნდა ატარებდეს. დამატებით (ცალკე) ფაილად შეიძლება მხოლოდ Excel-ში შესრულებული ილუსტრაციების წარმოდგენა. კომპიუტერული დისკეტი უნდა იყოს მანამდე უხმარი, ვირუსებისაგან თავისუფალი და არ უნდა შეიცავდეს სხვა მასალას.

დისკეტი ავტორს არ უბრუნდება.

სურათები, გრაფიკები და სხვა ილუსტრაციები ცალკე ფურცელზე უნდა იყოს წარმოდგენილი და მათი ტექსტში ჩაკაბადონება დაუშვებელია. სურათების წარწერები, იმავე ფაილის ბოლოს, წერილის ტექსტის შემდეგ უნდა იყოს აკრეფილი. საკუთრივ ტექსტი ყოველგვარი დაკაბადონების გარეშე უნდა აიკრიფოს 1,5 ინტერვალით. წერილი უნდა დაიბეჭდოს A4 ფორმატის ქაღალდზე, კვლებით ზევით და ქვევით – 2,5 სმ, მარცხნივ – 3 სმ და მარჯვნივ – 2 სმ.

ჟურნალის ბეჭდვა ავტორთა ხარჯებით ხორციელდება. ბეჭდვის დასაფარი თანხა რედაქციაში უნდა შემოვიდეს წერილზე დადებითი რეცენზიის მიღებისთანავე. რეცენზენტის მიერ წერილის დაწუნების შემთხვევაში ავტორს უბრუნდება მისი ხელნაწერის ერთი პირი, ხოლო დისკეტი ინახება რედაქციაში 1 წლის განმავლობაში.

წერილების სამეცნიერო რეცენზირება ანონიმურია და ავტორს აქვს უფლება მიიღოს ან არ მიიღოს რეცენზენტის შენიშვნები. უკანასკნელ შემთხვევაში წერილი, დამატებითი რეცენზირებისთვის, გაგზავნება სარედაქციო საბჭოს ერთ-ერთ წევრს. მეორე უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, წერილი ავტორს დააუბრუნდება უპირობოდ.

ყველა გამოქვეყნებული წერილის რუსული რეზიუმე იბეჭდება რუსეთის რეფერატული ჟურნალის სათანადო სერიაში.

წერილების ნაბარება შეიძლება ყოველდღიურად, შაბათისა და კვირის გარდა, 12-დან 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე თბილისი, ლ. გოთუას ქ. № 14, იბერიტაშილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი. წერილებს მიიღებენ: გურამ ბეჭია (IX სართული, ტელ.: 37-42-16); ალექსანდრე ქორელი (III სართული, ტელ.: 37-04-79).

